ლიტერატურული გაზეთი

№46 25 მარტი - 7 აპრილი 2011 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 50 თეთრი

ლია სტურუა

თეგერვლის ბოლო

დღე, თითქოს, დაგრძელდა,
ძილი, მაინც, ცივია და სევდიანი
სიმბოლური სიზმრებიდან
მუშა ინფორმაცია ჟონავს –
უგემური დღის რეჟიმზე,
პაუზებში, უნალექო ყავიანზე,
შიშის წებოიანზე,
დაღამების წინაშე
ვალეტივით გაწოლილ წყვილებს
როგორ ეტყვი:
— დაუკარით ერთმანეთი ორ ხერხემალზე!
როცა ხორცი უსურვილო და დონდლოა,
აგურისფერი ტემპერამენტი,
სამშენებლო მასალა შვილებისთვის,
დახარჯული,
ფერითაც კი ვერ ათბობს
მარტო, მოლოდინი მეორე დღის,
შრიფტით გაჭედილის,
შესვენებაზე უნალექო ყავიანის,
ლაპარაკის გახვეტილ ნაფცქვენებში
აგურის წინწკლებიანის,
რომ ღამე, ისევ, ვალეტივით...
დღე აღარ ემორჩილება კასტრაციას,
იმატა კიდეც,
ძილი, მაინც, ცივია და მოწყენილი...

IV

გურამ დოჩანაშვილი

რაც უფრო მახსოვს, და მეტად მაგონდება

ნაწყვეტი მომავალი რომანიდან

ჩემი ნაღდი ძმაკაცი, შოთა სამხარაძე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ადგილზევე ჩამხატავად წავიყვანეთ და, მაგრამ, ვაი, რომ მცოდნოდა თუ რა პირობებში აღმოვჩნდებოდით? როგორსა-ძნელში? ვინ ოხერიღა შესთავაზებდა ისეც ჩემზედაც კია უფრო გამხდარ-გაძვალტყავებულ შოთას იმ ყოვლადდუხჭირ ექსპედიციაში წამოსვლას და,

მაგრამ,

აი ისიც კი, —

ჯოისუბნური გაჭირვებები მხოლოდ ახლა-აქედან კიარა და, აი ამდენი წლისა შემდგომ? — თურმე მაშინაც, ადგილზევეც, რა კარგი, იყო...,

და რაღაც-რუღაც ყოველნაირი შემთხვევები — ჩვენ უნებური ვეძახოთა და, — არა, რაღაც კუთვნილივითაც კი წყალობებად, გაჭირვებების განსაქარვად, რა მუდამ, გვახლდა... ჩემს სუპირველ ექსპედიციებზე კიდევ და კიდევ მოგახსენებთ, მერე და მერე კი, დიდის გადახტომ-გადმოხტომებით მოგაწვდით ამბებს, სხვაცგათხრებისა

ზემო რაჭაში კი ძირითადად ისინი გახლდით ჩვენი ბიჭვინთა უკვე ძაან რომ გამოვლილ-გვქონდა, ხოლო იქა, ჩვენ, ანუ იმა-რაჭაში შიმშილი, ვნახეთ? რაღაცა ლბილი სიტყვაა, ესა, მგონი „სიყმილი“-ძველქართულური გაცილებითე ესიტყვებოდა, იმას; სოფელი იყო? —

რომკი ჩავედით, რაიმ-ოთახი, დასავანებლად, — „ნეტაი სამი გვაშოვნინა“-თქვა, და, მოვიკითხეთ და, აგერას ბატონო ოთხი ოჯახიანი სახლის გარდა რომელშიც გინდათ იმ სახლში შედით, ჩვენ-ოთხის გარდა სხვა ოჯახი აღარ დარჩაო, აქ; აქანე აღარ გაიძლებაო, და გაკვირვებულებმა რომკი ვიკითხეთ პატარახანში — თქვენ რაღად დარჩით აქაო და, ცოტაარიყოს კარგა საჩინოდ დამორცხვებულებმა, — ურემი ვერ ვიშოვეთო, და, კარგამოზრდილა სახლში რაღათქმაუნდა ყოვლად უფასოდ დავბანაკდით და, პირველი დღისთვის კიგვქონდა რაღაც მცირე საგზალი, მაგრამ, მოგეხსენებათ, ეგრეთწოდებულ ადაპტირებას ბინისა გარდა და გარდაიაც არაკვებადსა-უკვებობასაც ხომკი უნდა, სუყოველდღიურს, თანაც, მაგრამ პირველსვ დღეს ჯეროვნად აკი ვერ ვიცოდით, ეს, ხოლო სხვაფრივ კი, პირველივ ღამით, ჩვენ შიში ვნახეთ? —

აღუწერელი; რადგან —

რო მოშუაღამევდა, ამა-რაჭაშიც გრინვიჩის, დროით? — ყველას შეხტომითგაგვეღვინძა, — ერთი-ისეთი გულსულშემძვრელი შეკივლება გაისმა,

როომ,

თლათამაზრზენი;

გაფითრებულებმა გადავხედეთ ერთიმეორეს — რაა ნეტაი ჩვენს ბეჩავ თავსო, და, ალბათ ეგების მოგვეჩვენა ანდა ვიღაცამ მდუღარე თუ გადაისხა ქაჩალთავზე,ო, მაგრამ სურაღაც ოციოდ წუთში პეტერეზე-რო ჩავშოშმინდით კვლავ რომ გაისმა კიარა და, თელიჰაერი რომ განიპო და განიგმირ-და-განიმსჭვალა და როგორ ავად, შეკივლებით-იმ?,

დაა,

დააა,

მერედამერე, ყოვნებითე, ისევ და ისეევ,

... იმ ღამით თვალი არ მოგვიჭუტავს, და თუ ერთგვარად მოგვიხუჭავს თან-სასწრაფოთე? — ისიც შიისგან: ჩვენ ხომ არა ვართ იმის ბრალში რომ რო-ჩამოვედით ეგებ მიტომაც ერთმანეთს ანგრე გამეტებულად ხვარ დაესიენო, ვაი, არადა, მთელი იმღამით არ შეწყვეტილა ოცწუთიანი ყოვნებითე კივილ-ნამეტურშემოძახილი ძაალიანიი, ისი, — მთლად ყურთაგლეჯა, გადამწარებითყროყინი მაინც ყოფილიყო ანდაც ზმუილი განწირული ანდაცდა გინდაც თითანლომისა კმინვაძრიალი — არა, ვეჰ, კაცო, ადამიანის პირმოხეულად განწირული ხმიანება-რამ იყო საზარი, ეს, და კიდევ კარგი მოგვიანო გაზაფხულობით ადრე თენდება, და, ირიჟრაჟა და — მიწყდა კიდევაც ი-ზარდამცემი ხმის გამოცემა კა,ტა,სტროფ-ული და, გავიფიქრეთ, ალბათ უკლებლივ ამოხოცეს ერთი-მეორე ეს რა ჰყოფილან ეს უწყინრებად შენიღბული რაჭველები-თქვა, — გავიფიქრეთ შიშით თავზარდაცემულებმა, ეს, აქა სცოდნიათ თუცოდნიათ ვენდეტა-ებიები და ამისთანები,-თქვა, და, მართალია ყოვლად უჯავშანჟილეტებოდ გამოვადგილდით და გადმოვლაგდით უუფრთხილესად აივანზე რა თქმა უნდა, ხოხვით, აკი გითხარით გინდ პლატონურად მაგრამაც მაინც მთლად პირშავებად და სუცოტა რაღაც ნამეტურ თარსებად-ა ვგრძნობდით, თავებს — ალბათ ჩვენს გამო, კაცოო, დაერივნენა და რო ამოხოცეს ურთიერთი ამ ისედაც-რო თურმე ძაანც ლოღგიკურათე-სამართლიანად ადამიანებით დიდათენაკლულ სოფელშია,ო, და ისეც ასე ნაკლულები ჩვენგამო თლათაც გაიჟლიტენო და, უცებკაცო, აგერ არ მოდის? — გადასარევი!! — თლათასტაულით გადარჩენილი ცელსა თუ ნაჯახს ერთიცა კიკოდგადარჩენილი ცალი-რაჭველი? თან, ვითომაცადა აქ არაფერი? —

გაუდევს თოხი კოხტად მხარზედა,
ცხვარი ნაკლებ-ჰყავს თავის თმაზედა
ანუ სუარ ყვანს,
ქუდიღა უდევ თავის
(— რაც მართალია მართალია) თავზედა, —

V



დავით ქართველიშვილი

ტატო და ელენე

მელოდრამა

ვაგზლის კაფეში

ელენე ვაგზლის კაფეში იჯდა. ჩაის სვამდა, სიგარეტს ეწეოდა და თავი კინოში ეგონა. გვერდზე მაგიდასთან აზერბაიჯანელები ისხდნენ, ქალი და კაცი, ქალი ლეპტოპის ეკრანს იყო მიჩერებული, კაცი ჭამდა. ელენემ სიგარეტი დაფერფლა და ჩაი მოსვა. ელენეს არ უყვარდა მოსაწყენი ფილმები, დუნე, უსაშველოდ გაწელილი კადრებით, ახლა სწორედ ასეთი ფილმის პერსონაჟი ეგონა თავი. „საერთოდ რატომ დავიბადე“ გაიფიქრა ელენემ და საათს დახედა. პირველის ნახევარი იყო, მატარებელი განრიგის მიხედვით თხუთმეტ წუთში უნდა მოსულიყო. „საერთოდ რატომ დავიბადე?“ კვლავ გაიფიქრა ელენემ და სიგარეტი საფერფლეში ჩააქრო. შეკითხვაზე პასუხი არ ქონდა. „რა უაზრობაა ყველაფერი“. ელენე თავჩაღუნული იჯდა.

— შეიძლება? — ელენემ თავი აწია, მის წინ უცნობი კაცი იდგა, უცნობ კაცს მარჯვენა ხელში ჩაის ერთჯერადი ჭიქა ეჭირა, მარცხენაში — ერთჯერადი თეფში, რომელზეც ოთხად დაჭრილი პიცა იდო. ელენეს არ უყვარდა პიცა. ელენემ აქეთ-იქით მიიხედა, რამდენიმე თავისუფალი მაგიდა იყო და რატომ მოადგა ეს კაცი მაინცდამაინც მის მაგიდას. „მოვეწონე?“ გაიფიქრა ელენემ და უცნობი კაცი უკვე ყურადღებით შეათვალიერა.

— დაბრძანდით — უთხრა ელენემ უცნობ კაცს. უცნობმა კაცმა ჯერ ჭიქა და თეფში დადო მაგიდაზე, შემდეგ დაჯდა. ჭიქა და თეფში თავისკენ მიიწია და ჭამა დაიწყო.

„არა, არ მოვწონებივარ, ესეთ კარგ ბიჭებს მე არ მოვწონვარ, საერთოდ რატომ დავიბადე?“ გაიფიქრა ელენემ და ნერვიულად წამოდგა. მაგიდიდან ჩანთა აიღო.

— მე აქ თქვენს გამო დავჯექი, თქვენ კი მიდიხართ..

ელენემ უცნობ კაცს შეხედა:

— ბატონო?

— მე ტატო ვარ, დაბრძანდით.

ელენე დაჯდა და ჩანთა მუხლებზე დაიდო.

— არა, ვერ დავჯდები, მეჩქარება — თქვა ელენემ და წამოდგომა დააპირა.

— ჰო უკვე ვხვავარ, მაგრამ ხო შემიძლია ავდგე — თქვა ელენემ და ჩანთა მაგიდაზე დადო. „მთავარია მანიაკი არ იყოს“ გაიფიქრა ელენემ და ჩანთას ყურში მოკიდა მარჯვენა ხელი.

— მანიაკი არ ვარ — თქვა ტატომ და გაიღიმა — ამ სიტყვის იურიდიული მნიშვნელობით, ისე ზოგადად ალბათ ნებისმიერი ადამიანი ცოტათი მაინც მანიაკია.

„მაბავს“ გაიფიქრა ელენემ და ჩანთის ყურს ხელი გაუშვა.

გვერდზე მაგიდასთან მსხდომი აზერბაიჯანელი კაცი და ქალი შელაპარაკდნენ. ქალი რაღაცას უმტკიცებდა კაცს, კაცი უარის ნიშნად თავს აქნევდა. ელენე აზერბაიჯანელ ქალს და კაცს უყურებდა და ფიქრობდა: „ყველაფერი სისულელეა, ყველაფერი ბოლოს მაინც ჩხუბით მთავრდება.“

ელენემ ტატოს შეხედა:

— ესეიგი, ცოტათი ყველა მანიაკები ვართ?!

ტატომ პიცის ნაჭერი თეფშზე დადო.

— კი, ცოტათი ყველა მანიაკები ვართ — თქვა ტატომ და სახე დაჯღანა.

ელენეს შეეშინდა და შიშისგან გაიცინა, შემდეგ თქვა:

— მე მართლა უნდა წავიდე, სადაცაა ჩემი მატარებელი მოვა — ელენემ საათს დახედა — ხუთ წუთში.

— მატარებელი თვლემს, როგორც ლავა, მატარებელი ხუთ წუთში გავა — წაიჩურჩულა ტატომ და ჩაი მოსვა.

ელენეს არ უყვარდა პოეზია, უფროსწორად გაურბოდა.

— ბათუმში მიდიხართ? — კითხა ტატომ.

— კი.

— ერთად წავიდეთ — თქვა ტატომ, ხელსახოცი აიღო და ხელები გაიწმინდა.

ელენემ დაბნეულობისგან ნერწყვი გადაყლაპა.

ვაგონ - რესტორანში

ტატოს მარჯვენა ხელში დანა ეჭირა და ვაშლს ფრცქვნიდა. „ეხლა უცებ რომ წამოდგეს და ყელი გამომჭრას, ყველაფერი დამთავრდება“ გაიფიქრა ელენემ და რამდენიმე წამით თვალები დახუჭა. ყელგამოჭრილი საკუთარი თავი დაინახა და გააჟრიალა. თვალები გაახილა. „არ მინდა სიკვდილი“ გაიფიქრა ელენემ.

ტატომ გაფრცქვნილი ვაშლი შუაში გაჭრა. ელენემ თეფშზედადებულ ორნაწილად გაჭრილ ვაშლს დახედა. ტატომ თეფში აიღო და ელენეს გაუწოდა. ელენემ ვაშლი აიღო და ჩაკბიჩა. ტატომ თეფში მაგიდაზე დადო.

— თქვენ არ გინდათ ვაშლი? — კითხა ელენემ და მოკბეჩილი ვაშლის ნაჭერი პირისკენ წაიღო.

ტატომ კვლავ დანა აიღო, ელენემ უნებურად თავისუფალი ხელი ყელზე გაისვა.

— მე ვაშლის დაჭრა მიყვარს — თქვა ტატომ და ვაშლის ნაჭერი შუაში გაჭრა — იყო ძველად ასეთი ფილოსოფოსი თალესი, რომელიც ამტკიცებდა...

— თალესი — გაიმეორა ელენემ — არ გამიგია და რას ამტკიცებდა ეს ფილოსოფოსი თალესი?

— ისეთს არაფერს — ტატომ ორად გაჭრილი ვაშლი ოთხ ნაჭრად აქცია — ბავშვობაში ძალიან მიყვარდა მატარებლით მგზავრობა, შენ?

— მეც, ბორბლების ხმა მომწონდა, შენ მოგწონდა ბორბლების ხმა?

ტატო და ელენე შენობით ფორმაზე გადავიდნენ. ბავშვობის გახსენება სხვანაირად შეუძლებელი იყო.

— მეც ძალიან, დგნ-დგნ, დგნ-დგნ — ტატომ გაიღიმა — მატარებლის ხმა არ შეცვლილა, ჩვენ შევიცვალეთ.

ელენეს თვალწინ ერთერთი ძველი ფოტო დაუდგა, სკვერში რამდენიმე დაქალთან ერთად გრძელ სკამზე იჯდა და იღიმოდა.

— კი, ჩვენ შევიცვალეთ — თქვა ელენემ სევდიანად — შენ რამდენი წლის ხარ?

— ოცდათხუთმეტის — ტატომ დანა მაგიდაზე დადო და ელენეს შეხედა — შენ?

— ოცდაათის — თქვა ელენემ და გაიფიქრა „კიდევ ერთი ამდენი და არავინ აღარაფერს მკითხავს, ალბათ, ისე მოვკვდები.“

ვაგონ-რესტორნის კარი ხმაურით გაიღო. ვაგონ-რესტორანში თინეიჯერები შემოვიდნენ. რამდენიმე გოგო და ერთი ბიჭი. ხმაურით მიუსხდნენ მაგიდას. ხმაურით აირჩიეს საჭმელები, ხმაურით შეუკვეთეს არჩეული საჭმელები ოფიციანტს, შეკვეთის მოლოდინში ხმაურით გაჭორეს ვიღაც ლაშუნა და სოფკა.

— აურზაური არაფრის გამო — ჩაილაპარაკა ტატომ.

ელენემ გაიღიმა.

— შექსპირი ვიცი ვინც იყო — ელენეს მოერიდა და აღარ თქვა, რომ შექსპირი მისი საყვარელი მწერალი იყო. ელენეს არ უყვარდა მატრაბაზი ადამიანები. ელენეს რამდენიმე გაგონილი იდიოტიზმი გაახსენდა „ვგიჟდები ტარკოვსკიზე და ბერგმანზე“, „ო, მარსელ პრუსტი“, „ჩვენი თაობა დოსტოევსკიზეა გაზრდილი.“

„ღმერთო, რატომ დავიბადე ესეთ სისულელეში“ ელენემ უნებურად ზვივით აიხედა. ვაგონ-რესტორნის ჭერი თეთრი იყო. ადრე თეთრი ფერი ელენეს ამშვიდებდა, ადრე.

ელენემ თავი დაწია, ტატოს შეხედა:

— ჩემგან რა გინდა?

სასტუმროს რესტორანში

შემწვარი კალმახის ქვეშ მწვანე ფოთლები იდო, კუთხეებში ლიმონის თითო ნაჭერი. ელენეს უყვარდა შემწვარი კალმახი, მწვანე ფოთლებიც, ლიმონი ნაკლებად; ბავშვობაში დედა აძალებდა ლიმონის ჭამას, რაღაცისთვის იყო ლიმონი ძალიან სასარგებლო, შეიძლება სისხლის მიმოქცევისთვის, ელენეს ზუსტად აღარ ახსოვდა.

— მამაჩემს ძალიან უყვარდა სათევზაოდ სიარული — თქვა ტატომ — ერთხელ მეც წამიყვანა. მამა მდინარესთან იდგა, ხელში ანკესი ეჭირა და ღმერთს თხოვდა, რომ თევზი დაეჭირა, მე ვიჯექი და ვფიქრობდი, როგორი იყო ღმერთი და როგორ უსმენდა მამას. შენი აზრით, როგორია ღმერთი?

— ამბობენ, რომ კეთილი — გაიღიმა ელენემ და გაიმეორა — ამბობენ..

— ფიზიკურად როგორი გგონია.

— ძალიან სიმპატიური — თქვა ელენემ და ორივემ გაიცინა.

ბავშვობაში ელენეს ღმერთი ეგონა დიდწვერებიანი კაცი, ფართო თვალებით და შუბლით.

— ღმერთი და ფიზიკურობა რთული ამბავია — თქვა ტატომ და შემწვარ კალმახს დანა დაუსვა.

— დაიჭირა მამამ თევზი? — კითხა ელენემ ტატოს და მარჯვენა ხელი თმაზე გადაისვა.

— კი, დაიჭირა, მე დავიწყე ტირილი, ცოდოა, ცოდოა-თქო ვეუბნებოდი მამას, მამამ ამიხსნა, რომ თევზი ცოდო არ შეიძლება იყოს, რომ თევზებიც მშვენივრად ჭამენ ადამიანებს.

ელენემ წარმოიდგინა, როგორ იწვა ზღვის ფსკერზე და როგორ ჭამდნენ თევზები, როგორ აწიწკნიდნენ პატარა ნაწილებად ხორცს.

ტატომ ელენეს კალმახის ნაჭერი დაუდო თეფშზე. ელენემ დაუნდობლად დაუსვა კალმახს დანა. კალმახი გემრიელი იყო. ელენეს უხაროდა, რომ თვითონ ჭამდა და არა მას ჭამდნენ. „უკანა კბილები მაქვს გასაკეთებელი“ დაასკვნა ელენემ.

რესტორანს დიდი ფანჯრები ქონდა. ფანჯრებზე ლურჯი ფარდები იყო ჩამოფარებული. ტატო წამოდგა. ერთერთ ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადაწია და განათებულ ქალაქს გახედა. მარჯვენა ხელი მინას მიადო, რამდენიმე ხანს ასე იყო. შემდეგ მაგიდასთან დაბრუნდა. ელენეს უნდოდა, ტატოსთვის ეკითხა, რატომ ადგა, მაგრამ ვერ კითხა, შეეშინდა. „რატომ ვარ ამ ადამიანთან ერთად?“ კითხა შეშინებულმა საკუთარ თავს, სხვა ბევრი შეკითხვის მსგავსად არც ამ კითხვაზე ქონდა პასუხი.

ტატომ მარჯვენა ხელი შუბლზე მიიდო.

ზღვისპირას, მიტოვებულ კაფეში

ზღვა იყო მშვიდი. ელენე და ტატო ზღვისპირას მიტოვებულ კაფეში იდგნენ, რადგან სკამები არ იყო. ელენეს ხელში მზესუმზირით ნახევრადსავსე პატარა პარკი ეჭირა. ელენე და ტატო მზესუმზირას აკნატუნებდნენ.

— ამ ადგილს ალბათ ვინმე იყიდის — თქვა ელენემ.

— ნაყიდი თუ არ აქვს უკვე ვინმეს, კი, აუცილებლად იყიდის.

ელენემ მიტოვებული კაფეს ადგილზე წარმოიდგინა ახალი შენობა, ხალხი და მოენონა. პარკში ჩაყო მარჯვენა ხელი და მზესუმზირას მოურია, შემდეგ რამდენიმე ცალი ამოიღო პარკიდან და სათითაოდ გაფრცქვნა. ტატო ჩენჩოებიანად ჭამდა მზესუმზირას. ელენეს ეს არ მოწონდა, მაგრამ შენიშვნას არ აძლევდა ტატოს.

— არ მეტყვი, მაინც რას ამბობდა ის ძველი ფილოსოფოსი, რა ერქვა?

— თალესი.

— ჰო, თალესი, რას ამბობდა?

— ისეთს არაფერს — თქვა ტატომ და პარკიდან ნახევარი მუჭა მზესუმზირა ამოიღო — ნოემბერში ზღვაზე რა გინდა?

— ისეთი არაფერი — ელენემ გაიცინა — კაი გეტყვი: ორდღიანი კონფერენციაა „ომი და კავკასია“ და მოხსენება უნდა წავიკითხო.

— და რა უნდა თქვა — ტატომ მზესუმზირა პარკში ჩაყარა — აღარ მინდა.

— არც მე — ელენემ პარკს თავი მოუკრა.

ოდნავ მოშორებით ძაღლმა ძუნძულით ჩაიარა.

— დავიღალე და მეძინება — თქვა ელენემ.

— სასტუმროში წავიდეთ — შეთავაზა ტატომ.

— შენ სად დაიძინებ?

— შენ ნომერში — თქვა ტატომ და ზღვას გახედა.

გზაზე ელენემ მზესუმზირიანი პარკი ნაგვის ყუთში ჩააგდო.

ელენეს ნომერში

ელენე ფანჯრის რაფასთან იდგა. თეთრი ჭიქა ორივე ხელით ეჭირა და ჩაის სულ უბერავდა.

ტატო ელენეს პირდაპირ, მაგიდასთან იჯდა. მაგიდაზე თეფში იდო, თეფშზე — ორცხობილები.

— შენ არამგონია ყველა კაცი ამოგყავდეს შენს ნომერში — თქვა ტატომ და ორცხობილა აიღო, შეათვალიერა და უკან დადო.

— რა გაინტერესებს, ბოზი ვარ თუ არა? — ელენემ გაიღიმა და ჩაი მოსვა.

— მოგწონვარ თუ არა?!.

— გინდა ჩემი მოხსენების დასაწყისი წაგიკითხო?

ტატომ გაიღიმა

— წამიკითხე.

ელენემ ჭიქა მაგიდაზე დადო, ტუმბოსთან მივიდა. უჯრა გამოაღო, ფურცლები გამოიღო და უჯრა მიხურა, ფურცლებს დახედა „რა სისულელეა ეს ყველაფერი.“ გაიფიქრა ელენემ და კითხვა დაიწყო:

კავკასია ყოველთვის რთული რეგიონი იყო, აქ იშვიათად იყო მშვიდობა, კავკასიელი ხალხებისთვის — ელენემ კითხვა შეწყვიტა, ტატოს შეხედა — აღარ წავიკითხავ, არ მინდა.. ელენემ ფურცლები საწოლზე დაყარა.

— შენ რას აკეთებ ცხოვრებაში, იმის გარდა, რომ ქალებს ეკიდები?

— შენ პირველი ხარ, არავის არასდროს არ ავკიდებივარ.

— ყველას ეგრე ეუბნები?

— თუ არ გჯერა ნუ გჯერა.

— არ მჯერა.

— არადა გჯერა, უფროსწორედ გინდა, რომ გჯეროდეს.

— რაღაც გკითხე.

— ვყიდულობ, ვყიდი როგორც ყველა. განსაკუთრებულს არაფერს. შენგან განსხვავებით.

— რატომ დამცინი?! — ელენემ მაგიდიდან ჭიქა აიღო და ჩაი მოსვა.

— არ დაგცინი — ტატო წამოდგა და ელენესთან მივიდა, ტატო ოდნავ მაღალი იყო ელენეზე, თვალებში ჩახედა და გაიმეორა — არ დაგცინი.

ელენემ ორი ნაბიჯი გადადგა უკან.

— შენ იატაკზე დაწვები — თქვა ელენემ, ჭიქა ტუმბოზე დადო და საწოლიდან ფურცლები წამოკრიფა.

— უაზრობაა ცხოვრება — თქვა ტატომ.

— რომ მოგცე, აზრიანი მაინც ვერ გახდება.

— შენ მომეცი დაა...

ორივეს სიცილი აუტყდა. სიცილი პირველმა ელენემ შეწყვიტა.

— შენ წვები იატაკზე.

შუაღამისას

— გლვიძავს? — ელენე საწოლზე წამოჯდა.

— კი — ტატომ დაამთქნარა — მღვიძავს.

ტატო იატაკზე იწვა. მარცხენა ხელი თავქვეშ ქონდა ამოდებული. ტატომ მეორეჯერ დაამთქნარა.

საკონფერენციო დარბაზში

ელენემ მოხსენების ტექსტი წაიკითხა, რამდენიმე შეკითხვას უპასუხა და გაითიშა. კონფერენციის მონაწილეების ჟესტებს ხედავდა, თუმცა რას ლაპარაკობდნენ ეს ადამიანები, არ ესმოდა. ასეთი რამ ერთი წლის წინათაც დაემართა, როდესაც დაბომბილ ქალაქში ჩავიდა, ხედავდა ადამიანებს, მათ ჟესტებს, მაგრამ არ ესმოდა რას ლაპარაკობდნენ, დიქტოფონი ქონდა ჩართული და მათ ხმებს იწერდა, რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ელენე თბილისში დაბრუნდა და ჩაწერილი ხმები გაშიფრა დაასკვნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე ყველაფერი ომისკენ მიდიოდა ადამიანებისთვის ომის დაწყება მაინც მოულოდნელი იყო; ეს ომი სიკვდილივით იყო, ყველაფერი სიკვდილისკენ მიდის, მაგრამ სიკვდილი მაინც ყოველთვის მოულოდნელად მოდის.

ელენემ აქეთ-იქით გაიხედა. ამ სახეებს უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში ხედავდა. „ნეტა ტატო რას აკეთებს?“ გაიფიქრა ელენემ და უნებურად მხრები აიჩეჩა, შემდეგ მოულოდნელად გაიაზრა, რომ ტატოსთვის თავისი სახელი არ უთქვამს და არც ტატოს უკითხავს. „იქნებ საერთოდ არ ქვია ტატო“ ელენეს შეეშინდა. „რა უნდა ჩემგან?“ ელენეს ამ შეკითხვაზე პასუხი არ ქონდა.

კონფერენციაზე შესვენება გამოცხადდა. ელენე მოსაწევ ოთახში შევიდა. სიგარეტს მოუკიდა. „მშია“ გაიფიქრა ელენემ, სიგარეტი მარცხენა ხელიდან მარჯვენაში გადაიტანა.

ტატო ელენეს ნომერში

ტატო ელენეს საწოლზე იწვა. ხელები გაშლილი ქონდა. ტატომ თვალები დახუჭა და ორი ჯარისკაცი დაინახა, ხელში ურროები და დიდი ლურსმნები ეჭირათ. ლურსმნები ჯერ ხელისგულებზე დაადეს, შემდეგ ურროები კარგად მოიმარჯვეს. ტატომ თვალები გაახილა. საწოლზე წამოჯდა, ტელეფონი აიღო და ნომერი აკრიფა. ყურმილი მეოთხე ზარზე აიღეს, ტატომ ყურმილი დაკიდა და კვლავ თვალები დახუჭა. ჯარისკაცები აღარ ჩანდნენ. მინდორზე იდგა. მარტო იყო. ხელში კომბალი ეჭირა. „სად არიან ჩემი ცხვრები“ ეკითხებოდა საკუთარ თავს.

ტატომ თვალები გაახილა, წამოდგა და აბაზანაში შევიდა. რამდენიმე წამით სარკის წინ გაჩერდა. გაიღიმა, დაიმანჭა, ენა გამოუყო საკუთარ ანარეკლს, შემდეგ გაიხადა და კაბინაში შევიდა, წყალი მოუშვა, მარჯვენა ხელი შეუშვირა წყალს, შეამოწმა, რამდენად ცხელი იყო. ზედმეტად. წყლის ტემპერატურა დაარეგულირა და წყლის ქვეშ დადგა. თვალები დახუჭა და გაშეშდა.

ალაფურშეტი

ელენემ თეფში აიღო და მაგიდასთან მივიდა. ერთი ყველიანი ბლინი გადაიღო, ერთი ნაჭერი შემწვარი ქათამი, ერთი ნიგვზიანი ბადრიჯანი. იგრძნო, რომ უკნიდან ვიღაც მიუხლოვდა. მიიხედა. ელენეს უკან ჯაბა იდგა, მისი კოლეგა-კონკურენტი და თაყვანისმცემელი. ელენე და ჯაბა ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა ფონდების ოფისებში. ჯაბა ელენეს ყოველთვის სტანდარტულ კომპლიმენტებს ეუბნებოდა და სადღაც პატიჟებდა. ელენეს არ მოწონდა ჯაბა.

— ძალიან საინტერესო მოხსენება იყო — უთხრა ჯაბამ ელენეს.

ელენემ გაიღიმა.

— დიდი მადლობა — ელენემ ქათმის ხორცი აიღო და განზრახ ველურად გაძიძგნა; „მკიდია ამათი ვითომ ზრდილობა, ისე იქცევიან, გეგონება ტუალეტში არ დადიოდნენ და ფრთიანი არსებები იყვნენ, სულ მკიდია ამათი ვითომ ზრდილობა, ვითომ წესრიგი, ვითომ ცხოვრება, დავიღალე.“

— კარგად გამოიყურები — უთხრა ჯაბამ ელენეს და მაგიდიდან ორი ჭიქა წითელი ღვინო აიღო, ერთი ელენეს გაუწოდა.

— არ მინდა — უთხრა ელენემ ჯაბას — და საერთოდ არასდროს არ შეგხვდები და მითუმეტეს არასდროს დავწვები შენთან — ელენეს არც შეუხედავს ჯაბასთვის ისე გაცილდა. პირველივე ჯგუფს შეუერთდა, სამნი იყნენ, სამივე კონფლიქტოლოგები და თანამედროვე ომების შესახებ საუბრობდნენ.

— თანამედროვე ომი ლოკალურია — ამტკიცებდა ერთერთი.

— და რა არ არის ლოკალური — გააწყვეტინა ელენემ — ყველაფერი ლოკალურია. ცხოვრება, ურთიერთობები, და იცით რატომ? — კონფლიქტოლოგები დაბნეულად უყურებდნენ ელენეს — უმრავლესობაში თქვენნაირი ტიპები რომ არიან იმიტომ, არაფერზე არ ფიქრობთ, გაზუთხული ფრაზებით ლაპარაკობთ, გრანტის დამტკიცების გარდა არაფერზე არ ფიქრობთ.

ელენეს ცრემლები მოაწვა, რომ არ ეტირა, პირი საჭმლით გამოიტენა.

ტატო ზღვისპირას პურით ხელში

ტატო მარკეტში შევიდა, პური იყიდა, ნაყიდ პურს დახედა „წავალ თოლიებს ვაჭმევ“ გაიფიქრა და მარკეტიდან გამოვიდა. თმა ცუდად ქონდა გამშრალი. გაახსენდა როგორ უმშრალებდა ბავშვობაში დედა თმას, გაეღიმა „დე, ცოტა ნელა, თავი მომძვრება“ ჩაესმა თავისი ბავშვობისდროინდელი ხმა. ტატოს გაახსენდა, როგორი იყო მაშინ, პატარა გამხდარი ბიჭი, გაახსენდა, როგორი იყო დედა, როგორ სახლში ცხოვრობდნენ.

ზღვა ღელავდა, ზღვის თავზე თოლიები ფარფატებდნენ. ტატომ პურს პატარა ნატეხი მოატეხა და ზღვაში გაისროლა, ერთერთი თოლია ზღვისკენ დაეშვა. ტატომ მეორე ნატეხი მოატეხა პურს. შეცივდა. ქურთუკის საყელო გახსნა, კაპიშონი გამოიღო და თავზე წაიფარა, შემდეგ პურის ნატეხი ზღვაში ისროლა. ჰორიზონტს გახედა „მგონი იქაც არაფერი არ არის“ გაიფიქრა და კენჭებიან ნაპირს დახედა, ერთი კენჭი აიღო და დააფურთხა „ზღვა თუ“, კენჭი ამოატრიალა, „ხმელეთი?“ კითხა საკუთარ თავს „სულერთია“ იღრიალა და კენჭი მთელი ძალით ცისკენ აისროლა. თვალი ვერ მიადევნა და ჩათვალა, რომ კენჭი ცაში დარჩა, გაეღიმა, სწორედ ამდროს იგრძნო, რომ თავში რაღაც დაეცა. ტატოს პური ხელიდან გაუვარდა.

ელენე სასტუმროს ნომერში

ელენემ იბანავა და ტანსაცმელი გამოიცვალა. საღამოს კაბა ჩაიცვა. სარკესთან დადგა. ჩაიხედა. ელენეს იშვიათად მოწონდა საკუთარი თავი, არც ეხლა მოეწონა. საწოლზე ჩამოჯდა. „უშნო ვარ“ გაიფიქრა ელენემ.

ბავშვობაში ელენეს დედა თმას უწნავდა და ნაწნავზე ცისფერ ბაფთას უკეთებდა. „რა ლამაზი გოგო მყავხარ“ ეუბნებოდა დედა ელენეს და ელენეს ჯეროდა, რომ ლამაზი იყო, უხაროდა, რომ ლამაზი იყო, თუმცა წარმოდგენა არ ქონდა, რას ნიშნავდა სილამაზე და რაში შეიძლებოდა მისი გამოყენება.

ელენე წამოდგა. ხელები კაბაზე ჩამოისვა. საათს დახედა. „ტატო ალბათ აღარ მოვა“ გაიფიქრა ელენემ. ელენე ვახშამზე კონფერენციის მთავარი კოორდინატორის აგარაკზე იყო დაპატიჟებული.

ელენემ მაგიდიდან ჩანთა აიღო და კარისკენ წავიდა. კართან გაჩერდა, მოტრიალდა. საწოლთან მივიდა, მუხლებზე დადგა და საწოლისქვეშ შეიხედა „არ არის და აღარც მოვა.“

ელენე წამოდგა და სწრაფად გავიდა ნომრიდან. დერეფანში კაბა მარჯვენა ხელით ჩამოიფერთხა.

კაფეში

ტატო კაფეში იჯდა და ჩაის სვამდა. დროდადრო თავზე იკიდებდა ხელს და თითებს ფრთხილად კოპზე ისვამდა. კოპი თანდათან დიდდებოდა. ტატომ სიგარეტს მოუკიდა. გააბოლა. ტატო ფანჯარასთან იჯდა. გამვლელებს უყურებდა. ჩაი უგემური იყო. კოპი დიდდებოდა, გამვლელები ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ. ტატომ სიგარეტი საფერფლეში დაფერთხა.

— ზაფხული სულ სხვაა — უთხრა ერთმა ოფიციანტმა მეორეს.

— ჰო — თქვა მეორემ.

— კიდევ ერთი ჩაი — უთხრა ტატომ ორივე ოფიციანტს.

მხოლოდ ერთი გაინძრა.

ვახშამი აგარაკზე

ელენე განზრახ ჯაბას გვერდზე დაჯდა. ჯაბას ერთდროულად გაუკვირდა და ესიამოვნა ელენეს საქციელი. ჯაბამ ელენეს წითელი ღვინო დაუსხა. ელენემ ჭიქა აიღო და ღვინო მოსვა

— შენი აზრით ეს ყველაფერი წინასწარაა დაგეგმილი, თუ შემთხვევით ხდება? — კითხა ელენემ ჯაბას.

ჯაბა დაიბნა:

— რა ყველაფერი?

— ცხოვრება.

— არ ვიცი — თქვა ჯაბამ და მხრები აიჩეჩა — არ მიფიქრია.

— არც მე ვიცი — თქვა ელენემ — გაგიმარჯოს.

ელენემ ჯაბას ჭიქა მიუჭახუნა. ჯაბას უხაროდა ელენეს არცოდნა. დალიეს. ჯაბამ სალათიანი თეფში აიღო.

ტატო ავტობუსში

ტატო პირველივე მოსულ ავტობუსში ავიდა. ტატოს არ აინტერესებდა, საით მიდიოდა ავტობუსი. ტატო ბავშვების წინ დაჯდა. ბავშვები დედასთან ერთად იყვნენ. დედა დაღლილი იყო. უაზრო მზერით იყურებოდა ფანჯარაში. ტატოს ერთხელ შეხედა. ბავშვები ხმას არ იღებდნენ, ერთმანეთს ფეხსფეხზე ურტყამდნენ. ორნი იყვნენ. ბიჭები.

— ბავშვებო, რატომ დაიბადეთ თუ იცით? — კითხა ტატომ ბავშვებს.

ბავშვებმა და დედამ დაბნეულად შეხედეს ტატოს. უფროსწორად ბავშვებმა მორცხვად და დაბნეულად, დედამ — გაკვირვებით და დაბნეულად.

— არა — უთხრა ერთერთმა და თავი მორცხვად ჩაღუნა.

— დაიბადეთ იმიტომ, რომ მოკვდეთ — ტატომ ბავშვებს გაუღიმა.

ბავშვები ტატოს დააკვირდნენ, ხოლო დედამ ტატოს შეუტია:

— რეებს ეუბნებით ბავშვებს!

— სიმართლეს, ქალბატონო.

ქალი წამოდგა. „თავში რომ მთხლიშოს ღირსი ვარ“ გაიფიქრა ტატომ და მოემზადა „მთავარია კოპში არ მომხვდეს“ ტატომ ოდნავ უკან გადაწია თავი.

დედამ ბავშვები წამოაყენა. ანიშნა, რომელ სკამზეც უნდა დამსხდარიყვნენ, შემდეგ ტატოს მოუბრუნდა:

— ბოროტი ხარ და უზრდელი — დაახასიათა ტატო.

— არა, ქალბატონო, მე უპასუხისმგებლო ვარ — თქვა ტატომ და გაიკრიჭა.

ცეკვა და დესერტი

ელენე მასპინძელმა მიიწვია საცეკვაოდ. ელენე დათანხმდა. ჯაბამ იეჭვიანა. ელენესთვის სულერთი იყო, ჯაბა იეჭვიანებდა თუ არა. ელენემ მასპინძელს მხრებზე დაადო ხელები, მასპინძელმა ხელები წელზე მოხვია ელენეს და ცეკვა დაიწყეს. ცეკვავდნენ დუნედ.

— ელენე, აღფრთოვანებული ვარ თქვენი მოხსენებით — უთხრა მასპინძელმა.

— თუ ჩემით — ელენემ გაიღიმა.

— თავისთავად თქვენითაც.

— როგორც ქალით? — კითხა ელენემ.

მასპინძელმა მხოლოდ გაიღიმა

— თქვენი აზრით ცხოვრებაში ყველაფერი შემთხვევით ხდება, თუ ბედისწერით? — ელენემ თვალებში შეხედა მასპინძელს.

— ადამიანი თვითონ ირჩევს, ცხოვრება გაკეთებული არჩევნების ჯამია. აი, ჩვენ ვცეკვავთ და ეს ჩვენი არჩევანია —თქვა მასპინძელმა და ორი ნაბიჯი გადადგა უკან, ელენე მიყვა. შემდეგ გაჩერდა, მასპინძლის მხრებიდან ხელები აიღო და ერთი ნაბიჯი გადადგა უკან და მთელი ძალით თხლიშა სილა მარჯვენა ლოყაში. ყველამ მათ შეხედა.

— ჩემი ეს არჩევანი თქვენთვის ბედისწერაა თუ შემთხვევითობა?

მასპინძელმა სტუმრებს შეხედა, შემდეგ მაგიდასთან მივიდა, ღარნაკიდან ლამაზი ყვავილი ამოიღო, ელენესთან მიბრუნდა, ყვავილი გაუწოდა და უთხრა:

— იმედია, ჩემი არჩევანი თქვენთვის სასიამოვნოა.

ელენემ ყვავილი გამოართვა და ჩაკბიჩა.

— დიდი მადლობა, ძალიან გემრიელია — შემდეგ სტუმრებს შეხედა — ქალბატონებო და ბატონებო, მივესალმოთ ჩვენს მასპინძელს და უბრალოდ ნამდვილ ჯენტლმენს.

სტუმრებმა ტაში დაუკრეს.

— რა ამაღელვებელი მომენტია არა?! — უთხრა ელენემ მასპინძელს და ყვავილი მეორეჯერ ჩაკბიჩა.

სასტუმროსთან

ტატო სასტუმროსთან იდგა. ხელები ჯიბეში ქონდა ჩაყოფილი.

„ყველაფერი კარგადაა...“

ფიქრობდა ტატო.

ელენე და ჯაბა

— გამაცილებ? — კითხა ელენემ ჯაბას. ჯაბამ დაბნეულად შეხედა ელენეს. ელენემ გაუმეორა — გამაცილებ?

ჯაბამ თავი დაუქნია.

ქუჩაში ციოდა. ელენემ ხელკავი გამოდო ჯაბას და უთხრა:

— რაც გითხარი ხომ გახსოვს?! შენთან არასდროს არ დავწვები, მაგრამ მოგისმენ როგორ გამჟიმავდი.

— ბატონო??? — ჯაბა შეჩერდა.

— რა იყო — ელენემ გაიღიმა — არ გიფიქრია მაგაზე?

— მიფიქრია — აღიარა ჯაბამ.

— მომიყევი — ელენემ ჯაბა მკლავზე დაქაჩა — თან ვიაროთ.

ჯაბამ პირველი ნაბიჯი გადადგა და თქვა:

— რავიცი, ჩვეულებრივად.

— ჩვეულებრივად საინტერესო არ არის — ელენემ ტაქსის დაუქნია ხელი. ტაქსი გაჩერდა. ელენე ტაქსისკენ წავიდა.

ჯაბამ მიაძახა:

— მოიცა, არ წახვიდე, გეტყვი.

ელენემ ტაქსის ანიშნა წასულიყო. ტაქსი წავიდა. ელენე ჯაბასთან მივიდა.

— გისმენ.

ელენე ჯაბას თვალებში უყურებდა, ჯაბამ თავი დახარა და დაბალ ხმაზე თქვა:

— ჯერ გაგხდიდი, დაგაყენებდი შიშველს, ცოტახნით. მე სავარძელში ჩავჯდებოდი და — ჯაბა გაჩუმდა, ელენეს შეხედა, ელენე უღიმოდა — ჯაბამ გაიმეორა — და, და — ჩაახვია ჯაბამ — არაფერი, არაფერი არ მინდა.

— წამო ჩემთან ნომერში და გავაკეთოთ ეგ — უთხრა ელენემ ჯაბას და კვლავ ტაქსის დაუქნია ხელი.

ელენეს ნომერში

ელენემ ნომრის კარი გააღო. ელენე და ჯაბა ნომერში შევიდნენ. ჯაბას გული უცემდა. ელენემ შუქი აანთო. ჯაბამ ერთი წამით თვალები დახუჭა, შემდეგ გაახილა და სავარძელში მჯდომი უცნობი კაცი დაინახა. ჯაბა გაშეშდა. ელენე საწოლზე დაჯდა.

— ტატო, გაიცანი, ეს ჯაბაა, ჩემი კოლეგა და კონკურენტიც ერთდროულად, ნომერში ამომყვა, უნდა, რომ გამაშიშვლოს მერე მანდ — ელენემ ტატოს სავარძელზე მიანიშნა — დაჯდეს და ჩემზე დაანძრიოს.

ტატო წამოდგა.

— უკაცრავად, დაბრძანდით, ბატონო ჯაბა.

— არა, იცით, მე წავალ.

— წახვალ არა... ჯერ გააჯვავ და მერე გასრიალდები.

ტატო ჯაბასკენ წავიდა. ჯაბამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა უკან. ტატომ მკლავში ჩაავლო ხელი და ძალიან მშვიდად კითხა:

— ესეიგი, რას იზამთ, ბატონო ჯაბა?!

— წავალ — ტატომ მკლავზე ხელი მოუჭირა — უკაცრავად, გავაჯვამ და გავსრიალდები.

ტატომ ჯაბას ხელი გაუშვა.

ელენეს ნომერში (გაგრძელება)

ტატომ კარი მიკეტა და საწოლზე ელენეს გვერდზე ჩამოჯდა, ხელი ხელზე დაადო და უთხრა:

— აღარ მინდა, დავიღალე, მოვრჩეთ.

ელენემ ტატოს შეხედა

— მოვრჩეთ, კაი — ელენემ ტატოს მხარზე დაადო თავი — მე ძალიან ჩავერთე, შენზე ისე ვფიქრობდი, თითქოს მართლა არ გიცნობდი.

— დავრეკე, თვითონ მიპასუხა.

— მერე — ელენემ თავი აწია.

— არაფერი, დავუკიდე.

— გინდა, რომ ნახო?

— კი.

— წამოგყვე?

— არა.

—კაი.

ელენე წამოდგა. შუქი ჩააქრო და გახდა დაიწყო.

ტატო საწოლზე გადაწვა.

დილა

ტატოს ცუდად ეძინა, უფროსწორად თითქმის არ ეძინა. გათენებისთანავე წამოდგა, აბაზანაში შევიდა, შხაპი მიიღო და იქვე მოფსა. აბაზანიდან გამოვიდა, ჩაიცვა. ელენეს შეხედა, მიხვდა, რომ ელენეს არ ეძინა, უბრალოდ თავს იმძინარებდა. გაეღიმა, ელენესთან მივიდა, თავზე აკოცა.

— ძალიან მიყვარხარ — უთხრა ჩურჩულით.

ელენე მოიკუნტა.

ტატო კარისკენ წავიდა, კარი ფრთხილად გააღო და გავიდა. ელენემ კარის დაკეტვის ხმა გაიგო და საწოლზე სწრაფად წამოჯდა. აქეთ-იქით მიიხედა, შემდეგ ხელი ნიკაპზე გაისვა ნერვიულად.

ტატო ტაქსში

ტატომ ქურთუკის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, მძღოლს შეთავაზა, მძღოლმა თავი დაუქნია მადლობის ნიშნად და სიგარეტი ამოიღო, შემდეგ სანთებელა გააჩხაკუნა. დუმდნენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ მძღოლმა დუმილი დაარღვია:

— მოვედით.

ტატომ მძღოლს ფული მისცა და მანქანიდან გადმოვიდა.

ჰაერზე

ტატომ ღრმად ჩაისუნთქა, შემდეგ ამოისუნთქა „რამდენი ჩასუნთქვაც არსებობს, იმდენი ამოსუნთქვაც“ გაიფიქრა ტატომ „ბალანსი სიკვდილის წინ ირღვევა“. ტატომ ქურთუკის საყელო გაისწორა და მის წინ მდგარი ძველი, სამსართულიანი სახლი შეათვალიერა. შემდეგ სახლისკენ წავიდა, სადარბაზოს კარი გააღო და შევიდა. ტატოს მეორე სართულზე ქონდა საქმე.

ელენე და სიხარული

ელენემ ჩემოდნები ჩაალაგა. ორივე ჩემოდანი საწოლზე დადო, დადო რიგრიგობით: ჯერ ერთი, შემდეგ მეორე, ჯერ თავისი, შემდეგ ტატოსი. „ძალიან კარგი“ გაიფიქრა ელენემ „წავალთ და აღარასოდეს დავბრუნდებით ამ საშინელებაში“.

ელენე სავარძელში ჩაჯდა. ხელები სავარძლის სახელურებზე დაანყო და ღრმად ამოისუნთქა. „აღარასოდეს დავბრუნდებით ამ საშინელებაში“ ფიქრობდა ელენე და უხაროდა, სიხარული ძირითადად ხანმოკლეა, ელენე რამდენიმე წამს იყო გახარებული, შემდეგ ტატოზე დაიწყო ნერვიულობა.

ტატო კართან

ტატომ კარზე საკუთარი გვარი წაიკითხა. ნერვიულად გადაისვა თავზე მარჯვენა ხელი — კოპზე მოუხვდა, ეტკინა. ქურთუკი ორივე ხელით დაქაჩა და ზარი დარეკა. ზარის დარეკვის შემდეგ კიდევ უფრო ანერვიულდა. უნებურად კიბისკენ გაიხედა, მაგრამ გაქცევა არ უფიქრია.

ტატომ ჯერ ფეხის ხმა გაიგო, შემდეგ საკეტის გადატრიალების ხმა. კარი გაიღო და ტატომ ის დაინახა, ვისი დანახვაც უნდოდა.

— გამარჯობა, მამა — ტატო მამას მიესალმა.

ტატო წარსულში

მამა რომ გაქრა, ტატო 9 წლის იყო. გაზაფხულის ერთ ჩვეულებრივ დღეს ტატო სკოლიდან სახლში დაბრუნდა, სახლში მხოლოდ დედა და ბებია დახვდნენ, არ გაკვირვებია, მამა შუადღეს იშვიათად იყო სახლში, ამიტომაც არაფერი უთქვამს, ხელები დაიბანა და სამზარეულოში დაჯდა. საჭმელი ბებიამ გაუცხელა. ტატომ ჭამა დაიწყო. ჭამდა, როგორც ყოველთვის, სწრაფად, მაგრამ ამჯერად არც ბებიას და არც დედას შენიშვნა არ მიუციათ, ჭამის შემდეგ ტატომ საშინაო დავალება გააკეთა და ეზოში გავიდა სათამაშოდ.

უკვე რამდენიმე წელი იყო, რაც დედა აღარ წვებოდა ტატოს გვერდზე და აღარ უყვებოდა ზღაპრებს. დედა უბრალოდ შედიოდა ტატოს საძინებელში, თავზე კოცნიდა ტატოს, ტკბილ ძილს და კეთილ სიზმრებს უსურვებდა და საძინებლიდან გადიოდა.

იმ დღეს დედა ტატოს მიუწვა. ტატოს გაუხარდა. დედას მიეკრო. დედამ ტატოს თავზე გადაუსვა ხელი და უთხრა:

— მამა წავიდა.

— სად? — ტატომ ოდნავ აწია თავი.

— ტრაკში — თქვა დედამ და ატირდა.

ტატო და მამა

ტატო და მამა პირისპირ დასხდნენ.

— რატომ მოხვედი? — კითხა მამამ. ღელავდა.

— ისე — ტატოც ღელავდა.

ტატოს სხვანაირად ქონდა ეს შეხვედრა წარმოდგენილი.

— მაშინ ვუყუროთ ერთმანეთს და რომ დაიღლები, წადი — თქვა მამამ და ჩაახველა.

ტატოს ქონდა ეს შეხვედრა წარმოდგენილი.

— კარგი.

თხუთმეტი წუთის განმავლობაში უყურა ტატომ მამას, შემდეგ ადგა და წამოვიდა. სადარბაზოდან გამოსულმა ტატომ გაიფიქრა: „ამ კაცზე ნერვიულობამ მოკლა დედა“. ტატო ზღვისკენ წავიდა. ზღვასთან გაჩერდა. ქურთუკი გაიხსნა, ქამარში გარჭობილი პისტოლეტი ამოიღო და ზღვაში გადააგდო. მთელი ძალით ისროლა, ტატოს მთელი ძალა არ იყო დიდი.

ტატო და ელენე ჩემოდნებით

ჩემოდნები გაიყვეს. ელენეს მძიმე ჩემოდანი ტატოს ეჭირა, ტატოს მსუბუქი ჩემოდანი — ელენეს.

ელენემ ტატოს შეხედა და კითხა:

— რა ქენი?

— ვერაფერი — თქვა ტატომ და გაჩუმდა, თუმცა შეეძლო თავი ემართლებინა.

თვითმფრინავში

ტატო ილუმინატორთან იჯდა. ელენემ თავი მხარზე დაადო ტატოს:

— იცი, რა მიხარია?

ტატომ ელენეს დახედა:

— რა?

— ამ საშინელებაში რომ აღარ დავბრუნდებით არასდროს.

ტატომ ელენეს მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მოკიდა ნიკაპზე, ოდნავ მიაწვა, თვითონ თავი ოდნავ დაწია და ტატომ და ელენემ ერთმანეთს აკოცეს.

— მე ცაში მინდა რომ დავრჩეთ — თქვა ტატომ.

* * *

წავიდა, თითქოს, ნათურა ჩაქრა
რა დამიტოვა?
ანევრიზმები – ოჯახურად მწითური
მანდარინის ბიჭები,
თავიდან მათი პლანტაცია ამომაქვს,
ნეიროქირურგის ბებიაქალობით –
მაღალი ძაბვა რომ მოვარდება
დეფიციტური ელექტრონის პირობებში,
ისე დასანახად,
საკუთარი სისხლიანი მონაწილეობით,
არა მარტო დასწრებით,
ან ყურის მიგდებით,
საგნები მაფერხებენ,
შუქის რეფლექსიას ვცდილობ მათთვის,
მაინც, ისეთი სიმუქეა,
ჩემივე ჩრდილმა რომ შემჭამოს...
წავიდა,
თითქოს ნათურა ჩაქრა...

ოფელია

შენ ხომ არ იცი,
რა სიტყვები ამოვიხიე პირიდან,
ქარი რომ შემექმნა!
თავი წინ მისწრებდა,
კოპებს ილურჯებდა,
ხეები ქროდნენ,
ჰაერი ქვასავით იდო
უფსკრულზე, როგორც მკვდრის თვალებზე.
რაც გინდა ზმნები მოგება ფეხებზე,
ქარშიც ვერ შეხვიდოდი მეორედ,
ვარდნას ვერ გაექცეოდი,
მარტო წიაღი იყო დადებითი სიღრმე,
იქიდან ამოსული,
თეთრი სასვენი ნიშნებით
გამომყვეს ყველასგან, ძალიან განმაზოგადეს,
ჰერაკლიტეს ანტიკვარული სახელოდან
გამოასხეს მდინარე, ერთხელ და ჩემთვის,
მე კი უმადური კაცი მიყვარდა,
დღესაც რომ დგას,
როგორც ფიქრის გამხდარი ძეგლი
ჩემს არარსებულ საფლავზე...

* * *

მარცხენა გვერდზე რვეულის ხახუნისგან
ცეცხლი მიჩნდება, კუთხეში ვანთივარ,
დანარჩენ ფართობზე – ჩემი ნაწყვეტები,
ანარეკლები,
მერე, აულაგებელი ლოგინების ეროტიკა,
რძეში ჩაყრილი მარწყვის ჟრუანტელი...
ამას ელექტრონი არ გაანათებს,
ან იქნება გამიზნულად მკაცრი
როდინდელი დეკადანსია
ლექსი ლექსისთვის!
აბა, აკეცილი ლოგინები,
ფსიქიატრიული საავადმყოფოს ბოლოთი?
რვეული და მელანი,
ჩემი ციხის პური და წყალი...
რა ტკბილი იყო
რძეში ჩამხობილი მარწყვის ჟრუანტელი...

გზა (უგზოობა?)

როცა ჩემი გზაა, თვალებში შუქნიშანს იყენებენ,
ხმაში – მანქანების მტვრევას
აქედან – ძვირადღირებული,
კომერციული სევდა,
განსაკუთრებით,
დაწითლებული თვალების,
წინ გადაქანებული თავის,
ბარიკადივით საწერი მაგიდის ფონზე,
იქაც, სისხლი პირიდან –
შეუძლებლობის პირობითი ნიშანი...
ეს ნატურალისტური დეტალები
ლექსშიც მუშაობენ:
ოქროს დუმილი, ვულგარული მრავალსიტყვაობა...
ვინ გაზომა სიტყვის ლიტრები,
კილოგრამები, კილომეტრები?
თუ გზას ამოახვევ ჰორიზონტიდან:

ლია სტურუა

ნაცრისფერს, ფრჩხილებში სევდიანს,
გაცილებით, შეუხედავს
იმ კომერციულზე, თავისუფალზე, ავტობანზე.
ჩემი გზა ჩიხებით ჩაკეტილია.

ფოტო

თმების ენერგია ფოტოზე არ ჩანს
მიწაში რომ ჩავუშვა,
ვინ ამოყვება?
იასამანი თანახმაა დედაჩემობაზე,
შავ ღვინოს ვერ გაუგია,
რატომ შეაწერეს ჩემი მამობა
რაც სხეულიანია, უფრო ეგოისტია
დღის და ღამის შუქს ვინ კითხა,
პირდაპირ მშობლებად გამიმწესეს,
ცა ჩამომიწიეს.
მერე, ისინი, სამოთხის მიწიდან
არცოდნის ამომთხრელები?
ნაივური ვაშლებით წაქეზებულები,
ტანინიანი ვენახებით?
კიდევ, სხვები,
გაშეშებული ფოტოების იდენტურები?
ნამდვილი დედაჩემი
მიწის ღერძს ატრიალებს,
რომ მომიახლოვდება, ცოტა გაღუნავს,
გულის მოწურვით ვგრძნობ ამას,
ენერგია ფოტოზე არ ჩანს...

მცენარე

ზამთარი მეფშხვნება თავზე:
ჭერის ცარცი, ჭურჭლის ფაიფური,
ნაწიბურებში მცენარის
შესაძლებლობა შემეპარა,
სულ არ გავალ გარეთ,
ისე გავახარებ,
გამოჟონილი სისხლის
წითელი სასუქით.
ბევრი გინახავთ აყვავებული შვილები?
ლექსივით ძნელები,
მაგრამ მადლიერები
მარტო ამ ნაკაწრებისთვის,
გლუვ და უნერვოდ
ჩაფიქრებულ ზედაპირზე,
ტკივილი, ისედაც, ორმოებზე მეტია...

თვალი არ მაცდუნებს

მარჯვენა თვალზე ფეხი დავიდგი,
მარცხენა სენტიმენტალურია, წყლიანი,
მშრალად ვერც ამოიგლიჯავ.
ყოველდღიურ კაცებს
რაბლე მოუჩანთ პირიდან,
სილიკონის ბორცვებს ეპოტინებიან
(პიეტეტი მთების მიმართ),
აჭრილი რძესავით ჰაერის ფაქტურას,
ხელმოსაჭიდს,
მოუხელთებელი სუბსტანციები
ჩემთვის და ჩემისთანებისთვის,
კოლენკორის ყდებიც,
შემოფცქვნილი კლასიკიდან –
უმუცლო ბიბლიოთეკა,
აქედან – სიჩუმე
და არა დუმილი მრავალმნიშვნელოვანი
სიმართლე საიდანღა?
რეპრესირებული ბიძაჩემის
პლევრიტიანი გვერდების,
გამხდარი კუთხეებისგან აგებული
მისი ცოლის დავიწყებული ტკივილიდან
ლექსი თუ გამოდნა?
რამდენიმე კაცს თუ გადაედო
გრიპივით: ყელის ჩახევით,
ბზიკებით სახსრებში,
იმხელა ტყუილით,
რომ, უკვე, სიმართლით,
ოღონდ, არა სწორი ხაზის
უმოკლესი მანძილით,
არამედ გარშემოვლით: გზაზე ტალახის,
ნაჩუქარი ნეკნების, გვამების აკვრით
ეს კინო მიდის ჩემს თვალებში,
რომლებზეც ფეხი როგორ დავიდგა?

* * *

ასეთი ყელი-ცხენების ქარი,
გედთან შედარება სალონური,
ამიტომ ფრჩხილებში,
ნუთუ, სული რომ ამოუვა,
ჩაიფუშება?
მეორე ვარიანტი:
გლანდების წითელ პარმაღს
რომ ვერ გადმოაბიჯოს?
ანგრიოს მიწა, გლიჯოს სარეველა,
ხეების ბოლო წერტილიდან
დაიმახსოვროს ქალაქი,
ჩემი მრავალსართულიანი ავტოგრაფი...
როგორ გამექცა,
რა პეგასობა იკისრა
თვითმფრინავებით გატენილ ცაში!
ჩემი დაღვრემილი სახე
სიმბოლოდაც არ ჭირდება,
თუნდაც, შიშისთვის,
აქედან ბოლო სიხარულამდე
ბიბლიის ხორცი უდევს,
სტიგმატებით დახვრეტილი,
როგორ უნდა ამის გამოთქმა!
ქვევით რომ არ დარჩენოდა –
ყელის ფესვი,
საიდანაც ლაპარაკი იწყება...

იოსიფ ბროდსკის

წვიმა, თუ თოვლი, ვერ გაიგებ, დრო საშუალო,
გადახრილია აქეთ-იქით, ზამთრისკენ, უფრო,
ყვავის ალოე, ძველი სახლის აქსესუარი
და მოწითალო თევზის ხორცი არბილებს სუფრას...
რატომ ვართ უბრად? რა მტვერს იკრებს სახის ღარები,
ელექტრონივით, რამდენ სიტყვას გვაძლევენ სულზე?
რომელიც, კიდევ, სქოლიოთი გამაძღარია,
რა გინებას და ინცესტებს და მუსიკას უძლებს
ზოგადად ღმერთი, კერძოდ, სიტყვა და თევზის ხორცი,
დიდება ხორხებს, ციფრებისგან გადაგდებულებს!
ციფრები უფრო ცუდად ვიცი, იოსიფ ბროდსკი!
მაგრამ სიმწყობრე მათი, მაინც, მავალდებულებს
გეომეტრიას ოთახებში და არა სითბოს,
ესთეტიკიდან არმოწველას მურაბის წვენის,
ხორცზე სპილენძის ხერხემალი მაცვია, თითქოს,
იგულისხმება საყვირებში ჟრიალი დენის,
არ ვიცი, მისგან სიცოცხლეს, თუ სიკვდილს ვეცადო,
რომ სიმდორეში ჩაიხრახნოს სისხლის მორევი,
საავიაციო ზონის ზემოთ სულ სხვა ზეცაა,
რთული ვაშლების და მარტივი მეტაფორების,
მეტამორფოზის, ფრთების სახით აქ თუ გადმოვა
ყოფის ნულები, კუთხე ლექსის, ყინული მოცდის,
თუ გაუნაღდებს აბსოლუტურ სულის მამობას
და საღამოთა უჟამობას გაუთბობს ბროდსკის.

გურამ დოჩანაშვილი

რაც უფრო მახსოვს, და მეტად მაგონდება

ნაწყვეტი მომავალი რომანიდან

ვააჰხ-ხ! — რეციდივისტი, მაგრამ, ასეთი? მაგრამ, ისე-კიჰ შემოგვცინის? — მაგას ბითური პროკლოვები ხუარ ვჰ-გონივართ, აჰ! — აღარ იქნება დღეიდანვე ჩვენი ფეხი აქ, რომლებსაც უნდა აი იმა თავზეძალიანხელაღებულებიდამ იმათა თხარონ აემ სოფელში, ბარგის შესაკვრელ თოკებისაკენ გაგვირბის თვალი მაგრამ, რა გვესმის, ადამიანო, ეს!!:

— წუხელის რავა მოისვენეთ,-ო, — ხედავთ?.. არა, თქვენ ჰხედამთ გვეკითხება, რას!?

და, ვეღარ ვითმენთ თვალწინ რაცგინდა გვედგას ძალიანაცე ღენერალურათ ბოროტმოქმედი და ხმელზე მფატრავადმკვლელი კაცთმოძულე თუ ზღვად — მეკობრე გინდაც ცალთვალაუხვევი ანდ ციმბირულის განათლებით რეციდივისტულ-მეცნ.-ბათა სრულიდოქტორი და მათთანანი...; და, აამისთანას წინაშეც კი, ვეღარ, ვერვითმენთ:

— ისე მოისვენა მტერმა!.. და მაწყევარმა... მივდივართ დღესვე.

— გაწყენინეთ, ჩემობატონო, რამე? — გაკვირვებულია ვითომაცდიდათ მხარზეგადებულ ალესილთოხიანი — არტისტ! თვალთმაქც-მიმოსი!.. დჟამბაზ ნესჩასტნიი!

და, თავთვითდაცვისათვის? იმისსა თოხს თვალს ვერ ვაცილებთ და, ისე:

— ჩვენც კიგვაქვს წერაქვები... დიახ! წვეტიანები ძალზე!..

მოგვიწონა, ეს:

— გიშველათ, გამჩენმა! აბა აქ სად იშოვით რამეს...

და, შემოგვღიმა; ...

ისე, რომ ითქვას, კარგირამეა ღიმილი, ესი, რადიოზედაც მეტივუმფრო, გამოგონებაა ტუჩთ-თანმხლები, კი, არის, ისი (— ღიმილი ანუ). იმ რადიოებში მოპრუტუნეეფს რა-რას შეატყოფ(-ბ) რა უდევს, გულში, ღიმილზე კიდეე, როგორც ა-ახლა, იჭვი გვიჩთება რო კაიკაცია, სუფთა, გულწრფელი, ალალ-რაჭველი, და, ვბედავთა და, ვეკითხებით:

— რამ აგაჩხუბათ ისე ძალიან, თან ბნელიღამით...

— რავა, ბატონო... — დაბნეულია...

— რავა და, ძაანაც ბღავილკივილებამდე რომ მიიყვანეთ რაღაცა გლახა დიდად, საქმე!

გაოცებულა:

— რაფრა...

— რაფრა მოქალაქევ (არეულებ-ვართ, ჩვენც...) და ისე იმფრა რო გაკიოდით სიმწრით ძაან, მთელიწუხელის!

აქ, ნამეტანი გაიღიმა, ის მერე რა რომ უხერხულებაც კი-ერია, ღიმის ნამეტურ მოძალებით:

— არა ბატონო, ჩხუბს კი არა და პატარე მიწევ-მოწევას და გადაკიდებას რა უნდა, ჩვენში... მორიგე იყო ალბათ, ბატონო... ჩვენში...

— ვინ ჩვენში...

— მორიგე, სოფლის. —

აბნეულებად დაბნეულები ვართ, ძალიანი:

— რისი მორიგე...

— რისი და, თქვენიჭირიმეებო, ჩვენ ყოველიღამ ვმორიგეობთ მაჩვმა სიმინდი არ შეგვიჭამოს... ვკივივართ, მიტომ, მონაცვლეობით... ვაფრთხობთ. გუშღამ ზურიკას ეკივლა უნდა... მაჩვებისი გულგასახეთქათ და დასაფრთხობათ... კიოდა მიტო! მოუკვტა იმას მისიპატრონი...

— ვის მოუკვდა... ჰა... — დაგვრია ისევ შიშმა, ყინელი... — კაცო, პატრონი მოუკლეს ვის... ვის ეს... ზურიკის? — ვუთანაგრძობთსავით, ალბათ იმიტომც, სიდარბაისლისაკენ ვულამაზებთა ზურიკას, სახელს, — კიოდა მიტომ?.. თუ, თითონ მოკვდა... — არეულნი, ვართ. ახლართულები.

— არა ბატონო, ჯვარი წერია... ცოტანები ვართ, ისეც... ეს ის მაჩვები გადაგებულიყვნენ ნეტა!

ვდუმვართ, შევცქერით; და, მაინც რაა, ადამიანი?! — იმ სუახლახან რა შიშნაჭამზე, გვეღიმებასავით, კიდეც...

— მაჩვი ბევრია ძალიან ჩვენში. ისედაც ძლივსე მოგვყავს სიმი(ნ)დი, ჯერ მარტო იმისი თესვა არ გინდა შენ!?, ვაკეადგილი სადაა ჩვენში, ლაგატკებით ვთესავთ იმას გორიანებზე...

ვა

ბექა ქურხული

ორი მთვარის ამბავი

„ღმერთო, ჯერ სხვას მიეცი და მერე მე მომეციო...“

პაპაჩემ ფირუზ ლევანიჩ ქურხულის ნათქვამი ყოველ დილით, როცა ავლაბარში ელიაზე საკუთარ იტალიურ ეზოში ონკანზე პირს იბანდა.

დასაწყისი № 42-45

მაგათი მომსწრე ჩვენი მამების ახალგაზრდობაში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მალაკნიაანთ ქიტა პაპა.

გამოვიდოდა თავისი დაბალი, კრამიტით გადახურული სახლიდან. აივნის საყრდენი ბოძები ისე ჰქონდა მიწაში ჩარჭობილი, როგორც წასაქცევად წინ წავარდნილი კაცი ბოლო წამს თითებს დაეყრდნოს, გამოვიდოდა თვითონაც თავის სახლივით წინ ჯოხისაკენ წახრილი. შავი მრგვალი, ჯერ კიდევ ლიბრ-გადაუკვრელი თვალებით. ვინ იცის, როდინდელი იყო. ცოლებიც ბლომად დაემარხა.

მოჩვენებასავით შეუმჩნევლად მოდგებოდა სოფლის ბირჟაზე, წყაროსთან. შუაში ჩადგებოდა, ჯერ კარგა ხანს ათვალიერებდა, რომ გაეგო ვინ იყვნენ, ვინ ვისები, ვის როგორ უნდა დალაპარაკებოდა. თუ ვინმე ეუცხოვებოდა, ჯოხს მიუმიზნებდა „ეგ ვინღააო...“ უცხოები არ უყვარდა. ყველაფერი თუ მოესურვილებოდა — „აბა, მიიწ-მოიწიენით, ბიჭო, ჩამსვითო“ და ჩაეკვეხებოდა გრძელ ხის სკამზე. რა დიდი ადგილი მაგას სჭირდებოდა, ცარიელი შალვარ-ხალათი დარჩენილი. ძველი შალის საკერებელდადებული შარვალი ეცვა, შალვარს ეძახდა. შიშველ ფეხზე ზამთარ-ზაფხულ შალისავე წინდები და ქალამნები ეცვა. კალოშები საგარეოთა ჰქონდა გადადებული, სამკვდროდ ინახავდა. ზემოდან დამჭკნარი ყელიდან გამოჩრილ ყანყრატოსთან შეკრული შავი ხალათი ეცვა. დაჯდებოდა თუ არა, ამოიღებდა ყვითელ დაფლეთილ თამბაქოს ფოთლებს, გაახვევდა გაზეთში და გააფუყებდა.

ბიჭები უკვე გარს იყვნენ შემოჯარულები, ჩაუმუხლავდნენ ქიტა პაპას ფეხებთან, აჰყურებდნენ დაპატარავებულ, თამბაქოს ბოლში გახვეულ, დაძონძილ ნაბდის ქუდში ჩაკარგულ სახეს და ერთმანეთს ხელის კვრით აქეზებდნენ: „შენ უთხარიო...“ უთხარი კარგია, იმიტომ, რომ მალაკნიანთ ქიტა პაპა ყრუ იყო როგორც... ყრუ! ბოლოს ყველაზე ოხერი გამოიდებდა თავს და ქვევიდან აჰყვირებდა:

— მიდი რა, ქიტა პაპა, ის გვიამბე, პირველად ღვინო რომ დალიე და დათვერი. აგე, მთელი ბიჭები გეხვეწებითო.

ქიტა პაპას ნელ-ნელა უნათდებოდა თვალები და საერთოდ ყრუც ან იყო და ან არა, როცა უნდოდა თაგვის გაფაჩუნება ესმოდა, თუ არა და თოფის ხმასაც მშვენივრად წაუყრუებდა.

„ნეტა რა გინდათ, შვილო, მაგ სიძველე ამბის ყურის გდება, – იტყოდა ქიტა პაპა გემრიელად, ახლა უკვე რომც მოენდომებინათ, ვეღარც გააჩერებდნენ სანამ ბოლოში არ გავიდოდა, – ჯერ თქვენ კი არა, თქვენი მამები და ზოგის პაპებიც არ იყვნენ დაბადებულები. აღარც მახსონ, განა ყველაფერი მახსონღა. იმის მერე რამდენი ამბავი მოხდა. რამდენი გადაგვხდა. ჯერ მარტო ის მკვდარძაღლი რუსი რამდენჯერ მოიდა და წავიდა. ღმერთმა თქვენც მოგყაროთ ჩემი ხნისა და...

შემოდგომა იყო, რთვლობა ახლად გადავლილი, ღვინოები კი დაღვინებული იყო ახლებიცა. დაღვინებული იყო?.. ჰო და ჰო, ბევრიც აღარაფერი უკლდა დაღვინებას და საღამო ხანს დედაჩემს გამოვექეც თონიდან. ყოჩაღი დედაკაცი იყო. ცხონებული არც თვითონ ჩახრიდა ფეხსა და არც სხვას მოასვენებდა. მამაჩემიც სუ კარში ჰყავდა გაგდებული საშოვარზე და მე რაღას დამმართებდა. არადა, ბალღი ვარ, მთელი სოფელი გარეთ არის გამოსული, მთელი ბიჭ-ბუჭობა იქ არი წყაროს თავმოყრილი. გააქ კოჭებს ჩხრიალი, იქ მიწევს მეცა გული, გამევექეც და შევერიე მეც ბალღებს. კოჭი მქონდა იგეთი, რო კოჭის უნახავს გაგხდიდა კაცსა, წითლად შეღებილი, სუ ალჩუზე ჯდებოდა. თამაშია, ვთამაშობთ და ის იყო მე და დიაკვნიანთ ბალღი დავერიენით – არ წამართო ეს ჩემი კოჭი?.. ჯანიანი იყო ლოყებდატყვერილი. ანდა, რა ჭამა-სმა დააკლდებოდა დიაკვნიაანთ, არც მე უთმობ, რას დაუთმობ ჩემია კოჭი და ხელდახელ მართმევს. არ ვეპუები და რო დამადო მჯიღი ცხვირში და დამსკდა სისხლი, ვტირივარ, თან ეგრე ვეტანები და ზედ ამ დროს გადმობნელდა ერთი უბედურად, გადმოშავდა იქაურობა, დატრიალდა ქარბორბალა, აიწია ძაბრივით, აშალა მტვერი, აიწია, აიწია, აიყოლია ნამჯა და ნაფოტი, წავიდა მაღლა, ასცდა მთავრიაანთ მთავარმოწამის საყდრის ჯვარს, მალე ბნელდება, ძაან მალე, აზრიალდა სოფელი, ატყდა ყვირილი, ძახილი, ქალების წიოკობა, აირია საქონელი, დაფთხვნენ ცხენები, ქორიძიძაანთ ხარმაც გაგიჟებულმა გადმაიდგარუნა ორღობე, წყაროსთან დაბზრიალდა ან რო არავინ მოიყოლა ქვეშა და გეენთო ზმუილით ტყისკე... დაიკარგა მემრე ის ხარი. ბნელდება და ე ქარბორბალაც ცოფდება, რო კარგი ღეკურის მოთამაშესავით სუ წრეზე ბზგრიალებს, მარტო წივილიღა ისმის და თან აიყოლა ჩხავილით ბატიკვერცხიაანთ ქათმიჭამია ჭრელი ძაღლი, წაიღო ზეით მიაფარა თვალს. ამის დანახვა იყო და ამ გაშეშებულმა, ერთმანეთ მიხორხლილმა ბალღებმა რო მოვაღეთ პირები და დავენთეთ ჩვენ-ჩვენი სახლებისაკენ ღრიალით. მე აკი იგრედაც ვტიროდი და კიდე მოუმატე... გარბის ე დიაკვნიაანთ ბალღიც დიაკვნის სახლისკენ ჯღნავილით, თან ეს ჩემი კოჭი ჩაუბღუჯამს მუჭში. ეგეთი გაფუჭებული იყო იმთავიდან...

სახლში რო შევვარდი, ი დაბერებული პაპაჩემიღა დამიხვდა, დედაჩემი ჩემს საძებრად გამოვარდნილიყო, მამაჩემი აღარ მახსონ სად იყო, სადმე იქნებოდა. შევცვივდით მე და სულგანათლებული პაპაჩემი მარანში. ჩავიკეტენით შიგნიდან, ვიჭვრიტებით მუშტისტოლა სარკმლიდან.

აღარა ჩანს რა, ხმა ისმის მარტო, უმატებს და უმატებს ხმას, ზრიალებს, ანგრევს ქვეყნიერებას, რო მეორედ მოსვლის ჟამია, ზედ გრუხუნი, ელვა, ჭექვა, სუ თრთის, იძვრის არემარე. ხან იქიდან ავარდება კივილი, ხან აქედან, როგორც ოსმალი დაეცეს, გააქ გუგუნი დაუნდობლად... იწერდა საწყალი პაპაჩემი პირჯვარს: „ეგე ჩვენი ცოდვებისთვინ, რო ვეუბნებოდი ამ ჩვენ ხალხსა ნუ ჭამთ ერთმანეთს, ნუ აბეზღებთ, ნუ აბრალებთ ერთმანეთს რაღაცებსა-მეთქი, ნუ უწევთ ერთმანეთს მიჯნებსა და ნუ იჩაგრავთ საწყალსა და ქვრივ-ობოლს და ვერაფერი გავაგებინევ, აჰა, და დავიღუპენით, მე მაგათი ეგრე და იგრე, დაგვხვევია ე წყეული კუდიანი ქარბორბალა და ამოგვგუდამს ეხლა ერთიანადო. ე დალოცვილი ღმერთიც გამწყრალი გვყავ და აღარც მოგვხედამს ზედა, ეგონათ აღარ მოვა, ღმერთი აღარ გაგვირისხდება და გაპაპაქორავდნენ, რამდენი ხანია აღარ გამოჩენილა ე ოხერ ტივლის კუდიანი ქარბორბალა, პაპაჩემის მამის მერე აღარავის უნახავს და ეგე მოვესწარით.“ ძაანა დარდობდა საწყალი პაპაჩემი, მე კი ცოტა მოვსულიერდი, პაპაჩემის იმედი იმთავითვე ძაანა მქონდა. სხვანაირი კაცი იყო. ეხლა სადღა არიან ეგეთები, წავიდნენ... მარტო კოჭი რო გამხსენებოდა, მაშინ ავსრუტუნდებოდი ისევა, ბალღი რო მაინც ბალღია, თორემ რაღა მეკოჭებოდა, კაცო, უმატებს და უმატებს ი წყეული, არა დგება, გვიტაცებს დედამიწიდან ერთიანად, სუ ნგრევის და ვაების ხმა შემოდის გარედან, გადაფითრდა პაპაჩემიც, თეთრად ჩანს მარნის სიბნელეში. ჩვენ კი ე მარანი გვიფარავს, არ უშვებს არ ეპუება დალოცვილი, მივკვრივარ პაპაჩემს ფეხზე, აღარ ვშორდები, ძაან შევშინდი, უკვე გამისკდა გული. იმ მუშტისტოლა სარკმელშიც გვეტაკებოდა ე ღვთისრისხვა კუდიანი ქარბორბალა, ხან რას შემოგვიყრიდა, ხან — რას. იწევდა, მაგრამ ვერ ეტეოდა, მარანში გზას ვერ იკვლევდა, გარედან კი მაგრად გვაუთოებდა, აჭრიალებდა მუხის კოჭებსა და ბანის მიწაც რო დაგვეშავა თავზე, მაშინ კი მოხადა პაპაჩემმა საზედაშე ქვევრსა და „ამოდი, შვილო, მოდი ორი ქართული უთხრათ ერთმანეთსაო“ — მითხრა. სუ ათი-თერთმეტი წლის ბალღი ვიყავ, მანამადე ვინ დამალეინებდა. აიღო პაპაჩემმა ორი თიხის ჯამი, შეუბერა სული, მტვერი გაარიდა. ერთი მე მამაწოდა, მიუსხედით ქვევრსა აქეთ-იქიდან. ჩაყო ჯამი პაპამ ქვევრში, ღვინო ამოიღო და დაილოცა: „ნუ დაგვწყვიტამ, ღმერთო, ნუ გაამარჯვებინებ ჩვენზე უწმინდურსა და ეშმაკის ძალას, შეგვეწიე, აგრემც შენს სახელს ვენაცვლები, განა ღირსები ვართ, მაგრამ რომ დავწყდეთ, შენც ხომ არაფერი შეგემატება და ჩვენ კიდენა არა ვართ მეტნი და რა ვქნათო...“

დიდხანსა ვსვით, ვიდრე დაგვეძინებოდა. უმატებდა და უმატებდა ის წყეული ქვეყნის ამოგდება, მაგრამ დაგვიფარა ზედაშემ დიდი მადლი აქვს მარანსა.“

დაამთავრებდა მოყოლას ქიტა პაპა და მერე კარგა ხანს ჩუმად იჯდა. აღარავის უყურებდა ზედ.

გარშემო ჩამომჯდარი ბიჭები არხეინად იკრიჭებოდნენ, მაგარი ბალღებისები იყვნენ, თავი რომ გაგეტეხა, ვერ გაუტეხავდი, კუდიანი ქარბორბალა არა ფეხები, მაგრამ კარგი მოსასმენი იყო. ქიტა პაპა კარგა ხნის მერე, ვისთანაც კარგი ღვინო ეგულებოდა, იმას მიაშვერდა ჯოხს.

— გაიქე ერთი ლიტრიანით იმ თქვენი კარგი ღვინისა გამამირბენიე, გამიშრა ყელი ამდენი ყბედობითა.

— იმის მერე აღარ გამოვარდნილა კუდიანი ქარბორბალა?

— არა, მერე სტალინი მოვიდა, ღმერთმა გაახაროს, და მოგვაშორა ეგ წყეული, იმ დიაკვნიაანთს კი ვეღარ წაართვა ჩემი კოჭი, დეეკარგნათ.

— ალი, ქიტა პაპა?..

— ალი ახლაც არის, შვილო, ეგე ჩვენ ტბაში, მა ხალხი განა გიჟია, რისთვის ერიდება მაგ ადგილს უხსოვარი დროიდან მოყოლებული სამიდღემშიოდ... ალი უკვდავია – ქალები არიან ეგენი. თავიდან, სულ ადრე, ათაპაპის ჟამს, მთავრიაანი დაეჭირა და იმას, იმ მთავრიაანთ ბიჭს შემოჰკვდომოდა ზედ ტბასთანვე და ეგ იყო. მაგიტო ეძახიან მთავრიაანებს ალის ჯიშისებს, ალის ჯიშისები არიან ეგენი, მაგათი შთამომავლება მოსდგამთ.

ხო ბიძაჩემი იყო ისიდორე მღვდელი, მაგრამ ჩემს ბავშვობაში, ჩვენი ეზოს წინ რო ამოივლიდა, შიშით გული გადამიქანდებოდა ხოლმეო — პაპაჩემის ძმა ოთარა ჰყვებოდა.

სულ ეგრე მახსოვს, რომ პატარა ვარ, ეზოში ვთამაშობ და უცებ ამოჩნდებოდა ჩვენს უბანში, მაღალი, უზარმაზარი, ანაფორით, ანაფორაზე ვერცხლის დიდი, ძვირფასი ქვებით მორთული ჯვრითა და ვერცხლისვე ჯაჭვით. მოდიოდა, მოაფრიალებდა ანაფორის კალთებს და გრძელ, მთლად გაჭაღარავებულ გადათეთრებულ თმა-წვერს. ჭიშკართან მამაჩემ გიორგის თუ დაინახავდა და იმას გამოელაპარაკებოდა ერთი—ორი წუთით. მამაჩემ გიორგისაც, არ ვიცი, მეჩვენებოდა თუ მართლა სხვანაირი რიდი ჰქონდა თავისი ძმისა. თვითონ არ დაიძახებდა, არც თავს მოაბრუნებდა, ისე მიდიოდა სახლისკენ, თითქოს ვიღაცას უნდა შეასწროსო. ერთიორჯერ შემთხვევით ისე მოხდა, რომ თვალი თვალში გავუყარე, უცებ შევხედე და როგორც გახურებულ, გაცხელებულ თორნეში, ახლად გაღვივებულ ნაკვერჩხლებში ჩაიხედო, ისეთი თვალები და გამოხედვა ჰქონდა. მართლა მეშინოდა მთელი ბავშვობა, რომ დავინახავდი გავრბოდი და ვიმალებოდი ხოლმე.

ოთხი ბიჭი ჰყავდა — ერეკლე, ელეფთერი, არჩილი და დავითი. ორი სურათი გვაქვს ოჯახში დარჩენილი. ერთი მარტო ისიდორე მღვდლისა, მე როგორიც მახსოვს, ასაკში, ყველა რომ ამოუხოცეს, თეთრი თმა-წვერით, ანაფორით, ჯვრით და გიჟის თვალებით. პირველი სურათი კი ჯერ კიდევ ნიკოლოზის დროს უნდა იყოს გადაღებული, ისიდორე მღვდელი ახალგაზრდაა, ზის თავის ფოფოდიასთან და ოჯახთან ერთად. შავი გრძელი დატალღული თმა მხრებზე ჩამოშლია, წვერი მკერდზე სცემს, დიდ-პატარა თვალები მოუჭუტავს და მშვიდად დაულაგებია ხელები ანაფორის კალთებზე. უფროსი ერეკლე თხუთმეტ-ჩვიდმეტი წლისა იქნება, დანარჩენები მიმყოლები, პატარები არიან. ერეკლე თეთრ ჩოხა-ახალუხში და შავ აზიაცკებშია გამოწყობილი, დაუწყვია ორივე ხელი გრძელ სპილოსძვლისტარიან ვერცხლის ხანჯალზე და მამამისივით მშვიდად იყურება. ჯერ არ იციან, რა ელოდებათ. რამდენიმე წელიწადში კომუნისტები მოვიდნენ და დედაბუდიანად დაგვერივნენ: თბილისში ბიძაჩემ ლევანას და მამაჩემ გიორგის ძეხვის ქარხნები და სახლები წაართვეს, საგარეჯოში მიწები და მამულები, სასაფლაოს ღობეც კი მოგვიშალეს, საგვარეულო არ შეიძლება, საერთო უნდა იყოსო. მე შემოვღობე მერე ისევ თავიდან, სუ პატარა ბიჭმა. ბიძაჩემ ლევანას დამკომის კაცი შეეფარებინა ოცდაოთხ წელში, ქაქუცობის დროს, თურქეთში გააპარეო, უთხოვიათ. ბიძა-

ჩემს ერთი აჭარელი დოსტი ჰყავდა, ხულოელი მეჯოგე ილიასა ცეცხლაძე, ამათ ძეხვის ქარხნებს ამარაგებდა საქონლით, დიდი ხნის გარიგებულები იყვნენ. იმ ხულოელ ილიასასთვის გაეტანებინა დამკომის კაცი, იმან გადააპარა თურქეთში. ეტყობა, ვიღაცამ გასცა დილით, რომ ის კაცი გაამგზავრა, საღამოს პირდაპირ სახლიდან აიყვანეს და მეტეხის ციხეში უკრეს თავი. იმ ღამესვე ჩეკაში წაათრიეს დაკითხვაზე: ვინ მოგიყვანა ის კაცი, ეხლა სად იმალება, ვისთან არიო. აბა, ხო არ იტყოდა და წამება და ცემა დაეწყოთ. არაფერი არა თქვა. უკვე გათენებულზე, რო ეგონათ, წამებისას ხელში ჩააკვდათ, უკან მოიყვანეს და სახლის ეზოში დააგდეს. სუ დალეწილი იყო. სახე ვეღარ გავარჩიეო, ბიცოლაჩემი ფეფე იტყოდა. ორი კვირა სუნთქავდა, მერე როგორც იქნა ამოუვიდა სული. იმისგანაც ერთი კარტუზისქუდიანი სურათი დაგვრჩა. არადა, ელიაზე მთელი იტალიური ეზო საკუთრადა ჰქონდა, იქაც ვიღაც სომხები შეასახლეს და ბიცოლაჩემ ფეფეს თავისი ოთხი პატარა ბიჭით ორ მოჭუჭყნულ ოთახში უკრეს თავი. ჩემს ორივე ბიძას, ლევანსაც და ისიდორე მღვდელსაც ოთხ-ოთხი ბიჭი ჰყავდა და ბოლოს ისე მოხდა, ერთი გვარის გამგრძელებელი არ დარჩა ამ ჩემი ბიძაშვილებიდან. მოკლედ, ძალიან მტრობა ჩამოგვივარდა ამ რევოლუციონერებთან. რომ დაიწყებენ ოცდაჩვიდმეტი წელიო, ჰო, მაგრამ, აბა, ოციან წლებში გაწყდა ხალხი, ოცდაოთხ წელში და მერეც... მთელი იმერეთი და კახეთი ამოწყვიტეს, თელაველები. შორაპანში ტყვიამფრქვევებით უცხრილიათ ვაგონში ჩამწყვდეული ხალხი, რედენსი ყოფილა ერთი, სტალინის ქვისლი, იმას ამოუხოცია მთელი იმერლობა, თვითონაც ჩააძაღლეს მერე, ოცდათვრამეტში, თავისიანებსაც რომ დაერივნენ. ეს ამბები იყო და ისიდორე მღვდლის ბიჭებიც არეულან, განსაკუთრებით ჩემი უფროსი ბიძაშვილი ერეკლე. თან, აბა, ის დიდიც იყო და უფროსი რომ იყო, პატარებსაც იყოლიებდა. მე რა მახსოვს, ოცდაექვსიანი ვარ და ჩვენი მეზობელი ქვლივიძიაანთ შალიკო ჰყვებოდა, ათი წლით იყო ჩემზე უფროსი და ის იტყოდა ხოლმე: „დახოცავდნენ, მა რა იქნებოდა, კარგად მახსოვს, თვალნათლივ რო, ეგე, შენი ბიძაშვილი ერეკლე, საგარეჯოს ბაზარში ყველაზე დიდ ბოჩკაზე შეხტებოდა და იქიდან ძაან ხმამაღლა ლანძღავდა ხალხსა: „ცხვრები ხართ, თქვენი დედა ვატირე, ამ გორელი კახპის მეტრანახევრიან ნაბიჭვარს როგორ არტყმევინებთ თავშიო...“ მამაჩემმა გიორგიმაც უთხრა რამდენჯერმე: „გაჩერდი, შვილო, ეგენი განა ჯანდაჯან მოდიან, ვერ ხედავ რა ტრიალებს, ტყუილა გაგვატიალებენო...“ ვინ უგდო ყური, როგორც თოფიდან გავარდნილი ტყვიები, ისეთები იყვნენ ეს ოთხივე ძმა — ერეკლე, ელეფთერი, არჩილი და დავითი – ვის დაუჯერებდნენ. მამამისსა ჰგავდნენ. ისიდორე მღვდელიც ეგეთი იყო, თუ არ გააქეზებდა, თორემ არ დაუშლიდა. ხო მღვდელი იყო, მაგრამ გაფრთხილება არ იცოდა, იმ თავიდან

ეგეთი თავზეხელაღებული იყო ცხონებული. ჯიში არ ასვენებდა იმასაც. ოღონდ ვიდრე ანაფორა ეცვა, რომ მოგეკლა, იმის სახლი, სამყოფელი და ავლადიდება ცეცხლისთვის რომ მიგეცა, ხელს არ გასძრავდა, არ შეგეწინააღმდეგებოდა, წვერით დაგეკიდა, სიტყვას არ შემოგიბრუნებდა, მაგრამ ერთი ე მაგის თქმა იცოდა — „შვილო, ანაფორა არ გამახდევინოო...“ და ვინც იცნობდა, ხომ იმ საათში გაერიდებოდა და ვინც არ იცნობდა, მაგრამ ჭკვათამყოფელი იყო, ისიც უნდა გარიდებოდა, ისეთი ალმური ავარდებოდა თვალებზე. თუ მაინც ვინმეს წერა აიტანდა, ძალიან შეაყელთებდა და არც გაფრთხილება გასჭრიდა, მაშინ კი გადაიძრობდა ანაფორას, ჯვარს ემთხვეოდა, გულის ჯიბეში შეინახავდა და მერე მტრისას, ეს ამოდენა თმა-წვერი აშლილი მხეცივით კაცი გიჟდებოდა, გონში ძლივს აგდებდნენ. განთქმული იყო მთელს საგარეჯოში, ნორიოდან ჩალაუბნამდე ყველამ იცოდა ბიძაჩემის „შვილო, ანაფორა არ გამახდევინოო...“ თან სასულიერო სემინარია ჰქონდა დამთავრებული. სჯულის კანონი ხო ზეპირად იცოდა, ძველი და ახალი აღთქმა, ბერძნული, ლათინური, რუსული და ფრანგული. დიდძალი ბიბლიოთეკა ჰქონდა. ჩემს ძმას, ალექსანდრეს, სულ მაგისგან მოჰქონდა წიგნები.

ხო ეგეთი ხასიათის პატრონი იყო და ხალხს მაინც ძალიან უყვარდა. იმიტომ, რომ ადამიანის შემბრალებელი იყო, ხელის გამართვა იცოდა. შაბათ-კვირას ლოცვას ისე არ დაიწყებდა, ვინც მრევლში გაჭირვებული ჰყავდა, აბგით ხელში კარზე არ მისდგომოდა და არ მოეკითხნა. იტყოდა ხოლმე ცხონებული: „ადამიანს მაძღარს არ ესმის არაფერი და შიმშილით და სიცივით დაბოჟირებულს რაღას შეასმენო...“ ვიღაც ოხერ-ტიალს, დაკარგულს, ურჯულო თათარსა თუ უკანასკნელ ბოგანო გლეხს გამოესარჩლებოდა, ბოლომდე მიჰყვებოდა, მოუვლიდა და უპატრონებდა. „ვერ არის ეს ჩვენი მღვდელი, გიჟია, ვის გადააკვდება ხოლმე ზედა, საიდან ვიღაცას გამოჩხრიკავსო“ — ხალხი იძახდა, მაგრამ თვითონ როცა გაუჭირდებოდათ, კარგად მიადგებოდნენ ხოლმე კარზე: „გვიშველე, ისიდორე მღვდელოო...“ და კიდევაც იცოდნენ, რომ უშველიდათ. ისე, ერთი ქვისკენ და ერთი ეშმაკისკენ, არცა ტყუოდა ეს ჩვენი ხალხი, მართლა უცნაური იყო ცხონებული, თან გაბრაზება იცოდა, ერთი სოფლის ხალხი ვერ აკავებდა და თან ვიღაცისთვის ისე მოიკლავდა თავს, არც დაფიქრდებოდა. ერთხელ თებერვლის ქარბორბალაში ვიღაც ზემო ყანდაურელი უპატრონო ასი წლის ბებერი კვდებოდა, რომ ღმერთსაც დავიწყებოდა და კაცსაც, იმის საზიარებლად წავიდა. იქიდან წამოსულს, გზაზე ცხენს ფეხი მოუტყდა, გაყინულმა ფეხით ძლივს მოაღწია სახლამდე, თმა-წვერზე ყინულები ეკიდა. ერთი დღე-ღამე ალღობდა ბიცოლაჩემი ფოფოდია. ერთხელ კიდევ თბილისიდან ლინეიკით მომავალმა ხაშმის ბოლოზე ციგნები ნახა. ხაშმელები გაექურდათ, ქათმები მოეპარათ, ბურვაკები. მოსწეოდნენ ხაშმელები და მთელს ამათ ჯგუფს, ტაბორს რომ ეძახიან, კეტებით დარეოდნენ, ქალი და ბავშვი აღარ გაეგებოდათ, დიდ-პატარიანად ყველას განურჩევლად უჟაპუნებდნენ. იდგა ტირილი, კივილი და ვაიუშველებელი. ამ ციგნის კაცებს ბებუთები გაეძროთ, მაგრამ ვეღარ აკავებენ გამწარებულ ხაშმელებს, ვეღარ იგერიებენ. გადმომხტარა ისიდორე მღვდელი ლინეიკიდან, გადასდგომია ამ ხაშმელებს ხელგაშლილი — „რასა სჩადით, ცოდონი არიან, გაანებეთ თავი, ღმერთი გადაგიხდითო.“ „მოგვეცა, მღვდელოო...“ არა. არ ეცლება, არ უშვებთ: „კარგი, ხო არ უნდა დახოცოთ, აპატიეთო...“ იხვეწება. დანარჩენი მგზავრები სხედან არხეინად ლინეიკაზე, კაი ლამაზ სეირს უყურებენ გიჟი მღვდლისას, ციგნებისას და ხაშმელებისას. აბა, რა მოხდება. მა ვინ ჩაერევა, ვისა აქვს ორი თავი. „გადი, მღვდელო, მოგვწყდი თავიდან, შენ ვინა გკითხავს, წადი სხვაგან უკმიე, გზას

ბარაქა დააყარეო...“ არა. ვერ აგებინებენ. „ცოდონი არიან შვილოო...“ ისევ. „ე, გამაძღარია თუ რაი ჭირს ამ წვერძაღლსა, ვინ არიო, კაცოო...“ ერთ ყინტორა კომბლიან გლეხს უყვირია, ეს ხაშმელებიც უფრო და ძაან გაბრაზებულან, თან ხალხს ხო ერთად დიდი გული აქვს, ძალასა გრძნობენ და შეუკურთხავთ კარგისები ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... გაჰგიჟებია ამ ისიდორესაც თვალები — „ანაფორა არ გამახდევინოთ, შვილოო...“ „გაიხადე, შენი პატრონი დედაცაო...“ გაიხადა ანაფორა ისიდორე მღვდელმა, ჯვარი მოიხსნა, ემთხვია, გულის ჯიბეში ჩაიდო, ანაფორა იქვე გზის პირას მიჰფინა და გაერია გაავებულ სოფლის ხალხში. ამასობაში ციგნებმა დრო იხელთეს, მოახტნენ თავის ფორნებსა და დროგებს და გაიქცნენ. თავს უშველეს. წაიყოლიეს თან მოპარული ქათმები და ბურვაკები. აქ კიდევ ხაშმელებმა ერთი კოხტად შემოამტვრიეს ბიძაჩემ ისიდორე მღვდელს კოჭები, რო ახლა ორი კვირა იწვა, ადებდა საფენებს ბიცოლაჩემი ფოფოდია, თან, აბა, საყვედური გაებედა, ან ერთი სიტყვა დაეძრა. სხვები უფრო საყვედურობდნენ: „აბა, რა გრჯიდათ, მამაო, რომ იმ უბირ და ტლუ ხალხში გაერიეთ და თავი საფრთხეში ჩაიგდეთო?.. „ქრისტიანობაში ყველაზე დიდი სათნოება მოყვასის სიყვარულია, შვილო, ვისაც ადამიანზე გული არ შესტკივა და არ ებრალება, ის ტყუილად იწერს პირჯვარსო...“ „და უფლის სიყვარული, მამაო?..“ ერთი ჩათლახი დიაკვანი იყო, ბოლშევიკები როგორც შემოვიდნენ, თავისი ნებით გაიკრიჭა და ფერმის გამგედ დაუდგათ. მაგ დიაკვანმა ჰკითხა, ვითომ უნდა ჩაეჭრა. „სწორედ უფლის სიტყვაა, შვილო, დიდება იმის სახელს, ვისაც თავისი ძმა არ უყვარს, არა თქვას, რომ მე ვუყვარვარო... ყოველი საწყალი კაცის შველაზე შენც გეშველებაო...“

ეშველა?.. ერთი ძმა ცემით მოუკლეს ჩეკაში კომუნისტებმა. უფროსი ბიჭი ერეკლეც ჩეკისტებთან სროლაში მოკლეს. ელეფთერი და არჩილი დააპატიმრეს და ისე გააქრეს უკვალოდ, რომ მათი ასავალ-დასავალი ვეღარავინ გაიგო. მარტო პატარამ, დავითმა გაასწრო და ისიც დაიკარგა ამ მალვაში. ზოგმა თქვა, თურქეთშია — სტამბოლშიო, ზოგმა – პარიზშიო. ისიცა თქვეს, აქ არი, ქუთაისში იმალებაო. ფოფოდიაც იმათ ჯავრს გადაჰყვა. როგორია, ერთ წელიწადში ოთხი შეღერებული საცოლო ბიჭის დაკარგვა, თან საფლავიც კი მარტო ერთისა რომ გაქვს. დარჩა ბიძაჩემი ისიდორე მღვდელი მარტოკა, ცალად, ამოდონა სახლში, დადიოდა შუა კომუნისტების დროს ეგრე გაგიჟებული ანაფორითა და ჯვრით. ვერ კი გააჩერეს, მაგის გარდა ყველა მღვდელი გაკრიჭეს ჩვენსკენ, ვერ მოაშლევინეს წირვა-ლოცვა. ბოლოს უკვე ოცდაათიანი წლების დასაწყისში მიადგნენ კომკავშირელები, ვინტოვკებით, ტყავის კურტკებით, წვეტიანი ძაბრულა ქუდებით, წინ დიდი წითელი ვარსკვლავებით. კვირა დღეს მისდგომოდნენ, წირვისთვის რომ ემზადებოდა. კარგად მობერებული და მომტყდარი იყო ისიდორე მღვდელი და ეკლესიაშიც მარტო მოხუცებიღა დადიოდნენ. შეცვენილან კომკავშირელები ეკლესიაში, ეს მოხუცებული ხალხი, თავსაფრიანი დედაკაცები გარეთ გამოუყრიათ და დამდგარან თვითონ. გაფითრებულა ისიდორე მღვდელი, გათეთრებულა ცარცივით ამათ დანახვაზე. ეს ეზოში გაყრილი ხალხიც გამტკნარებულები დგას თავისთვის უმწეოდ, მარტო დედაბრები ბუტბუტებენ ჩუმად. „აბა, ახლა დაკეტე ეკლესია და დაიკარგე აქედან, თორემ გადაგპარსავთ მაგ თმა-წვერს და ციმბირს უკან დაგატოვებინებთო“ — უთქვამთ კომკავშირელებს.

ისიდორე მღვდელი უკვე ამოწყვეტილია. არც ერთი ჩემი ბიძაშვილი აღარ არის. საწყალი ფოფოდიაც კარგა ხნის მკვდარია. ხმას არ იღებს თურმე, ჩუმად ემზადება წირვისთვის. ამათ ზედ არ უყურებს. „ე, არ გესმის ბიძაჩემო, რას ასულელებ ამ ხალხს, რაღა დროს წირვა და ეგენია, დავაი ეხლა სახლში და აქეთ ფეხი აღარა ჰქნაო...“ ისიდორე მღვდელი ისევ ჩუმად არის, ჩუმად დაფუსფუსებს საყდარში... „ჰა, მღვდელო, შენა ვირზე უკუღმა შემოჯდომა ხო არ მოგნატრებია, გადი აქედან, სანამ კაი გუნებაზე გელაპარაკებით...“ ბავშვები არიან ეს კომკავშირელები, სხვა მხრიდან არიან მოსულები, არ იციან, თან ხუთნი არიან და ყელყელაობენ. „შვილო, ანაფორა არ გამახდევინოთო...“ წყნარად უთქვამს ისიდორე მღვდელს. „სწორედ მაგისთვის ვართ მოსულები, გაიხადე ეგ ჯვალო და აუცვი აქედანო...“ „შვილო, წირვა მაქვს ჩასატარებელი, ხალხი მელოდება, სირცხვილია, ანაფორას ნუ გამახდევინებთო...“ "ე, ეტყობა ამას ყურთაკლია, კარგად არ ეყურება, მოკიდეთ ხელი და წამოათრიეთ რაიკომშიო...“ ერთს უთქვამს. „კარგი, შვილო, მაშინო...“ უთქვამს ისიდორე მღვდელს და ეკლესიის კარი შიგნიდან გადაურაზავს. „ხმაც არ გამოსულა, ოდნავი ხმაურიც კი არა ყოფილაო“ — ამასაც ჩვენი მეზობელი ქვლივიძიანთ შალიკო ყვებოდა – იქ ვიყავიო, რავი რა, ყველგან ეგ იყო, – ცოტა ხანში კარი გაიღო და ანაფორიანი ისიდორე მღვდელი გამოვიდა, სათითაოდ გამოათრია ხუთივე კომკავშირელი, ჯერ ვედრით წყალი გადაავლო, მოასულიერა და მერე ხალხს მიუბრუნდა: „ბოდიშს გიხდით, ხალხო, წირვა დამიგვიანდა, შემობრძანდითო“. ვინტოვკები კი არ დაუბრუნა, რომ შევედი, ხუთივე ეკლესიის კუთხეში იდო, ლულებით ზევით, ახლაც მახსოვს შავადა ლაპლაპებდნენო“ — შალიკომ.

ამ წირვიდან ორი წელიწადი გავიდა და ისიდორე მღვდელიც გარდაიცვალა და დაისვენა უბედურმა ბიძაჩემმა. მამამის დავითის აშენებულ მთავარმოწამის საყდარში დავმარხეთ, თავისი ბიჭის ერეკლეს გვერდზე. შუაში ეწვა დედ-მამას ჩემი საწყალი ბიძაშვილი.

დასასრული შემდეგ ნომერში

უცნობი ძალა

დუმს სული, ათას ფიქრებით სავსე
(არც დუმილია ეს!),
ბოსტანში ქალი რაღაცას თესავს,
მიწა ისუნთქავს მზეს.

გამოფენილან ყველანი გარეთ,
ბურთს დააგორებს ბავშვი,
აღფრთოვანება მზიანი დარით
იგრძნობა მთაშიც, ბარშიც.

მონატრებიათ: ღელეებს სიღრმე,
ქორებს — გამართვა ფრთის;
ამ ყოვლად ნაცნობ სურათთა მიღმა
უცნობი ძალა კრთის!

თუ არის სადმე!

თუ არის სადმე, თუ არის ვინმე,
თუ არის რამე, თუ არის რაღაც:
ფიქრი, რომელიც ვერ უძლებს ყინვებს,
გრძნობა, რომელსაც მზის სიცხე დაღავს?

თუ დადის სადმე, შორეულ გზებზე,
თუ აშფოთებს ცას და ითხოვს ვიზას
მზერა, რომელიც ლაჟვარდებს ეძებს,
სული, რომელიც არ დათმობს მიზანს?

რაც სურათებად არ დადგმულა

კვლავ განმეორდა ის, რაც იყო
აქამდეც ხშირად:
მაგიდა. წიგნი. სიმყუდროვე.
ფურცელი სუფთა.
ფანჯრიდან ხედი:
მწვერვალები ლაჟვარდის ხუფთან,
ბაგები, წყნეთი და ნაძვები
წყნეთის გზის პირად.
ისევ ჭიკჭიკი —
სახურავთან ბუდეა მრავლად,
აგერ მერცხალმა წრე მოხაზა,
ზუსტი და მკაცრი,
ასეთი რამე ადრეც იყო —
თუ ხსოვნას გაცრი,
სხვა აურაცხელ მსგავს სურათსაც
მოიწევ დავლად!
შენ განვლე გზები. ბევრიც ნახე —
არ დაიზარე:
ღიმილი. ცრემლი. მზე. ლაჟვარდი.
ტყე მწვანე ნოხთა;
და მაინც ფიქრობ: უმთავრესი
ეგებ ის არი,
რაც სურათებად არ დადგმულა
და მაინც მოხდა!

იქნებ მოჰკრიბო!

თითქოს შეწყვიტეს წამებმა სრბოლა,
თითქოს ქარები ჩადგა,
რაღაცა ფიქრმა გადაიქროლა
და ჩაიკარგა სადღაც.

დარჩა ბევრი რამ გაუგებარი
(კითხვა ლაჟვარდისადმი!),
თითქოს ფიქრების გუნდი გებარა,
შენ კი — დაჰკარგე სადმე.

იქნებ მოჰკრიბო, იქნებ მიაგნო,
ყველა შთაინთქა განა?
შორს ელვარებენ ლურჯნი ციაგნი,
მთებიც იცდიან, დგანან...

გაბნევა

რარიგ განიფანტნენ სიტყვები!
რარიგ დამეკარგნენ ფერები!
გზისპირს მოწყენილი მივყვები,
აღარც საუბარში ვერევი.

ფიქრი ყველაფერი როდია,
მაგრამ ძვირფასია, დიდია!
ვხედავ — სურვილები მოდიან,
ვხედავ — სურვილები მიდიან.

უკვე დამავიწყდა, რა იყო
ამგვარ ჩაფიქრების მიზეზი,
წუთმა ბევრი რამე წაიღო
სადღაც, შეგრძნებათა კიდეზე.

არა! არაფერი არ მინდა!
არა! აღარაფერს არ ველი!
სულ სხვა, ულურჯესი ამინდი
არის ამგვარ ფიქრთა მფარველი. . .

შალვა საბაშვილი

ის ადრე იყო!

ახლოს — სიბნელე და ქაოსია
და გასასვლელი არ ჩანს ჩიხიდან,
უკან დახევა რაღა დროსია —
ახლა იმ მხარეს ვეღარც იხილავ!
ის ადრე იყო, ოცი წლის უკან,
როცა შეგეძლო სხვა რამ გესურვა,
აწ — შეცვლილია ხედი და უკვე
ფიქრიც გაუვალ ტყეში შესულა.
რა იქნა ასე უღრუბლო ზეცა?
რა იქნა ასე ხასხასა კორდი?
ვის მიებარა? ვის გადაეცა?
რად მიატოვე? რატომ დაშორდი?
დაშორდი, რადგან, თუმც როდი ახდა,
ბევრს გპირდებოდა დრო (განაცდური!),
დაშორდი, რადგან შორით გეძახდა
უსასრულობა, ასე მაცდური.
რადგან სამყარო გაშლაა ფერთა
და ვიღაც შორი ფლობს სადღაც კვერთხებს,
შენ მათ დაშორდი, რადგანაც ერთგან
შენ ძალგიძს იყო მარტოდენ ერთხელ!
ის, რაც გეძახდა, მისვლამდე გაჰქრა
(გაჰქრა რამდენი ვინმეს მისვლამდის!),
სხვა მწვერვალები დაგიხვდნენ ლაშქრად
და მეუფება სულ სხვა ნისლეთის.
და თუმცა ახლა უყივი უკუნ
ზეცას, რომ არის დროთა მრიყავი,
აბა რად გინდა დაბრუნდე უკან? —
აღარც შენა ხარ ის, რაც იყავი!
არა ყოფილა, რაც გაოცებდა,
არც დაუჭკნობი, არც გაუხმობი,
შენშიც რაღაცა სხვა აღმოცენდა
და მას დღეს სულ სხვა ხმები უხმობენ.
წადი, შეგხვდება გზები, ბოძები,
ნახავ მხარეებს, მზით დანისლულებს,
ოღონდ, რაც იყო — ნუღარ მოძებნი,
რაც გსურდა, იმას ნუღარ ისურვებ!

დასანანია!

მოგონებათა ვინ არის მცველი?
შენახულ განძთა მხლები ვინ არის?
ან სანახები ვის მოაქვს ძველი
ჩავლილ დღეების, დაღლილ—მძინარის?

ყოფიერების წვეთ-წვეთ ღელვებით
ვინ ჰკრებს სიცოცხლის დიად მდინარეს?
ოდეს ზმანებულ საოცარ ხილვებს
ვინ აბრწყინებს ან აუჩინარებს?

რაც მიღმა დარჩა, საით ვეძიოთ
ჩვენ, უპირველეს და უწინარეს?
ჰკითხეთ გადავლილ ღრუბლებს და ნისლებს,
კორდებს, მწვერვალებს, მუხებს, ჩინარებს.

დასანანია — ყოველი მიდის,
სამწუხაროა — ჟამი მდინარებს,
ამ მდინარების ვინ საზღვრავს კიდეს,
ამ მწუხარების მგრძნობი ვინ არის?

ყველას წინაშე!

გსურდა თუ არა, გინდა თუ არა,
ეს ყველაფერი უკვე შესრულდა,
უკვე მოდიან ნავები წყნარად
შენთან, ცხოვრების ზღვაში შესულთან.

მოვლენ გმირები მრავალ მოთხრობის,
ყველას საკუთარ კვალს რომ ადებენ,
ხან განწირულად შველას მოგთხოვენ,
ხან თავის საგზალს გიწილადებენ.

შუქთა მძებნელი, განძთა მთესავი,
ვისთვის უცხოა მსახვრალ შურის ხმა,
შენ გამოხვედი სამიზნესავით
და ჩაგინიშნა თვალმა ურიცხვმა.

უკან ნუ წახვალ! უკან ვერ წახვალ!
უკან არ წახვალ! ენდე იალქანს!
ვერ შეგიფარებს ვერც ტყე, ვერც ახო,
გარშემო ზღვაა. ეძმე ნიავ-ქარს!

ქარში! დუმილში! თოვლში! წვიმაში!
იცი — მოგელის ბევრი სამანი!
ყველას წინაშე! ყველას წინაშე!
შენ არაფერი გაქვს დასამალი!

კარი

დაიხურა ერთხელ
საოცარი კარი,
შემოაკლდათ მერცხლებს
საყვარელი ქარი.

შორ, განწირულ ძახილთ
შეებრძოლა ზენა.
დრომ კი ჩვეულ სახით
გააგრძელა დენა.

დაიკეტა კარი,
გადაიჭრა სხივი,
აგანგაშდა ზარი,
განივი თუ გრძივი.

დაემსგავსა უცბად
შიდა სივრცე მგლოველს,
თითქოს უნდა სუნთქვა
შეეწყვიტა ყოველს.

მაგრამ არვინ უსმენს
მოლოდინის ფეთქვას:
კვლავ ცხოვრების ფურცლებს
კითხულობენ ერთგვარს.

არავისთვის მათგან
არაფერი არი,
რომ ოდესღაც, სადღაც,
დაიხურა კარი...

გზათა სპირალი

იხსნება სულში ფენა და ფენა
და ამ სიღრმიდან ვეღარ გამოვალ,
გადაიბურნენ ჰორიზონტები,
არც შუადღეა, არც საღამოა,
მხოლოდ ღრუბლები მიჰყვება ქარებს, მიიჩქარიან
ვარსკვლავთ გუნდები,
მხოლოდ სურვილი სწვავს შემოგარენს,
ანთებული თუ ჯერ აღუნთები.
გადავიკარგე თუ ჩავიძირე,
უცხო ზეცანი მადგას თაღებად,
და რაც დრო გადის, გამოსვლას უნდა
უფრო მრავალი კარის გაღება.
იკლაკნებიან ძირს ხეობანი,
საითღაც მმალავს გზათა სპირალი,
ტყენიც გახშირდნენ და ვეღარც ბარდებს
ვერ ჰკაფავს ცელი მოუპირალი;
შორს, უკან, მახსოვს, ბევრი რამ დარჩა:
გროვა სახეთა, ქარი ვნებების,
ვიცი, ბევრ რამეს დავპირდი ვინმეთ,
მაგრამ ვის ახსოვს დაპირებები!
შეხედეთ: მკიან, ხეზე ხილს კრეფენ,
აგროვებენ და ერთად იწყავენ,
როგორც სიზმარში (ეგებ სიზმარში!)
იხსნება კარი აღურიცხავი.
დავცქერი მიწას და ნაპრალები
ქვევრის სარქველთა მსგავსად იხდება,
საით წავიდე, რომელ ბილიკით,
ან რომ წავიდე, ვინ დამიხვდება?
ხოლო ისინი, უკან რომ დარჩნენ,
მართლა იცდიან, მართლა მელიან?
ეს რომელ დროში იყო ნეტავი? საოცარია! საკვირველია!
არა შეკითხვა! არა პასუხი! არა გულვება! არა მიხვედრა!
ვინც მოელოდა, ვინც ეძიებდა,
დღემდე პასუხი ვინ დაიხვედრა?
მომნუსხავია, ირგვლივ რაც არის,
ამოუხსნელი და უწვდომელი,
სიტყვა მკრთალია, ხილვა, მზერა და
ყოფნაა მხოლოდ შეუცდომელი!
იარე! მიჰყევ! იხილე! შეხვდი!
გადაუარე მწვერვალს და ზეგანს,
გაესაუბრე: ქარს, ადამიანს,
მნათობს, ღრუბელთა ქარავანს ლეგას,
მაგრამ ფენები იხსნება სულში
და ამ სიღრმიდან ვეღარ გამოვალ,
გადაიბურნენ ჰორიზონტები,
არც შუადღეა, არც საღამოა!

ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ

თორნიკე გურჯინთახი

ᲛᲐᲛᲐᲚᲘᲡ ᲚᲣᲠᲯᲘ ᲑᲘᲑᲘᲚᲝ

მახსოვს სილურჯე
იმ დილის,
იმ დილის, ჩვენ რომ
ვათენეთ,
არ გვქონდა შიში
სიკვდილის,
სიკვდილი ფეხქვეშ
გავთელეთ.
მერე ყიოდნენ
მამლები,
ასე უფალმა
ინება,
შენი თვალებით
დავთვრები,
თუმცა არ
ჩამეძინება.
გადავიარეთ გორი და
ქართლის სუყველა ფერდობი,
ბავშვობაც უკან
მოვიდა,
მის დაბრუნებას
ვენდობით.
მამალიც ტოტზე გავიდა,
ყივის და ფეთქავს ბიბილო,
ასე მგონია, კვლავ გინდა,
რომ ისევ
გადამიბირო.
იმ დილას უკან
დავბრუნდით,
ბავშვობაც მაგრად
გვეძვირა,
და სუსხით ისე
გავბრუვდით,
ერთურთის მხრებზე
გვეძინა.
და როგორც იქნა დაღამდა,
სუსხი ბალახმა აიღო,
რა დაგიმალო რაღა და
დილამ ოცნება
წაიღო.
თავსაც არაფრით
მიყადრებ,
ისევ მაშინებ
სიკვდილით,
გთხოვ ისევ ისე
გიყვარდე,
როგორც გიყვარდი
იმ დილით.

ᲐᲛ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲕᲐᲢᲝᲕᲔᲑ

დღეს მე სიხარულს არ ვეძებ,
მზე მთვარეს ხელით ასწორებს,
და ჩემს ჩადენილ ხარვეზებს
მე თვითონ გამოვასწორებ.

ხან ისე არის, ხან ესე,
რა ეშველება ამ ცოდვებს,
კლდე ბოროტების გავლესე,
რომ აღარავინ აცოცდეს.

ბოღმა და შური მოვკალი,
ამ წუთში და ამ წამიდან,
და გუშინ ყური მოვკარი,
ვიღაც პარიზში წავიდა.

აღარც ყური გვაქვს, არც ენა,
დავრჩი ქალაქში მარტო მე,
თუმცა მეც მინდა გაქცევა,
თბილისი ვერ მივატოვე.

რომ არ გავგიჟდე დღე-დღეზე,
ნეტავ გაუძლებს რა გული,
დამდეთ თბილისის კედელზე
მეც, როგორც ძველი აგური.

ᲡᲝᲤᲔᲚᲘ

სიმორცხვე, კაკალი.
სინაგლე ურმის.
ხეები მაღალი.
სიმჟავე ხურმის.
საღამო, ბებია.
ლობიო ქოთნის.
რა უცხო ხმებია
ვიღაცის მოთქმის.
მშობლები ამაგით
მივლიან იმდენს.
გოგონას ბარათით
ვიღვიძებ იმედს.
ყვავები, ჭალებში
გაფრენა შორი,
და მერე ქალებში
გავარდა ჭორი,
ვიღაცა ქალაქელს
გლეხებში უთქვამს,
მადლობთო, არაფერს,
არ ვიღებ ხურდას.
ეს იყო ბავშვობა,
ვიხსენებ სიტკბოს.
დღეები გამშორდა
იმ სოფლის თითქოს.

ᲐᲛ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ

ეძღვნება ილიკო სუხიშვილის ცოლის ხსოვნას, სახელი არ მახსოვს, სამწუხაროდ.

ამ საღამოს აყვავდა,
ამ საღამოს აყვავდა,
ჩუქურთმების ამალა,
ჩუქურთმების ამალა,
შენს სიზმარში ფასკუნჯმა ფრთები ვეღარ დამალა,
ამ საღამოს აყვავდა ჩუქურთმების ამალა.

ამ საღამოს აცეკვდა,
ამ საღამოს აცეკვდა,
შენი მწვანე საყურე,
შენი მწვანე საყურე,
გული ვეღარ გაჩერდა, გული გასცდა საგულეს,
ამ საღამოს აცეკვდა შენი მწვანე საყურე.

ამ საღამოს ტიროდნენ,
ამ საღამოს ტიროდნენ,
ამ საღამოს მარხავდნენ,
ამ საღამოს მარხავდნენ,
იქნებ ჩემი თვალები კიდევ ერთხელ გნახავდნენ,
ამ საღამოს ტიროდნენ და ამ ღამეს მარხავდნენ.

ყველა ჩემი ოცნება ამ საღამოს იწვოდა,
მახსოვს, უცხო ხელებმა ვარდი გამოგიწოდა,
ყველა ჩემი ოცნება ამ საღამოს იწვოდა.

ᲒᲘᲝᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲗᲝᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

იბრძვის ზამთარი თოვლის გუნდებით,
წერდა სტენდალი „პარმის სავანეს",
წლებით ნათრევი სახლში ვბრუნდები
და თქვენს სიყვარულს თოვლი მავალებს.
თოვლი სიცილით თითქოს ბჟირდება,
ბავშვებს უყვება ყინულის ზღაპრებს,
თქვენი თვალები ჩემს გულს სჭირდება,
ჩემს გზას სჭირდება და გავშლი აფრებს.
მახსოვს ბავშვობის ვაშლის ხიდები,
შავი თვალები ხვლიკივით სხარტი,
უძლეველ თოვლსაც ავუხირდები
თქვენი გულისთვის ან თქვენი ხათრით.

ᲒᲝᲨᲔᲑᲘ

ყველა მათგანი იგნებს,
ყველა მათგანი ხვდება,
რად ეძახიან ციგნებს,
რისი გულისთვის კვდება.
ყველა მათგანი მღერის,
ხან იძახიან „ურას“,
და მდინარეში ვერის
ტანსაცმლიანად ცურავს,
ხან გიტარების მზეში
ანდა ხმაურში სროლის,
ფათერაკიან გზებში
უყვართ მოყვანა ცოლის,
უყვართ სიცოცხლე ძმისთვის,
უყვართ ნავარდი ველად
და ცეცხლიანი მზისთვის
გადაქცეულან მრევლად.
გადაქცეულან ზღაპრად,
ქვეყნად სუნთქავენ მანამ,
იმოსებიან სხვაფრად,
თავისუფლებას ჰგვანან,
გვანან სიცოცხლის ტაძარს,
გული ამასაც იგნებს
და ბავშვობიდან ვბაძავ
ამ ოხერ, ლამაზ ციგნებს.

ᲗᲐᲗᲐᲠᲘ

იყო უდაბნო, იყო თათარი,
ულამაზესი ქალი თავშალით,
თვალები, როგორც ტყეში აფთარი,
როგორიც არის ჩვენი ზღვა-შავი.

ულამაზესი იყო უდაბნო,
გადახეხილი ეტლის ბორბლებით,
და სილამაზე იყო უდავო,
ამ სილამაზით ალბათ მოვკვდებით.

მერე დამთავრდა უდაბნოს წირვა,
გააქრეს ქალი სადღაც ინდოეთს,
ჩემს გულს უშენოდ ძალიან სცივა,
და ჩემი გული შენთან ინდომებს.

და მე შევდივარ ისეთ აზარტში,
რომ გამაგიჟა უდაბნოს ქალმა,
გავიყიდები სადმე ბაზარში,
რომ შენი ჩადრი იხილოს თვალმა.

და მომაქვს შენთან ატმის კალათა,
ატამს მაგონებს ჩვენი შეხვედრა,
მაგრამ ცხოვრებამ თუ მიღალატა,
გამიჭირდება შენთვის შეხედვა.

გამიჭირდება შენი დათმობა,
და ჩვენს შეხვედრას ბევრი უნდა დრო,
და გული მაინც იმას ნატრობდა,
პირველ შეხვედრას, პირველ უდაბნოს.

ᲨᲮᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲮᲘᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

მახსოვს ცისფერი შენი ალუჩა,
რომ ამ გაზაფხულს ბოლო არ უჩანს,
მე მახსოვს შენი წითელი მარწყვი,
ამ გაზაფხულზე რატომღაც არ წვიმს.
ის აფხაზეთი და სუნი ნესვის,
სოხუმს ვიღაცა ავტომატს ესვრის.
ეს საგურამოს მოთეთრო ბალი,
ლამაზი, როგორც შენს ტუჩზე ხალი.
ის შხამიანი ადამის ვაშლი,
გველს მოტყუება დასჭირდა რაში?
შემოღამება ჩვენს სახლში თუთის,
ჩემი ცხოვრების მტვრიანი ყუთის.
შემერგო შხამად შენ ტუჩზე ხალი
მე, როგორც დილით ნაჭამი მსხალი.
თითქოს ხეხილი იფეთქებს ბოლოს,
უეკლოდ ნეტავ ვინ ჭამდა ჟოლოს?
ამ შხამიანმა ცხოვრებამ ხილის
როგორ მომისპო სურვილი ძილის.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠ..... ᲪᲠᲔᲛᲚᲘ

რამდენჯერ ვნახო შენს თვალზე ცრემლი,
რამდენჯერ ვიყო მე ცუდი ბიჭი,
რამდენჯერ ვნახო სიზმარში „კრემლი“,
რამდენჯერ უნდა შემერჭოს ხიჭვი.

როდემდე უნდა ვეფერო მე დროს,
რატომ ვერ მიგებს ვერც ერთი ქალი,
როდემდე უნდა ვათრევდე ვედროს,
რომელსაც უკვე ვერ მოაქვს წყალი.

ესე როდემდე, ვიქნები როდის,
გამომწყვდეული ცარიელ კასრში,
და როგორ მინდა დანახვა ცოდნის
ასიდან მაინც ორიოდ კაცში.

ᲦᲛᲔᲠᲗᲝ

ღმერთო, მითხარი, ისე არ მოხდეს,
რომ არ ისურვებ ჩემთან ლაპარაკს,
ვიცი, ვერ ვნახავ ცაში სამოთხეს,
დამტოვებ ალბათ სადმე სხვა ქალაქს.

ღმერთო, მითხარი, ცა თუ ივსება
სიკვდილის დოქით, და თუ გაწუხებს,
შენთან შეხვედრა თუ მეღირსება,
ვიცი, ვერ გავცემ კითხვებს პასუხებს.

მახსოვს ბავშვობა, დედა მაჩერებს,
მიკითხავს ნაწყვეტს საბას არაკის.
როცა მოვკვდები, ხელით მაჩვენებ,
რისი ღირსი ვარ, რომელ ქალაქის.

ღმერთო, მითხარი, რამე მითხარი,
იმედი მქონდეს მითხარი რისი,
სიკვდილის შემდეგ მეტყვის მთის ხარი,
არცერთ ქალაქის რომ არ ვარ ღირსი.

დოქი სიკვდილით ისევ ივსება,
იქნებ სიკვდილი სიცოცხლეს ჯობდეს,
ვიცი, არასდროს არ მეღირსება,
შევეხო თუნდაც სამოთხის ღობეს.

„მე აქ ვარ, აქ ვარ,
დედამიწა ამოიბურცა,
რომ ჩემს გულთან
ამოგიყვანოს“.
ბესიკ ხარანაული

ცაგერიდან სამხრეთ-დასავლეთით, ცის დასალიერთან, ერთი გაქვავებული მარტორქასავით კლდე მოჩანს, რომელზეც, როგორც გადმოცემა მოგვითხრობს, ოდესღაც ამირანი მიაჯაჭვა მისმა დიდმა ნათლიამ, მიაჯაჭვა იმის გამო, რომ ურჩი იყო და საკუთარი თავის ფასი არ იცოდა, ძალას იმაში არ ხარჯავდა, რაშიც საჭირო იყო და, მეტისმეტი ძლიერებისგან უმეტოქეოდ დარჩენილს სიცოცხლეც კი მობეზრებოდა... და, ალბათ, კიდევ იმიტომ, რომ ეს აქტი – მიჯაჭვა, სხვანაირად სიყვარულსაც ნიშნავს. სიყვარულის ყველაზე ძნელ, ყველაზე მიუდგომელ ვარიაციას. ნათლია იყო და უყვარდა თავისი ნათლული. ხომ არ მოკლავდა — სიყვარული გაუმუდმივა.

დანარჩენი ამბავი კი ამ სიყვარულისგან თავის დახსნაზეა. ამ მარადიულ ორთაბრძოლაზე, ჯვარცმული სხეულის ჯვრისგან თავდაღწევაზე, ბოლო წამს ჩამქრალ იმედზე და ისევ ძილზე, სიზმარზე, ისევ სიყვარულზე, ისევ სიყვარულზე...

ღვთისა და კაცის სიყვარულზე.

ადამიანი ბუნების ნაწილია და თავისუფლებაც ის თვისებაა, რომელიც ბუნებრივად მიეცა. სამყარომ ბევრი ბრძოლა გადაიხადა იმისათვის, რომ ეს თვისება საკუთარ თავში ეკვლია. ამ კვლევა-ძიებას ბევრი თაობა დასჭირდა, სისხლიც ბევრი და საგონებელიც, თუმცა, ამირანი ისევ ხვამლის კლდეზეა მიჯაჭვული, ისევ მოდის დიდი ხუთშაბათის შავი ფრინველი და დედამიწას ღვიძლიდან სინანულს კორტნის.

ადამიანმა ამ ბრძოლაში ბევრი იცხოვრა, ისე დაძველდა, რომ ამირანიც კი აღარ ახსოვს. უფრო მეტიც – სიცილადაც არ ეყოფა, რამე მსგავსი რომ უამბო.

ხოლო მათთვის კი, ვისაც აღარ სჯერა მითების — ცხოვრობენ პოეტები და მათი პოეზია არის სამყაროს მეოთხე განზომილება.

ბესიკ ხარანაულია დღეს ეს პოეტი. ის მოვიდა, რათა სამყარომ დაინახოს და იცხოვროს თავისი შეუძლებელი, თავისი მეოთხე განზომილება. ცოტა უფრო გასაგებად რომ ვთქვათ: რათა წარსულის, აწმყოსა და მომავლის მთლიანობაში განჭვრიტოს ის რაღაც სხვა, რაც, ვინ იცის, ეგებ ყველაზე ნამდვილია და ჭეშმარიტი.

ამგვარი მთლიანობის ფლობა (მექსიკელი შამანები ამას „კრებითი წერტილის ფლობას“ ეძახიან) არაა თანამედროვე ყოფის ნიშანი.ეს პოეტში დღევანდელობას არ „გამოუწვევია“. მიუხედავად ჭარბი (და ხშირად ყალბი) მხატვრულ-ესთეტიკური ფასეულობებისა, კატასტროფული სისწრაფით მონაცვლე ტექნოლოგიური სიახლეებისა, მსოფლმხედველობრივი მოდელებისა — ანუ იმისა, რამაც შესაძლოა წარმოშვას მსგავსი სიზმარი, უფრო კი, მოაჩვენოს ის თანამედროვე კაცობრიობას — ბესიკ ხარანაულის პოეზია ეს ჰიპნოზური ხილვა მაინც არაა. რადგან ის ნამდვილია. რადგან ასეთი ნამდვილი სიზმრები კაცობრიობას მხოლოდ ათასწლეულებში, საუკუნეებში თითოჯერ ესიზმრება.

რა არის ბესიკ ხარანაულის პოეზია? საიდან მოვიდა იგი აქ, ამ მიწაზე, კავკასიონის მთაგრეხილებით გადაბაწრულ ამ თითისტოლა ქვეყანაში, რომელიც მუდამ ათასი დარდით და პრობლემით შფოთავს და დიდი პოეზიიდან დიდ პოეზიამდე საუკუნეებს ამოიოხრებს ხოლმე? როგორ გაჩნდა ეს უკიდეგანო ტრანს-ჰუმანისტური პოეზია ქვეყანაში, სადაც ყოველ მეორეს, ყოველი წინას პირველობა პირად შეურაცხყოფამდე სტკივა და სადაც დედამიწის სხვა ძლიერთა ათასწლოვანმა წამხედურობამ ნამდვილის ნაცვლად, ღამის კარიკატურად უქცია სახელმწიფოებრიობაც, მოქალაქეობაც, სადაც უკანმოუხედავ მარათონში ჩაბმულან ნიჭიერება და ქედმაღლობა და ასპარეზი კი იმხელაც არაა, თვალს წყალი დაალევინო, ამიტომ მათი შორი ჭენება ბორბალში მოქცეული ციყვის ტრიალს უფრო გავს ხანდახან,.. იმის ნაცვლად, რომ რომელიმე ამ წრეს („მთქნარების წრე“ – ბესიკ ხარანაული) გამოეხსნას და, თავისით, ცალკე გაივაკოს... სწორედ აქ, ამ ქვეყანაში გაჩნდა პოეტი ბესიკ ხარანაული და, ერთ დღესაც თქვა:

„საიქიოში აღარ მინდა
მე ქართველობა,
რომელიმე დიდი ერის შვილი
მსურს ვიყო,
რომ ერთი სიტყვით გავაგებინო
ყველას ვინცა ვარ.“
(„ხეიბარი თოჯინა“)

როდესაც ბესიკ ხარანაულის შემოქმედებაზე საუბრობენ, ყველანი ერთხმად, ერთ დიდ დამსახურებად (მრავალთა შორის), ქართული პოეზიის წინაშე, — ლექსის ვერსიფიკაციულ განახლებას, ვერლიბრის, თავისუფალი ლექსის პირველავტორობას უთვლიან.ნაირა გელაშვილი ამ სიახლის მიზეზად თანამედროვე ადამიანის შინაგანი ყოფიერების რიტმს, მის შინა-დეკონსტრუქციას ასახელებს. „თავად ვერლიბრს, — წერს იგი — წარმოქმნის ის ახალი დაძაბულობა, რომელიც ჩნდება ადამიანსა და სამყაროს შორის ჩვენი ცივილიზაციის სპეციფიკური ბუნების შედეგად და რომელიც ხასიათდება როგორც ინდივიდის გაუცხოება, დაშორება მთელი გარემომცველი, ხილული თუ უხილავი სინამდვილისა (სამყარო, ღმერთი, ბუნება) და საკუთარი თავისაგან. ეპოქა, რომელიც განისაზღვრება როგორც ტოტალური უკავშირობა (ტრადიციულ კავშირთა დაწყვეტა), როგორც ნაწილის მოწყვეტა მთელისაგან, ვეღარ აისახებოდა ლექსის ტრადიციული ფორმით, რაკიღა ეს უკანასკნელი, წარმოადგენს რა მეტრული საზომითა და რითმით კონსტრუირებულ სიმეტრიას, შეესაბამება სუბიექტისა და სამყაროს ერთიანობის, შეკავშირებული (ჰარმონიული) ყოფიერების რეალურ განცდასა თუ სუბიექტის წარმოსახვაში მყარად არსებულ, ეჭვშეუტანელ კლასიკურ იდეალებსა და ღირებულებებს“.

ცხადია, პოეტი საკუთარ დროს აღბეჭდავს და, თვითონაც აღიბეჭდება მასში. დროის, ეპოქის კრიზისი ის მთავარი ტკივილია, რითაც ბესიკ ხარანაულმა თავისი პოეზიის მღერა დაიწყო (როცა ასე ვამბობ, სრული პასუხისმგებლობით ვაცნობიერებ, რომ „პოეზიის მღერა“ მისი შემოქმედების მიმართ ჩემი დამოკიდებულების ამაღლებული მეტაფორა კი არა, ძალიან ზუსტი განმარტებაა, რადგან სწორედ სიმღერაა მისი ლექსების მძლავრი ენერგია, სწორედ სიმღერის, ანუ ხელოვნების ჟანრთა თავდაპირველი სინთეზურობის (ლექსი და მუსიკა ერთად) წყალობითაა მისი პოეზია ასეთი თვითმყოფადი, უნიკალური; რადგან, ვაჟა-ფშაველას შემდეგ არავის „უმღერია“ ამდენი ჩვენს პოეზიაში (თვით მუსიკის ტრანსში მყოფ, ცათა იერარქიის ტალღებზე მოლივლივე გალაკტიონსაც კი არა).

როდესაც თვალს გადაავლებთ ბესიკ ხარანაულის შემოქმედებას, 1954 წლიდან 2010 წლამდე, პირველი, რაც გეთვალსაჩინოებათ, ამ ეპოქალური, თანადროული ტკივილის ტრანსფორმაციაა. თუკი ვერლიბრი მისი, როგორც კრიზისული საუკუნის შვილის შინაგანი აუცილებლობა, პირადი არჩევანი იყო ვერსიფიკაციულ ხერხებს შორის, მომავალში სწორედ ეს ვერლიბრი, ტკივილის ეს ტონალობა გადაიქცევა ამავე ტკივილზე ამაღლების, ანუ ეპოქალურზე გამარჯვების, თანადროულობის დაძლევის მთავარ საყრდენად. დაშლილი ადამიანი უნდა გამთელდეს. დაშლილი დრო უნდა აღდგეს — ესაა ბესიკ ხარანაულის პოეზიის საიდუმლო რიტუალი.

ნინო სადღობელაშვილი

მეოთხე განზომილება

ბესიკ ხარანაული, ტრანს-ჰუმანიზმი და შინდაბრუნება

„ეს ამბავი კი, როგორც ეკადრება ანტიკურობას, სოფელში მოხდა“ (ბესიკ ხარანაული).

სწორედ სოფელში ჩატარდა რიტუალი. სოფელი — სემანტიკითაც და ევფონიითაც წუთისოფლის მოტივით სავსე — სულიწმინდის სამყოფელია, პირველადი ადგილია, სადაც ადამიანური ამბები ცოდვამდელი ამბების სიძველისაა. სოფელში ადამიანი რაღაც უფრო ბუნებრივს სწვდება, როგორც დიდი მოაზროვნე იტყოდა: ის არის „ადამიანური, მეტად ადამიანური“.

ხშირად მიფიქრია იმაზეც, თუ რატომ იყო ყოველთვის ჩვენი მწერლობისთვის გაცილებით ბუნებრივი და უშუალო სივრცე, გარემო – სოფელი, და არა ქალაქი. რატომ ვერ გაჩერდა ვერცერთი ლიტერატურული გმირი ურბანულ გარემოში, ან ვერ განახორციელა ისეთი სულიერი აქტები, რომ მისი იდენტობა ქალაქს დაკავშირებოდა, მასზე საუბრისას უყოყმანოდ გეთქვა – ეს ქალაქელი კაციო. ფაქტია, რომ ჩვენთვის სოფელია სამყაროს პირველ-საცხოვრისია, და სადაც კაცი თავს ბუნებრივად გრძნობს, იქ უნდა იყოს კიდეც. ან არადა, სხვაგან წავიდეს და ბუნებრიობა ითამაშოს (თამაშის ხარისხიც ნიჭზეა დამოკიდებული).

ბესიკ ხარანაულმა ორივე იცხოვრა — სოფელიც და ქალაქიც. სოფელში, ანუ სამყაროს პირველ-საცხოვრისში იშვა მისი ტკივილი.ქალაქმა ეს ტკივილი ზარდა და მარტოობის მწვერვალად აქცია. სოფელი იყო პოეტისთვის ყველაზე მიმზიდველი, მშობლიური გარემო, მიტოვებული სამოთხის სევდით და შინდაბრუნების მარადიული ვნებით სავსე მიწა, ჰაერი, რომელმაც მთელი ცხოვრება კვება მისი პოეტური ხილვები, რომელიც დღემდე ასაზრდოებს მას და, სამყაროს უსასრულობის ჰორიზონტამდე განზოგადებული — სწორედ იგია პოეტის მთავარი სამიზნეც, საზღვარიც.

ქალაქი კი პოეტური თამაშის დიდი ასპარეზია. სოფლის ხატები, სიზმრები, ხორცშესხმული შთაბეჭდილებები ეპოსის კრიალოსნად აქცია, დაშლილი ხსოვნა პოეტურ ეპოსში ააწყო და გაამთელა, აათამაშა, ერთმანეთთან სამუდამოდ დააკავშირა.

ბესიკ ხარანაულმა თავისი თავისგან შექმნა ეპოსი. ის, რასაც სხვები ანტიკურ დროში უცხო გმირთა შემხედვარენი წერდნენ; ის, რასაც ეპოსის მთლიანი, დიდი სული, სხვათა ტანჯვის და თავგანწირვის ცეცხლოვანი ამბები ჰქვია — ბესიკ ხარანაულმა, თავის თავში მოგზაურმა და პირველ-აღმომჩენმა — სხვა გმირთა დაუხმარებლად, საკუთარი ტკივილისგან, მარტოობისგან შექმნა.

„უნდა მოვიცილო, მოვიშორო ყველაფერი, უნდა ამოვთქვა, უნდა დავწერო და თვითონ დავრჩე... მე... მე... არც წარსული, არც ცხოვრება და არც ქვეყანა... მე... ყველაფერი მე... იმდენად მე, რომ სხვა არაფერი მემჩნეოდეს და არც იყოს საინტერესო შემხედვარისთვის“ („ეპიგრაფები დავიწყებულ სიზმრებისათვის“).

ეს ერთ-ერთი ყველაზე გენიალური მარტოობაა ჩვენს საუკუნეში. მთელს მსოფლიოში. მარადისობაში.

ეს მარტოობა გაძლევს ძალას, „მიდიოდე და მილაპარაკობდე“ და გერქვას ამბა ბესარიონი, ანუ, სისულელის დრეკადობის თეორიის მიუხედავად, მაინც მამა იყო, მაინც ქადაგი, ქვეყანას (სოფელს და ქალაქს ერთდროულად) შენი ნათქვამი გულზე ცეცხლივით ხვდებოდეს, ტვინს კი, როგორც ქვის გულს – წვიმის წვეთი გაუთავებლად — ისე ხვრეტდეს შენი მოელვარე პარადოქსები.

„ამბა ბესარიონი“ ფრანგულად ითარგმნა (მთარგმნელები – მარი ფრენინგი და ომარ თურმანაული) და პირადად მოვისმინე ერთი კარგი ფრანგისგან (სხვათა შორის, ის ფრანგი სახელმწიფო მოხელეა და ამ სოციალური მდგომარეობის სტერეოტიპით, თან ევროპული რაციონალიზმის დართვით, დიდად მიუვალიც მეგონა), პოემა რომ წავიკითხე, ორი კვირა არ მეძინა და სამყაროს უკეთესობაზე ვფიქრობდიო...

„ამბა ბესარიონი“ კლასიკური ტექსტია – მისი მთავარი (და ერთადერთი) პერსონაჟი ზოგად-ლიტერატურული არქეტიპია — მოძღვარი. ბერი. ქადაგი. ავტორი. ბესიკ ხარანაული კი იმ დიდ სახელთა დიდი შვილია, რომელთაც ღმერთთან ლაპარაკი ერის წინამძღოლობასთან გააიგივეს, რომლებმაც არ დაიზარეს და ერს მართლაც წინ გაუძღვნენ. მოძღვრობა, გნებავთ, მეგზურობა მათთვის სულიერი და ხორციელი ენერგიის ყველაზე მძაფრი გამოხატულება იყო. იმ მამათა შვილი კი ერთ დღეს თავადაც მამად იქცა, უფრო სწორედ – ამბად, ამბა ბესარიონად. მხოლოდ, ეს ის მამაა, რომელიც ჭკუას კი არ გარიგებს, არამედ პირიქით, იმ ტოტზე გსვამს, რომელიც უნდა მოიჭრას; ეს ის მამაა, რომელიც, წინ კი არ მიგიძღვის, იმ უბრალო მიზეზით, რომ მისი გზა ერთადერთია, არც არავის გზის გვერდით და არც წინ ან უკან, ეს თვითშემეცნების გზაა, ცოდნის გზა, ერთადერთი მარტო-გზა მსოფლიო სულისკენ... ამიტომ, მამის წესია და, ჯერ თვითონ უნდა გაიაროს, მერე კი შვილის არჩევანი იქნება – გაყვება თუ არა.

კაცობრიობის კულტურაც ოდითგანვე სწორედ ამგვარ მეტაფიზიკურ გზაზე დგას — ის იქმნებოდა თავისთავად, თავის თავისგან, როგორც მამისგან – შვილი, განსხვავებით ცივილიზაციისგან, რომლისთვისაც დამახასიათებელია უფრო ნგრევა, ვიდრე შენება, უფრო კვდომა, ვიდრე შობა, ვიდრე აღდგომა.

მამის, ამბას მქადაგებლობა, მთქმელისა და გამგონებლის პრინციპით, ღრმად ეროვნული საქმეცაა. პოეტი ვერ აუვლის გვერდს თავის ქვეყანას, თუნდაც იმიტომ, რომ ცხოვრობს მშობლიურ ენაში და ამ ენით ამეტყველებს სამყაროს. პოეტმა უნდა შეაჩეროს თავისი ქვეყანა, როგორც ჩავლილი მდინარე და აიძულოს, უსმინოს, მისგან გაიგოს თავისი ამბავი, მასში

დაინახოს თავისი ქვეყნიურობა. „აი, რა მესმა და მეჩვენა მე, ცოდვილ მჩხაპნელს, შესაძლოა უძილობისა და განწირულებისგანაც, ძველი ხელისუფლების ზეობის მეთხუთმეტე ნაკლულ წელსა და ახალი ხელისუფლების ზეობის მეორ-მესამე წელს“ („ორივ ფურცელი ცის და მიწისა“) — ეუბნება იგი თავის უბედურ მსმენელს და მოუთხრობს სიზმარს არა წარსულიდან, აწმყოდან ან მომავლიდან, არამედ სწორედ იქიდან, სადაც ჭეშმარიტებას საფარველი აქვს დადებული და მხოლოდ ათასში ერთხელ ვინმე რჩეულისგან თუ აეხსნება...

ბესიკ ხარანაულის პოეზია რომ მსოფლიო კულტურული მოვლენაა, ეს კიდევ ერთხელ გაცხადდა მისი ახლახან გამოცემული რომანით (უფრო სწორედ წიგნით, როგორც თავად ეძახის) — „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი, ანუ წიგნი მეტაფორებისა და ჰიპერბოლებისა“. ეს არის წიგნი – კავკასიური საგა. უშველებელი ცოდნა დიდ ისტორიაზე, ადამიანურ ვნებებსა და სიწმინდეებზე, იმაზეც, თუ როგორ იქცა კავკასიის ეს ერთი კალთა, ერთი ფრაგმენტი მიწა, ერთ მშვენიერ დღეს პოეტურ სახეებად – ჰიპერბოლებად და მეტაფორებად, და როგორ შევიდა სამყაროს წიგნში, ამ მშვენიერ პოეზიაში.

ესეც კრიზისის დაძლევას ნიშნავს — ყოველივე იქცეს წიგნად, იქცეს კულტურად. ადამიანმა შეძლოს და იპოვოს თავისი თავი ამ კულტურაში.

სამყარო, ყველაფრის მიუხედავად, მაინც მთლიანია, თავისი დიდი ნაპირი აქვს და ამ ნაპირამდე მღერა-თამაშით, ანუ ბრძოლითა და ტკივილით მიდის ადამიანი. სამყაროს მთლიანობის განცდა კი ის უხსოვარი ფუფუნებაა, რაც მას დღეს ყველაზე მეტად აკლია, სჭირდება კიდეც, რათა თავი აღიდგინოს, განიახლოს.

ბესიკ ხარანაულის შემოქმედება ამგვარი პარადოქსითაა აღბეჭდილი: დაშლილი, დანაწევრებული (ანუ თანამედროვე) ადამიანის ეპიკურობა, გნებავთ გმირობა — ჩადგეს სამყაროს სულში და გაგრძელდეს იქიდან, საიდანაც გამოაძევეს. მთელი ეს პოეზია — ამ გმირობაში დახარჯული სულის და ხორცის ენერგიაა, მძაფრი ვნება და თავგანწირვაა, უკიდეგანო მშვენიერებაა – საკუთარი თავის დასაუფლებლად.

ამირანსაც მივადექით: როცა კაცი საკუთარი თავის ფლობას ისწავლის, როცა მისხალ ძალასაც არ დახარჯავს ტყუილად, უმიზნოდ, არამედ ყოველივეს მოახმარს ამქვეყნად ყველაზე დიდ მიზანს: სიყვარულს და თავისუფლებას — მაშინ გადმოხედავს ნათლია ტყვეობით გატანჯულ ნათლულს, ახსნის ათასწლოვან ბორკილებს და ახალ-თავისუფლების ბორძიკით მიმავალს, მზრუნველ თვალს გააყოლებს.

ამირანში, ვისაც ვინ უნდა ის გაიფიქროს — საქართველო, მთელი კაცობრიობა, უბრალოდ ერთი, ერთადერთი ადამიანი.

მთავარია, რომ ის ნამდვილია და არავის მოუგონია. მის არსებობაში პოეტებიც გვარწმუნებენ, საუკუნეში თითოჯერ, სიყვარულის წამლეკავი ენერგიით მოსულნი.

ხოლო როცა სამივე ემპირიული დრო – წარსულიც, აწმყოც და მომავალიც — არყოფნაში გადაინაცვლებს, რჩებიან ისინი — ამბები და მათი მთხრობელები. რჩება ამირანი და დარჩება ბესიკ ხარანაული – მეოთხე განზომილების პოეტი.

P.S. ცოტა ხნის წინ დიდი ბედნიერება დამატყდა თავს და, ბესიკ ხარანაულის სრულ კრებულზე (1954-2005) მომიწია მუშაობამ და ამ ერთტომეულ კრებულს, რომელიც პოეტის მთელ ნახევარსაუკუნოვან შემოქმედებას მოიცავს, სულ მალე იხილავს მკითხველი. ეს წერილი კი ჩემი პირველი შთაბეჭდილებაა, ამ დიდ პოეზიასთან შეხების პირველი მღელვარე ანაბეჭდი.

ხოლო იმას, რასაც ბესიკ ხარანაულის პოეზია ჰქვია, ბევრი დრო და ღონიერება სჭირდება საკვლევად და გასააზრებლად. მე მხოლოდ ამ უშველებელი სამყაროს ნაპირთან ჩავიარე...

ლალი ავალიანი

„დღეს მე ვმღეროდი გადარჩენისას“

ბესიკ ხარანაულზე უფრო ნონკონფორმისტი პოეტი ძნელი წარმოსადგენია; თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც ამ „მეთოდს“ ერთგულებს. იგი წერს ისე, როგორც ეწერება. ბოლო ათწლეულების „ნებადართულმა“ სიტყვის თავისუფლებამ ბესიკ ხარანაულზე რაიმე არსებითი ზეგავლენა არ იქონია.

საბჭოურ დროს, გარდა დაუკონკრეტებელი, „ასოციალური“ თუ „აპოლიტიკური“ რეალიებისა, მისი პოეზია ალბათ თავად ავტორმაც გადაარჩინა: გარეგნულად — ჩრდილში ყოფნით, არაამბიციურობით და სხვა პიროვნული თვისებებით თუ ღირსებებით, რაც სრულიადაც არ აღიზიანებდა ბობოლა თუ წვრილფეხა ცენზორებს.

არადა, მისი პოეზია ყოველგვარი საბჭოური ნორმიდან იყო ამოვარდნილი.

თავისუფალი, მარტოსული, მაძიებელი და დღემდე სიახლის მწყურვალი, თანამედროვე ქართული ვერლიბრის ერთი მესაძირკვლეთაგანი, ფრთხილი და ფხიზელი დისიდენტი, უკიდურესად წრფელი (მეტისმეტი გულახდილობა სიტიტვლეს ჰგავს, სირცხვილია, — ჩაუნიშნავს გალაკტიონს) და, იმავდროულად, ნიღბების მდიდარი კოლექციის მფლობელი; ბუნებით ნოვატორი, ჭარმაგი, დაბრძენებული და მარად ჭაბუკი, — ასე მესახება დღეს ბესიკ ხარანაული — პოეტი და პროზაიკოსი.

***

სამყაროს მთლიანობის, ჰარმონიულობის შეგრძნებამ, ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან რომ გაუჩნდა ბზარი, XX საუკუნის ბოლოს სავსებით იცვალა ნირი: „უღმერთოდ“ და აბსურდის საუფლოდ შერაცხული სამყარო თითქოს კვლავ ქაოსს დაუბრუნდა. სხვადასხვა ჯურის კატაკლიზმებმა და თავბრუდამხვევმა რიტმმა, ქარბორბალასავით რომ ჩაგვითრია თავის წრებრუნვაში, გონის სიდიადისა და უგუნურების ამბივალენტურმა ორომტრიალმა შემოქმედი დროის შვილად აქცია, თავისი დამღით დადაღა.

უაღრესად ცხოველი განცდა თანამედროვეობისა, ზნეობისა და მორალის დევალვაციის, ადამიანის უმწეობისა და კნინობის მტკივნეული შეგრძნება, ამასთან, — იაფფასიანი პათეტიკის ჩანაცვლება მოზომილი, მაგრამ ღრმად ემოციური სიტყვიერი ზემოქმედებით, — ქმნის ბესიკ ხარანაულის შემოქმედების დვრიტას.

იგი საკუთარი, დაბადებიდანვე (1939 წ.) „დეტერმინირებული“ თაობის ტრაგედიას გადმოგვცემს: ესაა XX საუკუნის მიწურულის აგონია, უსულგულო ტექნიციზმის პირისპირ დედიშობილად მდგარი, დაუცველი ადამიანის აგონია; დამონებული, გვემული სამშობლოს ჭირ–ვარამით თუ პირადი შეჭირვებით განაწამები კაცის აგონია, სიკვდილ–სიცოცხლის, ჰუმანიზმის გაუფასურება თუ აგონია.. და მათი მარადი არსებობა და ფენიქსისებრი განახლება.

***

როგორც პოეტი და მოაზროვნე, იგი ნერვის ყოველი ძაფით და სისხლის ყოველი წვეთით შეზრდილია ქართულ ფესვებს. წარმოშობით ფშაველი, ხალხური პოეზიის უბადლო მცოდნე და თაყვანისმცემელია, სწორედ ამგვარმა მიჯაჭვულობამ მშობლიური კულტურისადმი, თიანეთისადმი, დედისადმი და, მეორეს მხრით, — ინოვაციებისადმი სწრაფვამ, ტრადიციული სამყაროს კონტრასტმა თანამედროვე ურბანისტულ ცივილიზაციასთან, გამოიწვია „მოკლე ჩართვა“ — ასეთად რომ აქცია ბესიკ ხარანაული, — თვითმყოფ, საკუთარი გზის თავად გამკვალავ პოეტად.

იგი არ აღიქმება მხოლოდ „უბედური ცნობიერების“ (ჰეგელი) ან დიონისური საწყისების გამაღრმავებელ ავტორად: აპოლონურ პოეზიას განეკუთვნება მისი „მცირე“ თუ „დიდი“ სამშობლოსადმი, სიყვარულისადმი, დედისადმი, აგრეთვე, იდილიური, შეურყვნელი ბავშვობისადმი მიძღვნილი ლექსები. აქ იგი ნაზ ლირიკოსად მოგვევლინა.

პოეტის აზრით, სამყაროული დისჰარმონია ადამიანშიც ჩაბუდებულა, დანაწევრებულია არა მარტო მოვლენები, განცდები, შეგრძნებები, „დანაწევრებული“ და „გახლეჩილია“ თვით ლირიკული გმირიც.

ფრაგმენტულობა, წყვეტილობა, ცხოვრების ცალკეულ ნაგლეჯთა ჩანახატები, შეუთავსებლის შეთავსება, შერწყმული ფილოსოფიურ განსჯა–მედიტაციებთან და აფორისტულ ტაეპებთან, ძლიერ მოგვაგონებს „კლიპის“ პოეტიკას, რომელიც საკმაოდ დიდ ზეგავლენას ახდენს დღევანდელ ახალგაზრდულ პოსტმოდერნიზმზე (როცა ეს ლექსები იბეჭდებოდა, უეჭველია, რომ სსრკ–ში და, მაშასადამე, საქართველოშიც „კლიპის“ ჭაჭანება არ იყო).

***

ბესიკ ხარანაულის პოეზია, ბოლო დრომდე, როცა სრულიად შეგნებულად დაინტერესდა ინტერტექსტუალიზაციით, თითქმის სულ თავისუფალი იყო არამცთუ მკაფიო ლიტერატურული ზეგავლენისაგან, არამედ მის ლექსებში ალუზიებისა თუ რემინისცენციების მიკვლევაც კი იშვიათი გამონაკლისი იყო.

იგი თითქოს „შავ–თეთრი“ პოეტია, როგორც გურამ ასათიანი იტყოდა, — „უფერუმარილო“, სადა, ზოგჯერ განზრახ გამარტივებული პოეტური მეტყველებით, ამაღლებულზე დამიწებულად მოუბარი; ხშირად ირონიითაა შენიღბული საჭირბოროტო, სისხლხორცეული საკითხებიც...

ბესიკ ხარანაულის პოეზიის ზოგი ასპექტი (სამყაროული და პიროვნული დისჰარმონიულობა, გაუცხოება, ეგოცენტრიზმი და ნარცისიზმი, თამაში, ნიღაბი, არცთუ იშვიათად, — ბეწვის ხიდზე გამავალი ცინიზმი...) და მისი განსახოვნების გზები დაუბრკოლებლივ ეწერება თანამედროვე მსოფლიოს ლიტერატურულ სივრცეში.

***

სოფლის სიწმინდისა და „უკეთური“ ქალაქის დაპირისპირება ქართულ პოეზიაში XX საუკუნის 10–იანი წლებიდან დაიწყო (სახელდახელო მაგალითი: პაოლო იაშვილის „წერილი დედას“, რომელიც ქართველი ფუტურისტების „ბრალდების“ მიუხედავად, სერგეი ესენინის იმავე სახელწოდების ცნობილ ლექსზე რამდენიმე წლით ადრე დაიწერა) და დღემდე გრძელდება. ეს მოტივი ბესიკ ხარანაულთანაც გვხვდება (კონტრასტი სოფელ–ქალაქს შორის), ოღონდ ყოველგვარი შეფასებისა და მორალიზების გარეშე, სოფელში გატარებული სიყმაწვილის მიუხედავად, პოეტის მხატვრული მსოფლაღქმა და ხელწერაც უაღრესად ურბანისტულია, ხოლო ლირიკული გმირი სოფელშიც ისეთივე „უცხოა“, როგორც ქალაქში.

***

ბესიკ ხარანაულს აშკარად გამოხატული „პატრიოტული მოტივი“ არ მოეძებოდა; როცა ეროვნული მოძრაობის აზვირთების ჟამს, საყვედური ჩააწვეთეს, აუღელვებლად განაცხადა: „ნამდვილი პოეტი ყოველთვის აკეთებს ეროვნულ საქმეს, თუნდაც არ წერდეს პატრიოტულ ლექსებს“ (ინტერვიუდან, 1989 წ.), მასთან სამშობლოს სახელს ლამის ტაბუ ჰქონდა დადებული.

მისი საბჭოური პერიოდის შემოქმედების შეფარული და არატრადიციული, ზოგჯერ ირონიით შენიღბული პატრიოტიზმისაგან განსხვავებით, XX–XXI საუკუნეთა მიჯნაზე, მან, როგორც ერთ ინტერვიუში შენიშნა, — წერა და წერა ლექსები საქართველოზე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გაუსაძლისმა ძნელბედობამ, „დამოუკიდებელი“ საქართველოს უძღებ და გაუმაძღარ შვილთა უზნეობამ, ძმათამკვლელმა ომებმა და ლამის საყოველთაო თავაშვებულობამ, საზოგადოს კნინობამ და პირადულის აღზევებამ ააღებინა ხელში კალამი ბესიკ ხარანაულს „პატრიოტული მოტივისათვის“.

პოეტის ნონკონფორმიზმი ამაშიც გამჟღავნდა: ეროვნული ნიჰილიზმის სნება, ბევრს რომ შეჰყრია დღეს, პატრიოტულ მოტივს ჩამორჩენილობად თვლის.

ბესიკ ხარანაულმა „მისაბაძად“, სანიმუშოდ და სამაგალითოდ, — გულისყური ქართული პოეზიის „ვერცხლის ხანას“ — XIX საუკუნეს მიაპყრო. მან ვერც აწმყოში და ვერც ახლო წარსულში პოვა უკეთესი პრეცენდენტი მამულის სიყვარულისა. საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის იმედი და მოლოდინი მან XIX საუკუნის დიდ პოეტებთან გადაძახილით წარმოსახა.

***

ბესიკ ხარანაულმა, რომელსაც პოსტმოდერნიზმის არსენალის ზოგი ხერხი (ავტოკომენტირება, კოლაჟი...) წარსულში უკვე გამოყენებული ჰქონდა, ახლა, გამიზნულად და შეგნებულად მიმართა წინამორბედთა „ახლებურად“ წაკითხვა-ინტერპრეტაციას, ე. წ. ციტაციას თუ ინტერტექსტუალიზაციას.

რუსეთში ე. წ. საჯაროობის პერიოდს დაემთხვა ლოზუნგი — „წინ, პუშკინისაკენ!“ საქართველოში აქტუალური გახდა „წინ — ილიასაკენ!“ ჩვენში ილიას გზა, უპირატესად, დიდი ტრიადის (ენა, მამული, სარწმუნოება) აღორძინებისათვის მსახურებად, მომავლის ნიშანსვეტად მოიაზრება. ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს მსოფლიო პოსტმოდერნიზმის მეტრებიც და მკვლევარნიც კი აღიარებენ მწერლობის ჩიხში მოქცევას და ისევ „კულტურული მეხსიერების“ გამოცოცხლებას ცდილობდენ. ასე რომ, „წინ — წარსულისაკენ!“ საყოველთაო მოვლენაა და წარსულის, აწმყოსა და მომავლის მარადიულ ერთიანობასაც მიგვანიშნებს.

პოეტმა ეს ეტაპიც უკან მოიტოვა: „შეიძლება, XIX საუკუნის პოეტებში რომ გადავსახლდი, ამიტომ არც ერთი სტრიქონი არაა, იმის უკან ვინმე რომ არ იდგეს. ვწერე, ვწერე, ამოვთქვი ჩემი ბალღამი და კიდეც დამეხურა გული. ვეღარ გავაღებ.“

სამშობლოს მსახურებისა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნების იდეა, არნახული ვნებითა და პათოსით, მამხილებელი პუბლიცისტურობით, ამჯერად, კლასიკოსებთან შეხმიანების გარეშე, აისახა პოეტის უახლეს ვრცელ პოემებში („წიგნი ამბა ბესარიონისა“, 2003 წ.; „ორივ ფურცელი ცის და მიწისა“, 2005 წ.). ახლისმაძიებლის აზარტი მსჭვალავს ბესიკ ხარანაულის ახალ ლექსებსაც, აქვე უნდა აღინიშნოს შემოქმედის გასაოცარი ნაყოფიერება XXI საუკუნეში.

***

ახლაღა რომ ავლაპარაკდით აწ უკვე გარდუვალი გლობალიზაციის საფრთხეზე, ბესიკ ხარანაულმა ადრევე იგუმანანიველირების ხიფათი და, აქამდე სიმწრით, ტანჯვითა და ბრძოლით მოპოვებული, ჯერ კიდევ ნირუცვლელი სამშობლოს „განქარების“ („ქარწაღებულობის“) ანუ დაკარგვის საშიშროება, ეს იყო XX საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე (პოემა „აგონიური“, ლექსები „დერეფანი“, „სად არიან შვილები“ და სხვ.).

ეს საშიშროება დღეს კიდევ უფრო მომძლავრდა; ნაწილობრივ, მასაც მიუძღვის წვლილი ბესიკ ხარანაულის ორი ვრცელი პროზაული თხზულების შექმნაში. ესენია: რომანი „ეპიგრაფები დავიწყებულისიზმრებისათვის (2005 წ.) და, ავტორის განსაზღვრებით, „ეთნოფილიური“ რომანი — „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი ანუ წიგნი ჰიპერბოლებისა და მეტაფორებისა“ (2010 წ.). დაბეჯითებით ვიტყვი: ორივე რომანი, რომელნიც თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ „აღსარების“ ძველთაძველ ჟანრს, ისეთივე ინოვაციურია, როგორც მისი პოეზია.

ამ წიგნებმა მკითხველი აუდიტორიის გაოგნება, აღტაცება, ზოგჯერ, — დაბნეულობა და იმედგაცრუებაც კი გამოიწვია, ჩემი აზრით, ასეთია განსაკუთრებული თხზულებების ხვედრი. ერთი კი ცხადია: ეს რომანები ავტორის სულის, მრავალწლიანი ფიქრის, ტკივილის, სევდისა და სიხარულის ანარეკლია. ისინი დიდხანს იქნებიან მკითხველთა და კრიტიკოსთა განსჯის საგანი.

ვფიქრობ, გლობალიზაციის წინაშე მდგარმა ავტორმა, ჩვეული ირონიით, მოინდომა რომანებში დაეუნჯებინა ქართული სამყარო და ქართული სულიერება, განსაკუთრებით ის, რაც დღეს რელიქტურად აღიქმება და მართლაც გაქრობის საფრთხე ემუქრება: „დიდო ქვეყნებო, ნუ გადაყლაპავთ პატარებს, ვაითუ, რომელიმე აღმოჩნდეს ალმასისა“ (თავი — „ათი მცნება დიდი ქვეყნებისათვის“, რომანიდან „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი“...)

ბესიკ ხარანაული, რომელიც XX საუკუნეშივე აღიარეს XXI საუკუნის პოეტად, იმედია, კვლავ არაერთხელ გაგვაოცებს თავისი შემოქმედებით, რადგან ნიჭიერებას სიბერე არ უწერია.

მწერალი

თამაზ ჭილაძე:

„მწერლობა სასიცოცხლო სივრცეა“

ყველა ადამიანს საკუთარი სასიცოცხლო სივრცე აქვს; სივრცე, რომელიც მისთვის ყველაფერია, რომლის გარეშეც ცხოვრება არ შეუძლია და არსებობას აზრი არა აქვს. მწერლისთვის ასეთი სივრცე ლიტერატურაა; ლიტერატურა, რომელსაც ყველა თავისებურს, განსხვავებულს, ერთადერთსა და განუმეორებელს ქმნის. ამ განუმეორებლობით ფასდება შემოქმედის ნიჭი და ღირსება. მათ რიცხვს მიეკუთვნება ავტორი,რომელსაც დღეს შეგახვედრებთ. ლაპარაკია თამაზ ჭილაძეზე, მწერალზე, რომელმაც თანამოკალმეებთან ერთად მთელი ეპოქა შექმნა გასული საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. „აჰა, მიიწურა ზამთარი“, „პოსეიდონის სასახლე,“ „აუზი“, „თეთრი კვამლი,“ „ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე?“ ეს და სხვა არაერთი ნაწარმოები დღესაც ერთი ამოსუნთქვით იკითხება და ადამიანის არსებობის გამოცანაზე გვაფიქრებს.

ცოტა ხნის წინ ბატონ თამაზს რვა ათეული წელი შეუსრულდა. როგორც ბრძენი იტყოდა, ფილოსოფიურ ასაკში შეაბიჯა. როგორ ჩანს ამ გადმოსახედიდან მოვლენები, იცვლება თუ არა ფასეულობები, შეხედულებები ცხოვრებაზე, ლიტერატურასა და მწერლის დანიშნულებაზე — მისი საუბრიდან შეიტყობთ.

— თქვენს, 60-იანელთა თაობას განსაკუთრებული ადგილი უკავია გასული საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. რა განაპირობებდა ამ ადამიანების წარმატებას – მხოლოდ თითოეულის ნიჭი და ინდივიდუალობა, თუ იყო ისეთი რამ, რაც ამ ეპოქის მწერლებს სხვებისგან გამოარჩევდა და დღესაც გამოარჩევს?

— სამოციანელთა თაობის მწერლებს სხვებისგან გამოარჩევდა და დღესაც გამოარჩევს ის, რაც თქვენს მიერ დასმულ კითხვაშია მთავარი — ნიჭი და ინდივიდუალობა, ანუ ის ნიშნები, რომელთა მიხედვითაც საერთოდ ფასდება მწერალი და მისი შემოქმედება.

რამდენი ხანია ეს სიტყვა — ნ ი ჭ ი — არ გაგვხსენებია, არ გამიგია, არ წამიკითხავს ჩვენი პრესის ფურცლებზე, არადა, ნიჭიერება აუცილებელი (თუ გადამწყვეტი არა) პირობაა მწერლობისა. მგონი, ამაზე ლაპარაკი ზედმეტიც კია. ყოველ შემთხვევაში, ასე მეგონა დღევანდელ დღემდე, არადა, იმ სტიქიური, მღვრიე პროცესის შემხედვარე, რაც ჩვენს მწერლობაში ხდება, ვრწმუნდები — საჭირო ყოფილა!

უცნაური ამბის მოწმენი ვხდებით — არასოდეს საქართველოს ამდენი მწერლის სახელის მაძიებელი არ ჰყოლია. როცა საქართველოში მწერალი განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა, რაც ერთგვარად აძლიერებდა კიდეც ამ პროფესიისკენ ლტოლვას, სწორედ მაშინ ასეთი მაძიებლების რიცხვი საკმაოდ მცირე იყო. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ძალიან ძნელი გახლდათ მწერლობის მძიმე კარის შეღება. იყო, რასაკვირველია, შეღავათები (საქართველოა — არ დაგავიწყდეთ!), მაგრამ ძირითადად ახალ ავტორს სცილასა და ქარიბდას შორის უნდა გაევლო, ანუ კრიტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ეკლიან ორლობეში. ბევრმა ვერ შეძლო ეს და ასეც უნდა ყოფილიყო. ღმერთმა დაიფაროს, რომ ვინც მოისურვებს, მწერალი გახდეს, ანუ ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენში დღეს, ამ თვალსაზრისით, აშკარად არანორმალური ვითარებაა.

მე, ჩემი თაობის სხვა მწერლების მსგავსად, მაშინ შემოვდგი ფეხი მწერლობაში, როცა ბრწყინვალე ნაწარმოებებს აქვეყნებდნენ უფროსი თაობის მწერლები. აი, როდის იყო მწერლობის დაწყება ძნელი, როგორ სითამამეს წარმოადგენდა თითოეული გადადგმული ნაბიჯი იმ "მიწაზე", რომელსაც, ვულკანური ღრმულებივით აჩნდა კორიფეების ფეხის ნაკვალევი, ვგულისხმობ მათ კვალს ლიტერატურაში, თორემ თავად, ჩვენდა სასიხარულოდ, ჯერ კიდევ მხნედ გრძნობდნენ თავს. მათი ავტორიტეტი ერთგვარად შემაკავებელ ჯეგირს წარმოადგენდა და იმის გაფიქრებაც კი, რომ შენი პირველი ლექსები შეიძლება რომელიმე მათგანმა წაიკითხოს, ძრწოლვით გვივსებდა გულს და წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა მე, როცა გალაკტიონ ტაბიძემ ჩემი ლექსები განიხილა მწერალთა კავშირში, 1955 წელს!..

ახლა რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას — ამჟამად საქართველოში ძალიან ცოტა ნამდვილი მწერალია და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ბევრი მწერალი, თუნდაც იმდენი, რამდენიც ჩვენს მწერალთა კავშირშია, არა მარტო წარმოუდგენელია, არამედ შემაშფოთებელიც. ბარემ აქვე ვიტყვი — მწერალთა კავშირის ამდენი წევრი განა ეს ქართული მწერლობის ბრალია? თუმცა, საქმის უცოდინართა და დემაგოგთა (ასეთები კი მრავლადა გვყავს) ირონია თუ რისხვა სწორედ მწერლობისკენ არის მიმართული. ქართული მწერლობა თვითონ არის მსხვერპლი ასეთი ორგანიზაციის ავტორთა სატანისებრი ჩანაფიქრის, რაც მიზნად ისახავდა შემოქმედზე არითმეტიკის (ანუ უმრავლესობის) დიქტატს, ითრგუნებოდა ყოველგვარი ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი შემოქმედებითი აზრი.

შეიძლებოდა ისიც მეთქვა — დღეს, როცა არ არსებობს კრიტიკა, საზოგადოებრივი აზრი, როცა სიტყვის თავისუფლება ბილწსიტყვაობამდეა დაყვანილი, მწერალთა კავშირის კარის ყველასთვის ერთნაირად გახსნა, იგივეა, გაუხსნა გზა იმ მღვრიე ნიაღვარს, რაც დღეს ასე შეუზღუდავად და ლაღად მოედინება ჩვენი პრესის ფურცლებზე.

იქნებ გაგვეხსენებინა, რომ, რაც უნდა იყოს, მწერლობა მაინც ელიტარული ცნებაა და სწორედ ამის გამოა, ყველას რომ ეკუთვნის. სწორედ ჭეშმარიტი დემოკრატიის დროს ხდება ეს ცხადი!..

— იმ დროში, როდესაც წერას იწყებდით, მწერლობა რომანტიკას უკავშირდებოდა. მწერალი საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა, რჩევას ეკითხებოდნენ, მის აზრს ითვალისწინებდნენ. დღეს მწერლობა პრაგმატულ საქმიანობად იქცა, ერთ-ერთ რიგით პროფესიად, რომლითაც ისევე უნდა მოიპოვოს ადამიანმა ლუკმა-პური, როგორც სიტყვაზე, ქარხანაში მუშაობით ან პურის ცხობით.

— სრულიად სამართლიანად სცემდნენ პატივს მწერლობას და სრულიად სამართლიანად სარგებლობდნენ მწერლები საყოველთაო აღტაცებითა და მოწიწებით. კარგი იქნებოდა, დღესაც იგივე თუ გამეორდებოდა. მწერლის პატივისცემა იგივე მშობლიური ენისა და საერთო-სახალხო ოცნებისა თუ მისწრაფებების პატივისცემაა. კარგის მეტი რა მოიტანა იმან, მწერალს რომ ჭკუას ეკითხებოდნენ?! განა დღეს ზოგჯერ იმას არ ვეკითხებით ჭკუას, ვისაც ის არ გააჩნია?!

მწერლობა აუცილებელი რამ არის ადამიანური ცხოვრებისთვის. ბოლოს და ბოლოს, მწერლობა ესტაფეტაა, რომელსაც წარსული მომავალში გადააქვს!.. მწერალი რომ დღეს ისევე შოულობს ლუკმა-პურს, როგორც, ვთქვათ, მუშა ან ხელოსანი, სრულებითაც არ არის ახალი ამბავი. ასე იყო ყოველთვის და ასევე იქნება, ალბათ, მომავალშიც. მწერლობა, როგორც პროფესია, დიდ, არაადამიანურ შრომას მოითხოვს. რასაკვირველია, მუშასაც დიდ პატივს ვცემ და ხელოსანსაც, მაგრამ, არამარტო მათი, ვერცერთი სხვა პროფესიის წარმომადგენლის შრომა ახლოსაც კი ვერ მივა მწერლის და საერთოდ შემოქმედის შრომასთან. თამამად შეიძლება ითქვას, ამქვეყნად ყველაზე მშრომელი ადამიანი შემოქმედია!..

— თქვენი ტექსტები მაშინდელ საქართველოში „ახალი სიო“ იყო, ევროპული მიმართულების პროზა, რომელიც ყველასთვის მისაღები არ აღმოჩნდა. „უიდეობისა“ და „არასტანდარტულობის“ გამო ხშირად მათ დაბეჭდვასაც კი ერიდებოდნენ. როგორ ფიქრობთ, რა აშინებდათ იმდროინდელ ობივატელებს ამ, ერთი შეხედვით, სრულიად უწყინარ, რომანტიკისა და სიყვარულის საბურველში გახვეულ თქვენს გმირებში?

— ეტყობა, ჩემი პერსონაჟები, თქვენი თქმისა არ იყოს, მართლაც „ერთი შეხედვით“ იყვნენ უწყინარები. სწორედ მაგნაირი პერსონაჟებია ავტორიტარული რეჟიმისთვის სახიფათო, „როგორც ფერმკრთალი შეთქმულება აჯანყებისთვის“, გალაკტიონის ბრწყინვალე სტრიქონს თუ გავიხსენებთ! ყოველგვარი ანტიდემოკრატიული რეჟიმისთვის მწერლობა და ხელოვნება, მართლაც, შეთქმულებაა და არც შეიძლება სხვანაირად იყოს...

— როგორ ფიქრობთ, მწერალი ყველა ეპოქაში მწერალია თუ დროის მსვლელობასთან ერთად მისი შეფასების კრიტერიუმებიც იცვლება?

— არ შეიძლება მწერლობის შეფასების კრიტერიუმები შეიცვალოს, დღესაც ისეთივეა, როგორიც იყო, თუნდაც, კატულუსის თუ რაბლეს დროს. როგორც კი კრიტერიუმები შეიცვლება, მწერლობა დამთავრდება, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს არამარტო მწერლობის, არამედ ცივილიზაციის დამთავრებასაც მოასწავებს...

რამდენიმე სიტყვით განსაზღვრო მწერლობის მნიშვნელობა, ძალიან ძნელია, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის. თანაც ალბათ ახალს ვერაფერს ვიტყვი, მითუმეტეს რომ, უამრავ მეტად გონიერ პიროვნებას მრავალგზისა აქვს გამოთქმული საინტერესო აზრი მწერლობის შესახებ. მე შემიძლია მხოლოდ ერთი რამ დავამატო — მწერლობა არის ის სასიცოცხლო სივრცე, სადაც ვგრძნობთ საკუთარი არსებობის მნიშვნელობას...

— თანამედროვე ქართველ მწერლებზე რა აზრის ხართ? თუ ადევნებთ თვალს მათ შემოქმედებას? არსებობს „დროთა კავშირი“ თქვენსა და მათ თაობას შორის თუ ეს ძაფები გაწყვეტილია?

— თანამედროვე ქართულ მწერლობას თვალს კი არ ვადევნებ, ამით ვსულდგმულობ, ეს არის ჩემი საქმე. დღევანდელ ჩვენს მწერლობაში ძალიან საინტერესო მოვლენები შეინიშნება.

შეიძლება ითქვას, რომ მწერლობაში ჯერ კიდევ მეოცე საუკუნე გრძელდება — ეს უაღრესად დრამატული და უაღრესად მწერლური საუკუნე. დღესაც არა მარტო იგრძნობა, არამედ საკმაოდ ქმედითია მისი, მე ვიტყოდი, სასიკეთო გავლენა.

საუკუნე კალენდრით არ მთავრდება. მითუმეტეს, მწერლობაში...

საქართველო ტრადიციების ქვეყანაა და ძალიანაც კარგია, რომ ასეა. ასეთია ყველა ნამდვილად ლიტერატურული ქვეყანა — ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი... ნოვატორობა შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ძლიერი ტრადიციები არსებობს. ოდესღაც სხვების მიერ მიღწეულის ნოვაციად გასაღება პროვინციალიზმია და მეტი არაფერი. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუპირისპირდე საკუთარ გამოცდილებას, მითუმეტეს, რომ ის, ზოგ შემთხვევაში, უცხოზე გაცილებით საინტერესოა, რასაც თავად უცხოელი მწერლებიც აღნიშნავენ.

ამავე დროს, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, მხოლოდ ჩვენით შემოვიფარგლოთ, ძიებები არ იყოს, პირიქით, მთელი არსებით ძიებებისა და ახალი გზების მომხრე ვარ. სწორედ ახლის ძიებითა და მისი დამკვიდრებით მოიპოვა ჩვენმა თაობამ ასეთი უმნიშვნელოვანესი წოდება: დ ი - დ ი!

ამავე დროს, სიამოვნებით უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ნამდვილად მნიშვნელოვანი თაობა მოდის. ეს აშკარაა. მართალია, ამ ტიპოგრაფიულ წარღვნაში ძნელია ნამდვილის შემჩნევა, მაგრამ როდის ყოფილა, ნამდვილი შეუმჩნეველი დარჩენილიყოს?! აი, მათ (ანუ ნამდვილებმა) თვითონ უნდა გაინთავისუფლონ არამარტო სავალი გზა, არამედ ასპარეზიც, თვითონ უნდა მოიშორონ ხელოვნური და ყალბი „თანამგზავრები“ (წარმატების ნადავლივით გაყოფა არ შეიძლება!) თუ უნდათ და დარწმუნებული ვარ, უნდათ, ნამდვილ, ტრადიციულად გაგებულ და, თუნდაც ამიტომ, მარადიულად მიჩნეულ წარმატებას მიაღწიონ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღადგინონ გაწყვეტილი ჯაჭვი, რომელიც არამარტო წინა თაობასათან დააკავშირებთ, არამედ მთელ თხუთმეტსაუკუნოვან ქართულ მწერლობასთან! მთავარია, ჩვენს ხალხს არ გავუბზაროთ რწმენა ქართული სიტყვის ძლევამოსილებისა. სხვების მიბაძვა ჩვენ ხელს არ მოგვცემს, ჩვენ სხვა ქვეყანა ვართ, სხვა ხალხი, დიდი წარსულიდან ამოზრდილი, უძველესი, ჯერ კიდევ აუხდენელი იმედებითა და ოცნებებით სავსენი! ჩვენი ხალხი ერთერთი უძველესი ხალხია ამჟამად პლანეტაზე, მაგრამ სასიცოცხლო ენერგიითაა სავსე, მას ვერც ვკადრებთ იმის შეხსენებას, რომ ხალხი, რომელიც დაიჯერებს, წიგნი და თეატრი აღარ ჭირდება, უკვე ხალხად არ შეიძლება იწოდებოდეს. კულტურა ხალხს ეკუთვნის, სანახაობა — მონებს!.. კულტურის სანახაობით შეცვლა, პირდაპირ რომ ვთქვა, ანტიდემოკრატიული ქმედებაა. დემოკრატია კულტურით ცხადყოფს თავის არამარტო ნამდვილობას, არამედ სიძლიერესაც. უკულტურო ადამიანი იდეალური დემოკრატიის დროსაც კი მონაა!..

— რამდენიმე დღის წინ 80 წელი შეგისრულდათ. როგორ შეაფასებდით საკუთარ სამწერლო გზას – რა მოასწარით, რა ვერა – რამდენად სრულად მოახერხეთ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება?

— ძალიან ძნელია საკუთარ თავზე საუბარი. ადამიანი ქვეცნობიერადაც კი გრძნობს, რომ არ შეიძლება მხოლოდ ბიოლოგიური არსებობისთვის მოევლინა ის განგებას ამ „უთვალავი ფერით“ სავსე სამყაროში. იმასაც გრძნობს, რაც ხშირად უმწეობის ან სინდისის ქეჯნის მტანჯველ გრძნობას უჩენს, რომ შეიძლება თავისი წილი წუთისოფელი განვლოს ისე, ამქვეყნიური არსებობის არავითარი კვალი არ დატოვოს, თუნდაც, მახლობელთა ხსოვნაში. ადამიანი, რასაკვირველია, თავიდანვე ასე არ ფიქრობს, მაგრამ წლებს, ყველა „ბედნიერებასთან“ ერთად, სიმარტოვეც მოაქვს, სიმარტოვე კი სწორედ ასეთი მტანჯველი ფიქრის საუფლოა. სიბერე ერთადგილიანი საკანი ყოფილაო, — ამბობს ჩემი ერთერთი პერსონაჟი (თურმე საკუთარი პერსონაჟებისგანაც შეიძლება რაღაცის სწავლა!). ყველაფერზე ცუდი ის არის, რომ როცა ასეთი ფიქრი ჩნდება, უკვე უმწეო ხარ, რაიმე შეცვალო, გამოასწორო, „ყველაფერი იყო“-ო, ამბობს ეკლეზიასტე. დიახ, ყველაფერი მეორდება... შენს გარდა!..

„სიბერე“ — რა დიდ პატივს ვცემდი ამ ცნებას, როცა ის სხვების მისამართით წარმოითქმოდა და როგორ ვერ ვიტან, როცა ჩემზე ამბობენ!

ის, ვინც მხოლოდ საათით არ იგებს დროს, ძალიან მტკივნეულად განიცდის კიდეც მის დაუნდობელ დინებას, რომელიც არავითარი საზომით არ იზომება, არავითარი კანონით არ იზღუდება.

სიბერეს ყველა ეჩვევა, მოდი და ნუ შეეჩვევი! მეც, ალბათ, იმედია, შევეჩვევი, სხვა რა გზა მაქვს, რა თქმა უნდა, თუკი ღმერთი დამაცლის...

— და ბოლოს, ჩვენი საუბარი თქვენი ძმის, ოთარ ჭილაძის ფრაზით მინდა დავასრულოთ. „წინ მარადისობაა!“ — თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში მან. თქვენი აზრით, რა არის წინ?

— ამ კითხვაზე მეც ასევე გიპასუხებდით — წინ მ ა რ ა დ ი ს ო ბ ა ა!!!

ესაუბრა ნანა კობაიძე

მკითხველი

ალექსანდრე კვიტაშვილი:

„მე უფრო პროზის მოყვარული ვარ...“

დღეს საქართველოში განათლებისა და წიგნიერების დაბალ მაჩვენებელზე ხშირად ლაპარაკობენ. ამ თემასთან დაკავშირებით სხვადასხვა სოციალური კვლევის საფუძველზე არსებული მონაცემების ან ზედაპირული ტელეგამოკითხვების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მძიმე სურათი იხატება. თუმცა, წიგნისმოყვარული ადამიანები ძნელად ეთანხმებიან ხოლმე ამგვარ სტატისტიკას. ამ მხრივ, ვფიქრობ, საგულისხმო და საინტერესოა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, ალექსანდრე კვიტაშვილის მოსაზრებაც: „ფაქტია, რომ თანამედროვე ადამიანი თავისუფალ დროს წიგნს ნაკლებად უთმობს, ხშირად მას კომპიუტერთან თუ ტელეეკრანთან ჯდომა ურჩევნია. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მას მერე რაც წიგნი არსებობს, მის მიმართ ინტერესი ხან იზრდება, ხანაც იკლებს, საზოგადოება შორდება და უბრუნდება ლიტერატურას. ეს წრიულ მოძრაობას ჰგავს. საფუძველი არ მაქვს, ვივარაუდო, რომ ქართველი ადამიანი დღეს ცოტას კითხულობს. მაგრამ თუკი ასეა, გარკვეული დროის შემდეგ ის აუცილებლად მიუბრუნდება წიგნს. კითხვა მხოლოდ ინტერესის დაკმაყოფილება ხომ არ არის, ის საკუთარი აზრის გადმოცემის საუკეთესო მასწავლებელია“...

ჩვენი რუბრიკის — „მკითხველი“ – მორიგ სტუმარს, ბატონ ალექსანდრე კვიტაშვილს უნივერსიტეტში, მის სამუშაო კაბინეტში შევხვდი...

— ცნობილი მეცნიერის, შოთა მესხიას შვილიშვილი ბრძანდებით, თქვენი მეუღლე კი საქართველოს მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას შვილიშვილია; ალბათ, თქვენს ოჯახურ არქივში არაერთი საინტერესო ხელნაწერი, წერილი თუ პირადი ნივთი ინახება, ბიბლიოთეკაც ძველი გამოცემებით, იშვიათი წიგნებით არის მდიდარი. ასეა?

— მოგეხსენებათ, ნოე ჟორდანიას ნათესაობა, მისი შთამომავლები პარიზში ცხოვრობენ, აქედან გამომდინარე, მის პირად არქივთან ხელი ნამდვილად არ მიმიწვდება. რაც შეეხება ბაბუაჩემს, მისი ბიბლიოთეკა მართლაც მდიდარი იყო საინტერესო ლიტერატურით, იშვიათი წიგნებით. გარდა ამისა, ოჯახში ინახებოდა მისი შრომები, ხელნაწერები, პირადი ნივთები... იმის გამო, რომ ეს მასალა დაცვისა და შენახვის განსაკუთრებულ პირობებს საჭიროებდა, შოთა მესხიას არქივის მნიშვნელოვანი ნაწილი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადავეცით. თუმცა სახლში ბაბუას კუთვნილი წიგნებიდან ბევრი დაგვრჩა, რომლის ათვისებასაც მისი შთამომავლები ვცდილობთ.

— იზრდებოდით გარემოში, სადაც წიგნი თქვენი ოჯახის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი იყო. ხომ არ გაიხსენებთ პირველ შთაბეჭდილებებს, პირველ შეხვედრებს ლიტერატურულ გმირებთან, წაკითხულით განცდილს...

— მახსოვს, ძალიან მცირე ასაკიდან — ჯერ კიდევ აღქმის უნარიც რომ არ მქონდა – დედა მიკითხავდა წიგნებს. მოგვიანებით, როცა კითხვა თავად დავიწყე, რამდენიმე წიგნს ერთდროულად ვეცნობოდი. დღემდე ასე ვარ. მიყვარს ერთი თემიდან მეორეზე გადართვა-გადმორთვა. ლიტერატურის მიმართ ყოველთვის ძალიან დიდი ინტერესი მქონდა.

სხვათა შორის, ერთი საინტერესო აღმოჩენაც გავაკეთე: რა წიგნებიც ბავშვობაში მოგწონს, რომელი გმირიც გიტაცებს, მოზრდილ ასაკში იგივე ნაწარმოები თუ პერსონაჟი სულ სხვა შთაბეჭდილებებს აღძრავს. ასეთი ექსპერიმენტი ჩავატარე – ჩემი ბავშვობის საყვარელი წიგნები ზრდასრულ ასაკში ხელმეორედ გადავიკითხე და აღმოვაჩინე, რომ ბევრი ის ნაწარმოები, რომელსაც გულს ვერ ვუდებდი, ძალიან საინტერესო ყოფილა. ხოლო წიგნები, რომელიც პატარაობისას ძალიან მიყვარდა, ხელახალი წაკითხვისას საშინელებად მომეჩვენა... საერთოდ, ასაკთან ერთად ადამიანს ლიტერატურული გემოვნება, ინტერესები ეცვლება. ასე რომ, სრულიად გასაგებია, რატომ ხდება საყვარელი წიგნების გადაფასება. ვფიქრობ, ბავშვობაში „რობინზონ კრუზოს" ადაპტირებულ ტექსტს მხოლოდ იმიტომ ვკითხულობდით, რომ ორიგინალის წაკითხვა მოსაწყენად გვეჩვენებოდა. თავის დროზე, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობამ“. ეს ის ნაწარმოებია, რომლის კითხვით გამოწვეული ემოცია დღემდე მახსოვს. თუმცა, უპირველესად, მაინც ეგზიუპერის „პატარა უფლისწულს“ გავიხსენებდი. სულ მეშინოდა ბაობაბის გვერდით არ აღმოვჩენილიყავი, ან მოულოდნელად ჩვენი სახლის სიახლოვეს არ ამოზრდილიყო. ალბათ, გახსოვთ, როგორი ბაობაბები იყო წიგნის ყველაზე გავრცელებული გამოცემის ილუსტრაციებს შორის...

— ვფიქრობ, „პატარა უფლისწული“ იმ წიგნთაგანია, რომელსაც მკითხველი სხვადასხვა ასაკში უბრუნდება ხოლმე...

— სხვათა შორის, ზრდასრულ ასაკში მისი ახლიდან წაკითხვა გამიჭირდა. რაც შეეხება დიუმას, მისი ერთგული მკითხველი ვიყავი. „სამი მუშკეტერი“ და „ოცი წლის შემდეგ“ ათჯერ მაინც მაქვს გადაკითხული, თუმცა „ვიკონტ დე ბრაჟელონს“ გული ვერაფრით დავუდე, აღარ დამაინტერესა.

საერთოდ, ჩვევად მაქვს, ერთსა და იმავე წიგნს სხვადასხვა დროს რამდენჯერმე ვუბრუნდები და მერე თავიდან ბოლომდე ვკითხულობ.

— ძირითადად, რომელი ლიტერატურული მიმართულების მკითხველი ხართ?

— ფანტასტიკის გარდა ყველაფერს ვკითხულობ. არის ხალხი, მათ შორის ბევრი ჩემი მეგობარიც, რომელიც გიჟდება ამ ჟანრზე, მე კი რა ვქნა, ვერაფრით შევიყვარე.

— რამდენადაც ვიცი, კარგად იცნობთ ქართულ სასულიერო მწერლობას...

— ალბათ, გაგიკვირდებათ, მაგრამ თავის დროზე თითქმის ზეპირად ვიცოდი „შუშანიკის წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და ჰაგიოგრაფიის სხვა ნიმუშები. მათი კითხვა ძალიან მიყვარდა.

— საერო ლიტერატურას რაც შეეხება, ქართველი კლასიკოსებიდან ვინ არის თქვენი რჩეული?

— მე უფრო პროზის მოყვარული ვარ, პოეზიას ნაკლებად ვკითხულობ. ასე რომ, ჩვენი პროზაიკოსებიდან – ილია ჭავჭავაძით დაწყებული — ყველა ავტორი ძალიან მიყვარს. ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო ქართველ კლასიკოსად კონსტანტინე გამსახურდია რჩება. ყოველთვის მომწონდა მისი თხრობის მანერა, მხატვრული სტილი... მას აბსოლუტურად განსხვავებული ხელწერა აქვს და არცერთ სხვა ქართველ ავტორს არ ჰგავს.

როგორც გითხარით, პროზის მკითხველი უფრო ვარ... თუმცა ერთ საინტერესო ამბავს გიამბობთ: დაახლოებით ხუთი-ექვსი წლის წინ, ამერიკაში ყოფნისას, ოჯახთან ერთად ოკეანის სანაპიროზე ვისვენებდი, ჩემი სიმამრის სახლში ვცხოვრობდით. საკითხავი არაფერი მქონდა და სახლში ერთადერთი წიგნი აღმოვაჩინე — „ვეფხისტყაოსანი“. სკოლის შემდეგ ეს წიგნი ხელში არ მჭერია, მას შემდეგ კი თხუთმეტი წელი იყო გასული. როგორც გახსოვთ, ამ პოემას ცუდად გვასწავლიდნენ... მოკლედ, დავიწყე კითხვა. სანაპიროზე ვიჯექი და „ვეფხისტყაოსანი“ მქონდა გადაშლილი. რუსთაველმა იმდენად გამიტაცა, რომ მთელი ღამე არ მიძინია, ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე. გულწრფელად გეტყვით, იმ ასაკში სხვა არცერთ ნაწარმოებს ასეთი მძაფრი შთაბეჭდილება არ მოუხდენია! ფანტასტიკური ნაწარმოებია.

სხვათა შორის, თითქმის იგივე მოხდა მიხეილ შოლოხოვთან მიმართებაში. უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მისმა რომანმა „წყნარი დონი“. მახსოვს. ორ დიდ ტომად გამოცემული ნაწარმოები გაუჩერებლად წავიკითხე. არადა, ბავშვობაში, როცა ამ წიგნის წაკითხვას უფროსები მაძალებდნენ, რამდენიმე გვერდს ვერ გავცდი.

— ბატონო ალექსანდრე, თანამედროვე ქართული მწერლობის განვითარებას თუ ადევნებთ თვალს?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება. სამწუხაროდ, თანამედროვე ქართული მწერლობის შემფასებლად ვერ გამოვდგები, რადგან ახალგაზრდა ავტორთა შემოქმედებას ცუდად ვიცნობ. ერთ ხანს აკა მორჩილაძის წიგნებს აქტიურად ვეცნობოდი, მაინტერესებდა, რადგან მის ნაწარმოებებში ასახული გარემო ნაცნობი იყო ჩემთვის. ის მძიმე პერიოდი, რომელსაც ავტორი თავის ტექსტებში მხატვრულად აღწერს, მეც მთელ ქართულ საზოგადოებასთან ერთად გამოვიარე... ბოლო სამ წელიწადში შექმნილი ნაწარმოებების გარდა, მის ყველა თხზულებებს კარგად ვიცნობ.

— ინტერნეტგამოცემებით რამდენად სარგებლობთ?

— ჩემთვის კომპიუტერში წიგნის კითხვა წარმოუდგენელია. ახლა კარგ საშუალებას მივაგენი – სასურველ ლიტერატურას კომპანია Amazon.com-ის მიერ შექმნილი ელექტრონული საკითხავის — „ინდლე“-ის მეშვეობით ვეცნობი. მას ქაღალდის ფურცლის ეფექტი აქვს და თვალს არ ღლის. თუ არ ვცდები, ხუთი ათასამდე წიგნი აქვთ ატვირთული. სამწუხაროდ, მათ შორის ქართული ნაწარმოებები არ არის. ათამდე წიგნი ავირჩიე და ვკითხულობ. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ხშირად მიწევდა მოგზაურობა, წიგნების აქეთ-იქით ტარება კი პრობლემა იყო. ახლა ეს სირთულე მოიხსნა. „ინდლე" ძალიან მოსახერხებელი რამაა. თან, არც სანიშნი მჭირდება, არც ფურცელი მეკარგება – ყველაფერს თვითონ პოულობს.

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა ამერიკაში გააგრძელეთ... ფაქტობრივად, დასავლური განათლება და მუშაობის დასავლური გამოცდილება გაქვთ. ვფიქრობ, იქაურ მწერლობას ახლოს უნდა იცნობდეთ და ალბათ, თქვენი ფავორიტი ავტორებიც გყავთ...

— დასავლურ ლიტერატურას მართლაც კარგად ვიცნობ და, რა თქმა უნდა, ფავორიტებიც მყავს, თუმცა მათ მიმართ ინტერესი უცხოეთში სწავლითა და ცხოვრებით არ არის განპირობებული. სკოლის ასაკშიც და უნივერსიტეტში სწავლის დროსაც უცხოელ ავტორებს აქტიურად ვეცნობოდი. დასავლური ლიტერატურიდან რაც კი რუსულად იყო თარგმნილი და რაზეც ხელი მიმიწვდებოდა, ყველაფერი წავიკითხე. ერთ ხანს პერიოდულ გამოცემაში — „ინოსტრანნაია ლიტერატურა" — ძალიან კარგი ნაწარმოებები ნაწყვეტ-ნაწყვეტ იბეჭდებოდა, ჟურნალის თითოეული ნომერი ხელიდან ხელში გადადიოდა... მახსოვს, მაშინ წავიკითხე პირველად კანადელი პროზაიკოსის, არტურ ჰეილის ცნობილი „სასტუმრო“.

როცა ამერიკულ მწერლობაზე ვლაპარაკობთ, აუცილებელია, ნამდვილი ლიტერატურისგან გავმიჯნოთ ის ნაწამოებები, რომელსაც თვითმფრინავით რვასაათიანი ფრენისას ჩაიკითხავ. ასეთ ავტორებს შორის არის, მაგალითად, დენ ბრაუნი, სტივენ კინგი და მრავალი სხვა. ეს ავტორები მანქანებს ჰგვანან და წიგნებს „აცხობენ“. არადა, მათ გარდა ძალიან ბევრი საინტერესო მწერალია...

ჩემთვის ერთნაირად საყვარელია იაროსლავ ჰაშეკი, კარელ ჩაპეკი, ლუიჯი პირანდელო, ო'ჰენრი... გავიმეორებ, ამგვარი დამოკიდებულება შეერთებულ შტატებში ყოფნით არ არის გამოწვეული. სამწუხაროდ, თანამედროვე ამერიკულ ლიტერატურას, შესაძლოა, მართლაც ბევრად უკეთ ვიცნობდე, ვიდრე ახალგაზრდა ქართველ მწერალთა შემოქმედებას...

— ჩვენი გამომცემლები მოწადინებულნი არიან, რაც შეიძლება მეტი ქართულად თარგმნილი წიგნი მიაწოდონ მკითხველს, თუმცა მხატვრულ თუ სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში სათარგმნი ჯერ კიდევ ბევრია...

— ძალიან ბევრი რამაა სათარგმნი. ცხადია, იმასაც აქვს მნიშვნელობა, თუ როგორი ხარისხის თარგმანები შესრულდება. მთავარია, ყველა წიგნი დედნიდან ითარგმნებოდეს და არა რუსულიდან, როგორც ეს ადრე ხდებოდა. ცოტა ხნის წინ ერთ ძალიან საინტერესო ისტორიულ ნარკვევს გავეცანი, რომელიც ჩინგიზ ხანსა და თანამედროვე მსოფლიოს ჩამოყალიბებას ეხება. წიგნი მონღოლეთსა და ჩინეთში მოპოვებულ აქამდე უცნობ მასალებსა და ისტორიულ წყაროებს ეფუძნება, უზარმაზარი ლიტერატურაა გადამუშავებული. საქართველოში მონღოლებს ჩვენი ისტორიული გადმოსახედიდან ვიცნობთ, წიგნიდან კი ბევრი ახალი რამ გავიგე ამ ხალხზე, ამ ერის სხვა მხარეები დავინახე. ნაშრომში ნაჩვენები და შეფასებულია მონღოლთა როლი კაცობრიობის განვითარების საქმეში, ფოსტისა და საგადასახადო სისტემების შექმნით, თავისუფალი ეკონომიკური ზონის იდეით დაწყებული, თანამედროვე სახელმწიფოებრივი მოწყობის პრინციპების შემუშავებით დამთავრებული. ძალიან საინტერესო საკითხავია.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალიდ ჰუსეინის წიგნმა „The Kite Runner“, რომელიც ავღანეთს, მის პრობლემებს ეხება. მძიმე წასაკითხია. წიგნი 2002 წელს გამოიცა. ავტორმა ერთმანეთზე უკეთესი ორი ნაწარმოები დაწერა. მეორეს „A Thausant Splendid Suns" ჰქვია. მას შემდეგ ეს მწერალი სადღაც გაუჩინარდა. სად არის დღეს, წერს თუ არა რაიმეს – არ ვიცი. კარგი იქნებოდა ამ ავტორის თარგმნაც.

აუცილებელია, ითარგმნოს XIX საუკუნის პატარა სიცილიური მოთხრობები და მთლიანად, ეს ლიტერატურული მიმდინარეობა — იტალიური ნოველები. მერწმუნეთ, საოცარი ნაწარმოებებია.

— ბატონო ალექსანდრე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის რამდენად პრიორიტეტულია წიგნის პოპულარიზაცია სტუდენტ-ახალგაზრდებში, ამ მიმართულებით თუ მუშაობთ და კონკრეტულ პროექტებს თუ ანხორციელებთ?

— რა თქმა უნდა, გვაქვს რამდენიმე პროექტი. თანამედროვე ქართულ მწერლობაზე ვსაუბრობდით და, მეორე წელია, უნივერსიტეტში შიდა ლიტერატურული კონკურსი — „შემოდგომის ლეგენდა" — იმართება. შარშანდელ კონკურსში ძალიან ბევრმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა, მათგან ათი საუკეთესო შეირჩა. ფინალი ყვარლის ტბაზე გაიმართა, ჟიურიმ კონკურსანტებს დავალება მისცა – გარკვეულ თემაზე მოთხრობა უნდა დაეწერათ... ახლა უნივერსიტეტთაშორისო ლიტერატურული პროექტის განხორციელება გვინდა, თუმცა, რამდენად გამოგვივა არ ვიცი. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ძალიან ბევრია...

— აღიარებული ავტორებიდან თუ არის ისეთი, რომლის მწერლობაც არ მოგწონთ?

— ძალიან არ მიყვარს კოელიო. მიკვირს, მთელი მსოფლიო რატომ შეიშალა მასზე?! თუ მაინც და მაინც კოლუმბიელ მწერლებზე უნდა ვილაპარაკოთ, მიმაჩნია, რომ მარკესის პატარა მოთხრობები კოელიოს შტამპირებულ ტექსტებს ასი თავით სჯობს და შედარებაც კი არ შეიძლება. ალბათ, ასეთი შეფასებისთვის მეუღლე გამინაწყენდება, რადგან მას მოსწონს კოელიო.

ესაუბრა თამარ ჟურული

სანდრა სისნეროსი

სანდრა სისნეროსი (Sandra Cisneros) 1954 წელს დაბადებული ამერიკელი პროზაიკოსია, რომელსაც ყველაზე ანგარიშგასაწევ ფიგურად ასახელებენ მექსიკური წარმოშობის მქონე ამერიკელ მწერალთა შორის. მისი პირველივე რომანი "სახლი მანგოს ქუჩაზე" (1984) ბესტსელერად იქცა და მრავალ ენაზე ითარგმნა. დღეს ამ წიგნს ამერიკის სკოლებში ასწავლიან, როგორც სასწავლო პროგრამის ნაწილს. სანდრა სისნეროსი მექსიკურ და ამერიკულ კულტურებში ღრმად ფესვგადგმულ პატრიარქალურ ღირებულებებს იკვლევს. ის წერს ქალის სექსუალობაზე, კულტურული და გენდერული იდენტობების ჩამოყალიბების პროცესებზე, რეალურ და მეტაფორულ საზღვრებზე, რომელთა პირისპირ მისი გმირები მუდამ იმყოფებიან. კრიტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ როგორც მისი პროზის მეტად თავისებურ სტილზე, ასევე იმ სიღრმისეულ სოციალურ კრიტიკაზე, რაც ამ მწერლის შემოქმედების მთავარი მახასიათებელია.

თერთმეტი

დაბადების დღეების წესი თვითონაც არ ესმით და შენც არასდროს გეუბნებიან, რომ როდესაც თერთმეტი წლის ხარ, ამავე დროს ათისაც ხარ, ცხრისაც, რვისაც, შვიდისაც, ექვსისაც, ხუთისაც, ოთხისაც, სამისაც, ორისაც და ერთისაც. როდესაც მეთერთმეტე დაბადების დღეზე იღვიძებ, ელოდები, რომ თავი თერთმეტი წლისად უნდა იგრძნო, მაგრამ მსგავსსაც ვერაფერს გრძნობ. თვალებს ახელ და ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც გუშინ იყო, იმ განსხვავებით, რომ ახლა დღევანდელი დღეა. შენ კი თერთმეტი წლისად თავს სულაც არ გრძნობ. გგონია, რომ ისევ ათი წლის ხარ. და ხარ კიდეც — იმ წელთან ერთად, რომელიც თერთმეტი წლისად გაქცევს.

როგორც სხვა დღეებში, ახლაც შეგიძლია რაიმე სისულელე თქვა — შენი ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ათი წლისაა. სულ სხვა დღეს შეიძლება დედის კალთაში ჩაჯდომა მოგინდეს, იმიტომ რომ რაღაცის შეგეშინდა — შენი ერთი ნაწილი ყოველთვის ხუთი წლის იქნება. ერთ დღეს კი, როცა გაიზრდები და ძალიან დიდი გახდები, შეიძლება ტირილის სურვილმა ისე მოგიაროს, თითქოს სამი წლის იყო და ეს სწორია — ასეც უნდა იყოს. დედიკოსაც ამას ვეუბნები ხოლმე, როდესაც სევდა მოერევა და ტირილი უნდება. ალბათ ამ დროს თავი სამი წლისა ჰგონია.

ასაკის მატებას ხომ რაღაც საერთო აქვს ხახვთან, ან იმ რკალებთან, გადაჭრილ ხეს რომ ატყვია, ან ჩემს პატარა ხის თოჯინებთან, ერთმანეთში რომ ეტევიან — ყოველი წელი მომდევნოში დევს. აი, ასეთია თერთმეტი წლისად ყოფნა.

ვერ გრძნობ, რომ თერთმეტი წლის ხარ. ამას მაშინვე ვერ გრძნობ. რამდენიმე დღე, რამდენიმე კვირა, ზოგჯერ თვეები უნდა გავიდეს, სანამ უპასუხებ, თერთმეტისაო, როცა ასაკს გკითხავენ. ეს პასუხი კი გონივრულად მანამდე არ გეჩვენება, სანამ თითქმის თორმეტი წლის არ იქნები. ასეა ხოლმე.

თუმცა დღეს მინდა, ჩემში მხოლოდ თერთმეტი წელი არ ჩხარუნებდეს თუნუქის კოლოფში ჩაყრილი ხურდა ფულივით. დღეს მინდა, თერთმეტის კი არა, ასორი წლის ვიყო, იმიტომ რომ ასორი წლისას მეცოდინებოდა, რა მეთქვა იმ დროს, როცა მისის პრაისმა წითელი სვიტერი მაგიდაზე დამიდო. მეცოდინებოდა, როგორ მეთქვა მისთვის, რომ ეს ჩემი სვიტერი არ იყო, იმის ნაცვლად, რომ ასეთი სახით ვმჯდარიყავი და პირიდან არაფერი ამომსვლოდა.

— ეს ვისია? — იკითხა მისის პრაისმა და წითელი სვიტერი მაღლა ასწია, რათა მთელ კლასს კარგად დაენახა, — ვისია? მთელი თვეა, გასახდელში გდია.

— ჩემი არ არის, — წამოიძახეს ბავშვებმა, — არც ჩემია.

— ვიღაცის ხომ უნდა იყოს, — განაგრძო მისის პრაისმა, მაგრამ ვერავინ ვერაფერი გაიხსენა. საძაგელი სვიტერი იყო, წითელი პლასტმასის ღილებით და ისეთი ჩამოწელილი საყელოთი და სახელოებით, თითქოს შეგეძლო სახტუნაოდაც გეხმარა. ალბათ ათასი წლისა იყო და ჩემი რომ ყოფილიყო, ამას მაინც არ ვიტყოდი.

იქნებ იმიტომ, რომ ჩხირივით გამხდარი ვარ, იქნებ იმიტომ, რომ არ მოვწონვარ — ვინ იცის, რატომ ადგა ეს სულელი სილვია სალდივარი და თქვა:

— მგონი, რეიჩელისაა.

ასეთი საძაგელი სვიტერი, ძველი და ერთიანად დაძონძილი... თუმცა მისის პრაისმა მისი სიტყვები დაიჯერა, სვიტერი აიღო და პირდაპირ მაგიდაზე დამიდო, მაგრამ როდესაც პირი გავაღე, იქიდან არაფერი ამოვიდა.

— არა, მე... თქვენ ვერ... ჩემი არ არის, — როგორც იქნა, დაბალი ხმით თქვი. ამას ალბათ ის ამბობდა, ვინც ოთხი წლის იყო.

— რა თქმა უნდა, შენია, — მითხრა მისის პრაისმა, — მახსოვს, ერთხელ გეცვა.

ბევრად უფროსია, მასწავლებელია და ამიტომ ის მართალია, მე კი — არა.

ჩემი არ არის, ჩემი არ არის, ჩემი არ არის... მაგრამ მისის პრაისი უკვე 32-ე გვერდზე მე-4 მათემატიკურ ამოცანას მიუბრუნდა. არ ვიცი, რატომ ვიგრძენი მოულოდნელად, რომ გული მერეოდა — თითქოს ჩემი ის ნაწილი, რომელიც სამი წლისა იყო, თვალებიდან გარეთ გამოღწევას ცდილობდა, მე კი ისინი ძალიან მაგრად დავხუჭე, კბილებიც ერთმანეთს მაგრად დავაჭირე და საკუთარ თავს ვახსენებდი, რომ დღეს თერთმეტი წლის გავხდი, დღეს თერთმეტი წლის გავხდი. საღამოს დედიკო ნამცხვარს გამომიცხობს და როცა მამიკო შინ დაბრუნდება, ყველა ერთად მიმღერებს: «დაბადების დღეა! რა ღამაზი დაბადების დღეა!».

თუმცა როცა გულისრევის შეგრძნებამ გადამიარა და თვალები გავახილე, წითელი სვიტერი ისევ მაგიდაზე დამხვდა, დიდი, წითელი მთასავით აღმართული. სახაზავით მაგიდის კუთხისკენ მივწიე. ჩემი ფანქარი, საშლელი და წიგნები, რაც შეიძლებოდა, მისგან შორს დავდე. სკამიც კი გამოვწიე ცოტა მარჯვნივ. ჩემი არ არის, ჩემი არ არის, ჩემი არ არის.

იმაზე ვფიქრობდი, თუ რამდენი წუთი იყო დარჩენილი ღანჩის დრომდე, რამდენი წუთი იყო დარჩენილი მანამდე, სანამ ხელს ვტაცებდი ამ წითელ სვიტერს და სკოლის ღობის იქით გადავაგდებდი, ან ავტოსადგომის მრიცხველზე ჩამოვაკონწიალებდი, ან ბურთივით დავამრგვალებდი და ხეივნის გზაზე მოვისვრიდი. ამის ნაცვლად, როდესაც მათემატიკის გაკვეთილი დამთავრდა, მისის პრაისმა ყველას თვალწინ ხმამაღლა მითხრა:

— გეყოფა, რეიჩელ.

დაინახა, როგორ გავწიე წითელი სვიტერი კუთხის წვერისკენ, როგორ დაეკიდა ის და მაგიდიდან ჩანჩქერივით გადმოეშვა, ჩემთვის კი ეს ყველაფერი სულ ერთი იყო.

— რეიჩელ, — ისეთი ხმით მითხრა მისის პრაისმა, რომ მივხვდი, სადაც იყო, გაგიჟდებოდა, — ახლავე ჩაიცვი ეგ სვიტერი და სისულელეები აღარ გამაგონო.

— მაგრამ ეს არ...

— ახლავე! — მითხრა მისის პრაისმა.

აი, სწორედ ამ დროს ვინატრე, რომ თერთმეტი წლის არ ვყოფილიყავი, რადგან ჩემში ჩამალული ყველა წელი — ათი, ცხრა, რვა, შვიდი, ექვსი, ხუთი, ოთხი, სამი, ორი და ერთი — თვალებს უკნიდან მოაწვა, როდესაც იმ სვიტერის სახელოში, ძველი ხაჭოსავით რომ ყარდა, ჯერ ერთი მკლავი გავუყარე და მერე — მეორე. ვიდექი ასე, მკლავებგაშლილი — თითქოს სვიტერი მთელ ტანს მტკენდა. ჰო, მართლაც მტკენდა — მსუსხავი და იმ მიკრობებით გამოტენილი, რომლებიც ჩემიც კი არ იყო.

ამ დროს მოხდა, რაც მოხდა: ყველაფერი, რასაც დილიდან ვითმენდი — იმ წუთიდან, როცა მისის პრაისმა სვიტერი მაგიდაზე დამიდო — გულში ვეღარ დავიტიე და უცებ ყველას თვალწინ ტირილი დავიწყე. ვნატრობდი, რომ უხილავი ვყოფილიყავი, მაგრამ არ ვიყავი. თერთმეტი წლისა გავხდი და დღეს ჩემი დაბადების დღე იყო, მე კი ყველას თვალწინ სამი წლის ბავშვივით ვტიროდი. თავი მაგიდაზე დავდე და სახე ამ კლოუნის პერანგივით სულელური სვიტერის სახელოებში ჩავმალე. ცხელი სახე მქონდა, პირიდან ნერწყვი გადმომდიოდა, იმიტომ რომ თავს ვერ ვიკავებდი და რომელიღაც პატარა ცხოველის ხმებს გამოვცემდი. მანამდე ვიტირე, სანამ თვალებში ცრემლი არ გამომელია და ახლა მხოლოდ ჩემი სხეული შეხტებოდა ხოლმე — ზუსტად ისე, როგორც სლოკინისას. მთელი თავი ისე მტკიოდა, როგორც მაშინ, როდესაც რძეს ძალიან სწრაფად სვამ.

ყველაზე უარესი კი მანამდე მოხდა, სანამ ღანჩის შესვენების ზარი დარეკავდა. იმ სულელმა ფილის ლოპესმა, რომელიც სილვია სალდივარზე გამოშტერებულია, გაიხსენა, რომ ეს წითელი სვიტერი მისი იყო! მაშინვე გავიხადე და გადავეცი, მისის პრაისმა კი ისეთი სახე მიიღო, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო.

დღეს თერთმეტი წლის გავხდი. საღამოს დედიკო ნამცხვარს გამოაცხობს და როცა მამიკო სამსახურიდან დაბრუნდება, გავჭრით და შევჭამთ. შიგ სანთლები იქნება ჩარჭობილი და საჩუქრებსაც მაჩუქებენ და ყველა მიმღერებს: «დაბადების დღეა. დღეს რეიჩელის დაბადების დღეა!» თუმცა უკვე გვიან იქნება.

დღეს თერთმეტი წლის გავხდი. დღეს თერთმეტისაც ვარ, ათისაც, ცხრისაც, რვისაც, შვიდისაც, ექვსისაც, ხუთისაც, ოთხისაც, სამისაც, ორისაც და ერთისაც, მაგრამ ნეტავ ასორი წლის ვიყო. ნეტავ თერთმეტის არ ვიყო და სხვა, ნებისმიერი ასაკისა ვიყო, იმიტომ რომ დღეს მინდა, უკვე ძალიან შორს ვიმყოფებოდე — ხელიდან გაფრენილი ბუშტივით, იმ პაწია წრესავით, ცაში რომ დაფარფატებს და ისეთი პაწაწინაა, რომ მის დასანახად თვალები უნდა დახუჭო.

ჯულია ალვარესი

ჯულია ალვარესი (Julia Alvarez) ამერიკელი პოეტი, პროზაიკოსი და ესეისტია. ის 1950 წელს დაიბადა და ათ წლამდე დომინიკის რესპუბლიკაში ცხოვრობდა, შემდეგ კი ამერიკის შერთებულ შტატებში იზრდებოდა. ბუნებრივია, რომ მის შემოქმედებში როგორც დომინიკური, ისე ამერიკული კულტურული გამოცდილების კვალი იკითხება. არაერთი კრიტიკოსის აზრით, ჯულია ალვარესი ლათინო-ამერიკული წარმოშობის მქონე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მწერალია, რომელიც კულტურული სტერეოტიპების, იდენტობისა და ასიმილაციის საკითხებს იკვლევს. მისი ხუთი რომანიდან აღსანიშნავია "პეპლების დროში" (1994) და "იო!" (1997). გარდა ამისა, ის არის ავტორი ოთხი პოეტური კრებულის, საბავშვო წიგნებისა და ავტობიოგრაფიული ესეების კრებულისა "რაღაც, რისი თქმაც მინდა" (1998).

თოვლი

ნიუ-იორკში ცხოვრების პირველ წელს პატარა ბინა დავიქირავეთ, რომლის სიახლოვეს კათოლიკური სკოლა იყო, სადაც მოწყალების დები ასწავლიდნენ — ფუმფულა ქალები გრძელი, შავი კაბებითა და ფარფლიანი ქუდებით, რის გამოც, ცოტა არ იყოს, უცნაურად გამოიყურებოდნენ: მგლოვიარე თოჯინებს ჰგავდნენ. ისინი ძალიან მიყვარდა, განსაკუთრებით ჩემი მეოთხე კლასის მასწავლებელი — და ზოი, რომელიც ბებიას მაგონებდა. მითხრა, რა ლამაზი სახელი გქვიაო, მერე კი მთხოვა, მთელი კლასისთვის მესწავლებინა, თუ როგორ უნდა გამოეთქვათ იგი. *იო – ლან – და*. რადგან კლასში ერთადერთი ემიგრანტი ვიყავი, გამორჩეულ ადგილას დამსვეს — პირველ რიგში, ფანჯარასთან, სხვა ბავშვებისგან განცალკევებით, რათა და ზოის საშუალება ჰქონოდა, ჩემთვის ისე ესწავლებინა, რომ დანარჩენებისთვის ხელი არ შეეშალა. ისიც ნელა, მკაფიოდ გამოთქვამდა იმ ახალ სიტყვებს, რომლებიც მე უნდა გამემეორებინა: *სამრეცხაო, ბურბუშელა, მეტრო, თოვლი.*

მალე საკმარისი ინგლისური ვიცოდი იმისათვის, რომ გამეგო: გენოციდი ახლაც მიმდინარეობდა. და ზოიმ მთელ თვალებგაფართოებულ კლასს აუხსნა, თუ რა ხდებოდა კუბაში. ერთად თავმოყრილი რუსული რაკეტების სამიზნეს, გავრცელებული აზრით, ნიუ-იორკის შუაგული წარმოადგენდა. შინ, ტელევიზორში პრეზიდენტი კენედი, რომელიც შეშფოთებული ჩანდა, ხალხს უხსნიდა, შეიძლება კომუნისტების წინააღმდეგ ომის დაწყება მოგვიხდესო. სკოლაში საჰაერო განგაშის დროს მოქცევის წესებს გვასწავლიდნენ: ავისმომასწავებელი ზარი აწივლდებოდა და დერეფანში ჩავმწკრივდებოდით, იატაკზე გავწვებოდით და თავებზე პალტოებს წამოვიფარებდით ხოლმე, თან წარმოვიდგენდით, როგორ გვცვიოდა თმები, როგორ გვირბილდებოდა ძვლები მკლავებში. სახლში მე, დედა და ჩემი დები ლოცვებს ვკითხულობდით, რათა მსოფლიოში მშვიდობას დაესადგურებინა. ახალი გამოთქმები მესმოდა: *ატომური ბომბი, რადიოაქტიური მტვერი, მიწისქვეშა თავშესაფარი.* და ზოიმ აგვიხსნა, ეს როგორ მოხდებოდა. მან დაფაზე სოკო დაგვიხატა და ცარცით უამრავი წერტილი დასვა — ეს ის მტვერი იყო, რომელიც ყველას ერთიანად ამოგვხოცავდა.

ცივი თვეები დადგა: ნოემბერი, დეკემბერი. დილით საწოლიდან რომ ვდგებოდი, ისევ ბნელოდა. სკოლის გზას რომ მივუყვებოდი, ყინავდა და პირიდან ამოსული ორთქლი წინ მისწრებდა. ერთ დილით მერხთან ვიჯექი და ოცნებებში გართული ფანჯარას შევცქეროდი, როდესაც ჰაერში ზუსტად ისეთი წერტილები შევნიშნე, როგორიც და ზოიმ დაგვიხატა. თავიდან აქა-იქ ჩანდა, მერე კი გახშირდა და გახშირდა.

— ბომბი! ბომბი! — ვიკივლე.

და ზოი დაბზრიალდა და შავი, განიერი ქვედაბოლო პარაშუტივით გაებერა, როცა ჩემკენ გამოიქცა. რამდენიმე გოგო აზლუქუნდა.

თუმცა და ზოის დაზაფრული სახე უმალვე გადაეწმინდა.

— აბა, რას ამბობ, ძვირფასო იოლანდა, ეს ხომ თოვლია! თოვლი! — გაეცინა მას.

— თოვლი, — გავიმეორე. ფანჯარაში ფრთხილად გავიხედე. მთელი ცხოვრების მანძილზე მესმოდა, რომ ზამთარში ამერიკის ციდან ქათქათა კრისტალები ცვიოდა. ისევ მერხთან ვიჯექი და ვაკვირდებოდი, როგორ ეფინებოდა ფაფუკი ფქვილი ტროტუარსა და ქვემოთ გაჩერებულ მანქანებს. თითოეული ფიფქი განსხვავებულიაო, — გვითხრა და ზოიმ, — ადამიანივით განუმეორებელი და ლამაზიაო.

თარგმნა ირმა ტაველიძემ

ლელა კოდალაშვილი

ბოლო წლებია, პოეზიის სფეროში იმედისმომცემი განწყობა გაჩნდა. ძველები გააქტიურდნენ, ხოლო ახლებმა ნელ-ნელა იწყეს გამორჩევა იმ საერთო, უფერული მასისგან, ლექსის მწერალი მრავალრიცხოვანი საზოგადოება რომ შეადგენს, რომლის თითოეული წევრი არანაკლები აქტიურობით ცდილობს, დაიმკვიდროს საკუთარი, გამორჩეული ადგილი და თავისი პოეტური სამყარო დანარჩენებისგან გამოკვეთოს, თუმცა, ვერ ახერხებს, რადგან ასეთ მცდელობას ნიჭი და, ამასთან ერთად, საკუთარი, გამოკვეთილი ხმის ტემბრი სჭირდება.

ისევ პაატა შამუგიას კრებულის თაობაზე

დღეს რომ გააჩეროთ ნებისმიერი თბილისელი, რომელსაც სკოლის დამთავრების შემდეგ ლექსისთვის თვალი მხოლოდ შვილების სახელმძღვანელოში თუ მოუკრავს, გეტყვით, ვინაა პაატა შამუგია. არა იმიტომ, რომ ის სახალხო ავტორია, ან იმხელა ღვაწლი აქვს ქართული ლიტერატურის წინაშე, რომ მისი გვარის არცოდნა ეროვნული დანაშაულია, არამედ გარდა ზემოთ აღნიშნული პოეტური ხმის ტემბრისა, ცოტაოდენი ბედი ან პიარის ხელოვნების ნიჭი აშკარად აღმოაჩნდა, რადგან სულ ახლახანს გამოსული მისი კრებულის შესახებ არაერთგზის დაიწერა და ითქვა, არაერთგზის გაჟღერდა საინფორმაციო არხებსა და ბეჭდვითი მედიის ფურცლებზე — შეიქმნა ერთგვარი აჟიოტაჟის განწყობა, ხმაური. იმედია, რომ ეს მომენტი მას, როგორც შემოქმედს, მხოლოდ გაზრდის და, როგორც ხანდახან ხდება ხოლმე, საპირისპირო პროცესისკენ არ უბიძგებს.

ვფიქრობ, მასზე კიდევ ერთხელ ყურადღების შეჩერება იმიტომაც ღირს, რომ აღინიშნოს ის საკმაოდ დიდი ნახტომი, რაც მან ძველი პუბლიკაციების შემდეგ გააკეთა. ფაქტობრივად მრავალრიცხოვან „ლექსის მწერალთა“ შორის თითქმის მხოლოდ ეპატაჟური პასაჟებით გამორჩეული ავტორი, სრულიად ახალ, პოეტურ ეტაპზე გადავიდა და ამით მისმა ტექსტებმა შეიძინა ის პირველი სიმძიმე, რასაც მიუკიბავ-მოუკიბავად ხმამაღალ სიტყვას — პოეზიას ვუწოდებთ. თუმცა, ვერანაირად ვერ ვიტყვი, რომ ესაა გამოკვეთილად ახალი ხმა, როგორიც თავიდანვე ჰქონდა, ვთქვათ, გიორგი კეკელიძეს; ვერ ვიტყვი ვერც იმას, რომ მისი ლექსები დაწმენდილი და რაფინირებულია იმ მინარევებისგან, რასაც კრიტიკოსები „ჭუჭყს“ ან „წყალს“ უწოდებენ ხოლმე. მაგრამ შეუძლებელია, არ დავინახოთ ის ჩანასახისმაგვარი მინერალები, რომელიც დღევანდელი პოეზიისთვის ნიშანდობლივი კომპონენტია კიდევ უფრო მნიშვნელოვან „ინგრედიენტთან“, სათქმელთან ერთად. ქვემოთ შევეხები რამდენიმე ლექსს მისი ახალი კრებულიდან — „უპირატესობა,“ და შევეცდები, მაგალითების მოშველიებით ჩემი სათქმელი დავასაბუთო.

კრებულის პირველივე ლექსი იწყება ბანალური სახეებით: „როცა კორპუსები ფანჯრებს მოხუჭავენ და მთვარეები აყვავდებიან გუბეებში“. თითქოს აქვე უნდა განიხიბლო, მაგრამ ავტორი მოულოდნელად გადადის უცხო და ახალ განწყობაზე: „და მდინარეები ტალღებს დაიკაპიწებენ და ჩვენი გულები, როგორც ძაღლები, ჯაჭვებს აიწყვეტენ...“ ასე მიდის სათქმელთან, რომელიც თითქოს ტრივიალურია, მაგრამ ემოციურად ზუსტი სვლა მას საინტერესოს ხდის. ბანალურ სახეებს და სათქმელებს ხშირად იყენებს. როგორც ჩანს, ეს პოეტური გემოვნების თანდათანობითი დახვეწის შემდეგ თუ აღმოიფხვრება. აი, მაგალითად: „როცა ხეები ჩიტებს მოისხამენ.“ ან „და გვიყვარდეს ერთმანეთი, მაშინაც კი, როცა არ გვიყვარს ერთმანეთი“. ალბათ ასევე აღმოიფხვრება ან შემცირდება სიზმრების ლაიტმოტივიც, რომელიც საკმაოდ გაცვდა თანამედროვე პოეტთა შემოქმედებაში მიუხედავად უხვი და ღრმა მასალისა, რომელსაც ეს თემა იძლევა.

ერთ-ერთი საინტერესო ლექსია „ლინგვისტიკის წრე“, სადაც ერთგვარი მარტივი ფილოსოფიური ფორმით განხილულია სიტყვის, როგორც არსის პრობლემა, რაც ყველაზე რთულ საკითხად ქცეულა ამ სიტყვაუხვ სამყაროში: „გამუდმებით ასეა: ვხდები ის სიტყვა, რომელიც მე მომემართება და ყველა სიტყვა, რომელიც მე მომემართება და მახსენებს სივრცის სიმყარეს, ცდილობს, მომცეს თავისი სახე, თავისი გარსი და სურვილთა მყიფე ლოგიკა“. მერე მოდის წმინდა წყლის გრაფომანული ტექსტი — ჩამონათვალი, რომელიც ფაქტობრივად მანამდე ნათქვამის ერთგვარი „ლეჭვაა“. საერთოდაც, პაატას ახასიათებს, ალაგ-ალაგ ვერ გაჩერდეს, ვერ შეწყვიტოს თხრობა ალბათ იმიტომ, რომ მკითხველისადმი საკმარისი ნდობა არა აქვს, ან, უბრალოდ, სულსწრაფობს და თავს ვერ იკავებს. თორემ ზემოთ მოტანილ სტრიქონებს თავისუფლად დაასრულებდა ასე: „ვზივარ და ვუფრთხი მნიშვნელობებს, რომლებიც უკვე მექცა სხეულის დამატებით ორგანოებად“. ან: „და ვზივარ ქარში და ვკერავ სიზმრებს გადამფრენი სიტყვებისაგან“. სამაგიეროდ, ლაკონური, მინიშნებებით სავსე და მოსხლეტილია ლექსი „ორიენტირი“, სადაც მხოლოდ მიმართულებას აღწერს, დანარჩენი თავად უნდა გაიაზრო. „დაუფლება“ ერთ-ერთი საუკეთესო ტექსტია ამ კრებულში, სადაც თითოეული სტრიქონი დატვირთულია პოეტური სახეებით. მე ვერ გამოვყოფ რომელიმე სტრიქონს, რადგან ნაწარმოები შეკრული და მყიფეა, რაც ჩაურევლობის მოწიწებასაც კი აღძრავს. ამ ლექსს აქვს ორმაგი სხეული; ერთი, რომელიც მთლიანი ტექსტის მეტაფორას ხსნის სიკვდილის შემდგომი ინსცენირების შესახებ; და მეორე, დანაწევრებული სხეული — სადაც მეტაფორა მრავალ შრედ იშლება, სადაც ამ ინსცენირებების ჩამონათვალი ნახევრად ალუზიურ და ნახევრად პრაგმატულ, რეალისტურ პლანშია გადაწყვეტილი. თითოეული მათგანი კი ცალკე სახეა. აი, კიდევ საინტერესო მომენტები მისი ლექსებიდან: „რეალობა ანონიმურია“, ან „მათი ღიმილი 25-ე კადრია“, „პატარა ღაბაბი — მისი სახის უსაფრთხო სქოლიო“ და სხვა.

პაატაზე ამბობენ, რომ ღმერთის თემას ტრივიალურად ამსუბუქებს, ხოლო თავად ღმერთს „მხარზე ხელს უტყაპუნებს“ და ა.შ. მე ასე არ ვიტყოდი. სხვებისთვის პერსონიფიცირებული ღმერთი, რომელსაც მოწიწებით მუხლი უნდა მოუყარო, ამ ავტორისთვის უბრალოდ განკაცებული ცნებაა. სწორედ ამ ცნებას არჩევს, უკირკიტებს და ისევე სთხოვს პასუხებს, როგორც საკუთარ თავს.

პაატა მრავალგვარია. წერს ჯერჯერობით ხელწერის გარეშე. აკი თვითონაც ამბობს, „მე გავაუქმე ყველა ჩემი მნიშვნელობა, და არც ერთი ჩემგანი აღარ არის ასე საშიში“, მაგრამ მას ჯერ არ გაუუქმებია თავისი მრავალგვარი თავი, მან უბრალოდ რამდენიმე საკუთარი თავი შეაფასა, დააფასა და შეიყვარა, შემდეგ კი ჩვენ მოგვაწოდა მანამ, სანამ უფრო დაიწნეხება, სანამ კიდევ „გააუქმებს„ რამდენიმეს და დარჩება ძირითადი, გამოკვეთილი ხმა, რომელიც იქნება მხოლოდ მისი.

ეკა ქევანიშვილის აჯანყებული პოეზია

...გახსოვთ ალბათ, თბილისელთა ჩაცმულობაში თამამად 90-იან წლებშიღა დამკვიდრდა დახეული ჯინსები, გაცვეთილი ბათინკები, მწვანედ შეღებილი თმები. ერთხელ ჩემს მხატვარ მეგობარს, რომელსაც მაკრატლით უსწორმასწოროდ შემოჭრილი მაისური ეცვა, ნაცნობმა უცხოელმა ბიზნესმენმა ელეგანტური პიჯაკი და ქვედა ბოლო ჩამოუტანა, თან გადმომიჩურჩულა, როგორც ჩანს, უჭირს მის ოჯახსო. მერე ამაზე დიდხანს ვიცინოდით. მაგრამ ცოტა ხანში ეს ჩაცმულობა გადაპრანჭული, მარგალიტისმძივებიანი დედა-ბებიების მიმართ ერთეულების ექსცენტრიკული პროტესტი კი აღარ იყო, არამედ შეგნებულად დამკვიდრდა, როგორც სტილი. ეკა ქევანიშვილის პოეზიაც ასეთი, მაკრატლით უსწორმასწოროდ შემოჭრილი მაისურია, დახეული ჯინსებია, რომელიც მანამ არის გულწრფელი, სანამ შინაგანი მოთხოვნილებით და პროტესტით იქმნება. როგორც კი გააზრებულ მანერად იქცევა და ავტორი ამაზე მუშაობას დაიწყებს, ისეთივე საგანგებოდ გაპრანჭულობის ელფერი დაედება, როგორიც კონცერტზე მიმავალ, ძოწისსაყურეებიან ბებიას ჰქონდა. მთავარი ისაა, ავტორმა თუ ზუსტად იგრძნო ეს მომენტი, არ გაყალბდა, არ დაიწყო „პოდიუმზე„ მსვლელობა და მაყურებელთა თვალიერება — აბა, ვის რითი მოვჭერი თვალიო...

თუმცა, ამ ავტორს ეს არ უშლის ხელს, მოირგოს „ძვირფასი თვლები“ — პოეტური მინერალები. აი, მაგალითები მისი ბოლო კრებულიდან, „აქ ნუ დადგებით“: „წაღებულ მინას ერთ მუჭს მოაკლებ და გამოზოგვით, ფრთხილად მოაყრი — სასუქია შენი სამშობლო,“ ან „თითქოს ყინული ამოტყდა ტბაზე. ეს — თვალებიდან ისვრის სხივებს, როგორც ანკესებს. ეს არის მისი თევზაობა — კაუჭებზე გაყინული ცრემლები ბრწყინავს“ — თითქოსდა ბანალური „ანკესები“ — როგორც მეტაფორა-მასალა, პლასტიკური ხდება ეკას ხელში და სულ სხვა მიმართულებას ქმნის, სხვა დატვირთვას იძენს.

ხანდახან დაუჯერებლად ღრმა, მრავალშრიან პლასტებამდეც აწვდენს ხელს: „სიყვარული როცა გიკვდება. მკვლელიც შენ ხარ და შენვე მარხავ. ხოლო შემდეგ ვეღარ ხვდები, რა უფრო გტკივა — მხრები, რომლითაც გაათრიე, თუ ხასიათი, რომლითაც წყვეტდი, როგორ მოგეკლა.“

„რატომ გტირიმე“ — ძველი ლექსია, მაგრამ გამორჩეული თავისი ოქროს შუალედით ყოფასა და პოეზიას შორის, რწმენასა და სიმართლეს შორის, გულწრფელობასა და გულწრფელობას შორის, რაც საერთოდაც ნიშანდობლივია მისი ლექსებისთვის, რადგან ავტორი ხანდახან იმდენად გულგადახსნილია, რომ სათქმელს პოეზიად ვეღარ გვაწვდის და უბრალოდ ჰყვება...

ეკა ქევანიშვილის ლექსები იმდენ სხვადასხვა ფერს ატარებენ, რომ რაღაც მომენტში საკუთარ თავს იჭერ იმაში, რომ თუ არ შემოგაჩეჩეს, არ წაგაკითხეს, გარემომცველ სამყაროს შეერევა და დაიკარგება. იქ ათასნაირი სიტყვა ირევა, ათასნაირი ამბავი ხდება, ზოგი — მარტივი, ყოფითი, ზოგი კი — გამორჩეული, ჯერ ავტორისთვის და შემდეგ კი მკითხველისთვის დასანახი, აღსაქმელი, შესაფასებელი.

ეკა ჟურნალისტური ცხოვრებით ცხოვრობს — ალბათ, ასე შეიძლება ეწოდოს მის ყოველდღიურობას, და გავლენაც სახეზეა. თუნდაც ლექსები — „ეფენდი, ვვაჭრობთ, აქ ნუ დადგებით“ — ესაა პატრიოტული რეპორტაჟები, უფრო სწორად კი, ესაა პოეტური რეპორტაჟები ფრონტის ცხელი ხაზიდან კონკრეტული ნარატივით — ძველი ანალოგიები დღევანდელობაში მოჩვენებითი გულუბრყვილობით არ მოიტანოს, როგორც ხშირ შემთხვევაში სჩვევიათ პოეტებს. მოწინააღმდეგის პოზიციის სისუსტის გამოვლენის ნაცვლად კი საკუთარი სისუსტე აღიაროს. ეს „აღიარება“, როგორც ლაიტმოტივი, ზოგადადაც გასდევს მის პოეზიას.

ეკა ქევანიშვილის პრევალირებულობის შინაარსი ისაა, რომ ის არავის ჰგავს მაშინ, როცა პოეტურ „მამებს“ „შვილები“ უნებლიედ ირჩევენ ხოლმე. ის იმდენად სტიქიურია, ვერ ასწრებს გაიაზროს, ინტელექტუალურ შრეებში გაცრას, გამოფილტროს სიტყვები, სახეები, სტილი, რიტმი. ის გრძნობს და ფანტავს, თავიდან იცილებს. ამ დაყრილ-გაფანტულს, ცხადია, ჭუჭყიც ხშირად მოჰყვება. ამიტომ არაა რაფინირებული მისი ლექსი, მაგრამ პირველყოფილი და თვითკმარია თავისი ასოციაციურობით, კანტი-კუნტი რემინისცენციებით წარსულიდან დღემდე, დღევანდლობიდან — წარსულამდე. ავტორი თითქოს საგანგებოდ უარყოფს ფორმალიზმს. მისი ინტრონიზაციის პროცესი პრაგმატული გარემოს თანხლებით და აქტიური ჩარევით მიმდინარეობს — მას არ უყვარს (როგორც ჩანს) ტვინის ჭყლეტვა, სათქმელის სხვასთან გადამოწმება, საკუთარი თავის მოტანა-მორთვა. ის ჯიუტია, სიტყვებს პრეტენზიულად აპნევს და ამით თითქოს გეუბნება — ესაა ნამდვილი, დანარჩენი ყველაფერი შეფუთვის საქმეა. მოგწონვარ? მიმიღე ასეთი — სიშიშვლეს ახლავს თავისი წილი სიმახინჯე, სილამაზეც...

ხანდახან ასე „ხულიგნობს“ — ამისათვის იყენებს კლიშე-მეტაფორას, ანაწევრებს მას ლოგიკური თანმიმდევრობით და იქმნება მხატვრული გამოსახვის სხვაგვარი სტილისტიკური ხერხი — პოეტურად შესაძლებელი, ასოციაციებითა თუ კონტრასტით დასაშვები. აი, ერთი მაგალითი:

„ჩავიდეთ დაბლა.
ასეთ ბარდნაში არაფერი აღარ
მოხდება.
ჩავიდეთ, ზურგით დავემჩნეთ
თოვლზე.
ხელები განზე. შეიხსენი თავი,
იგოროს.
ეს ამბიცია — წააგავდე თოვლში
ჩაფლულ ჯვარს,
მოითხოვს თავთან დამშვიდობებას...“

→

ბოლო წლებია, ქართველ ქალ პოეტებს გაუჩნდათ სურვილი, აეხადათ რიდე, რომელიც მათ ფარულ ეროტიზმს მალავდა. ეკა ქევანიშვილი ამ მხრივ უბრალოდ თავზეხელაღებულია. ეს განცდა იმიტომ ჩნდება, რომ ერთი შეხედვით მისი პოეზია არ არის ე.წ. ქალური პოეზია, რადგან უმეტესად მამაკაცური ენერგიით იბრძვის, დაუნდობლად ამხელს, პირუთვნელად აღიარებს, უტევს სხვას და საკუთარ თავს... და ასეთ ავტორთან ხანდახან, მოულოდნელად, ყოველგვარი ლირიკული განწყობის შექმნის გარეშე, როგორც უცებ გახსნილი მარცვლით სავსე ტომარა, თავზე „გეპნევა“:

„ასეთ დროს ჩემი ფეხები შენს
წელზეა შემოხვეული.
საშო სავსე.
ხელებით მიჭირავს შენი საფეთქლები
და თავი,
როგორც ცეცხლოვანი დისკო,
როცა მხრებზე გადმოვინაცვლებ –
ხორცი იწვის და კვამლისგან
ვახველებ.
მერე გაბერილ ფილტვებს განვდი,
როგორც იალქნებს,
ჩემში მინდა შეცურო. საჭე მარჯვნივ,
საჭე პირდაპირ. საჭე წრიულად.
სანაპიროს ნისლით გიფარავ,
მიწა უცებ რომ გამოჩნდეს,
საინტერესო აღარ იქნება.
შენი ცურვა გამთენიამდეა.
მერე შენი ენა შტურმანია.
მკლავი სადავე.
ჩემი წელი უნაგირი.
მუხლები სახნისი
მიწა სველია და ბნელი.
ჩვენ კი ვთესავთ“.

ის არაფერს არ ნიღბავს, არ კეკლუცობს, თვალს არ გვარიდებს. მას ამ მომენტში უბრალოდ, არ ვაინტერესებთ...

თუმცა კი, ყველაფრისდა მიუხედავად, მის ლექსებში გადაჭარბებულ პროზაიზმებს ბოლო არ უჩანს. ეკა ქმნის ლექსს, სადაც პროზიდან პროზაში აკეთებს ნახტომებს, ხან ლოგიკურს, ხან ასოციაციურს, უფრო კი ამ უკანასკნელს. ერთი შეხედვით ეს გამაღიზიანებელია, რადგან ამგვარ ასოციაციებს სუფთა, კამკამა პოეტურ ტექსტში ვართ მიჩვეული. მაგრამ ეს ეკა ქევანიშვილის პოეზიაა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ეს მისი საკუთარი ხმაა, რაც ასე იშვიათად აქვთ ხოლმე სხვებს. ის ზღვარზეა, რომელიც პროზასა და პოეზიას შორის, ბეწვის ხიდზე გადის. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს პროზის დასაწყისია, ანუ გრადაციული საზღვარია, რომელსაც როგორც ბურუსს, გაივლის და რომელიმეგან გადაეშვება.

ერთგან ამბობს: „უფრო ახლოს ხარ, შენს სიყვარულზე როცა მიყვები, როცა მიყვები, რომ სიყვარული ღმერთს აუჯანყდა“. მე კი ვიტყოდი, რომ ეკა ქევანიშვილის პოეზია პოეზიას აუჯანყდა, რაც, ჩემი აზრით, საინტერესოა. ვნახოთ, რას მოიტანს ეს...

დიანა ანფიმიადის შემდგარი ეტაპის დასასრული

თვით ყველაზე უბრალო ობივატელსაც კი ჩვევად აქვს, დაუბრუნდეს თავის წარსულს, გამოიკვლიოს ის, მიჩქმალული ფაქტები ამოქექოს, წინაპრებთან საკუთარი ჩვევები და თვისებები გააიგივოს... მსოფლმხედველობრივად უფრო მდიდარი ადამიანი ამით არ კმაყოფილდება. ის კვლევის არეალს მეტად და მეტად ზრდის, ანალოგებს მხოლოდ უშუალო წინაპრებთან კი არა, ისტორიულ ფაქტებთან და კანონზომიერებებთან, მითოლოგიურ პერსონაჟებთან და ლეგენდებთან ეძებს...

დიანა ანფიმიადის ლექსები, კონკრეტულად კი მისი კრებული, „კონსპექტური მითოლოგია“ სწორედ ამგვარი მცდელობაა. რჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორი ჯერ დიდხანს ჯერდება ინფორმაციათა სინთეზით, შემდეგ კი ახდენს ერთგვარ ალქიმიურ აქტს და ლექსების სახით ქმნის სრულიად ახალ კონსტრუქციებს.

პოეტური სახეები, რაც, პირადად მე, პოეზიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტად მიმაჩნია, ამ ავტორთან დოზირებულად არის „განთავსებული“ ლექსის სხეულზე: „ან ხერხემალი, როგორც სარი — თუკი მოეშვი — შენი სხეული ჩითილივით რომ მიამაგრეს“, ან „ავაწყვე ბრინჯის ნამცეცებით ბრინჯის ყანები, ერთი ყლუპი რძით — ღრუბლიანი ცა და ნისლები, ავაწყვე პურის ნამცეცებით, და მენანები — როცა გაწყობ და თვისებებად როცა იშლები“. — ანფიმიადი აწყობილ მითებს „შლის“ თვისებებად. მისი ლექსები თავისებური კოსმოგონიაა, რომელიც ციური სხეულების მაგივრად ახალ კრისტალებს სწავლობს, და ეს კრისტალები მის ლექსების მღვივანი ჩანასახები არიან. თუ კარგად დააკვირდები, ეს ტექსტები ტრადიციული ტიპის ტრადიციული ოჯახის მეტაფორებითაა სავსე. საინტერესო კი ისაა, რომ ამ მეტაფორებს ახალ სუნთქვას აძლევს თავისეული რიტმით დატეხილ სტრიქონებში.

გვხვდება სიურეალისტური სახეებიც, ხანდახან ლექსის მთლიანი პასაჟია სიურეალისტური, მაგრამ ეს მკითხველს არ აბნევს, რადგან ავტორი ფრაგმენტებად კი არ გვაწვდის მას, არამედ ტრადიციული თხრობის ლოგიკას მიჰყვება, არ ართულებს, არ იწონებს თავს იმით, რომ გახდეს „გაუგებარი“, მიიჩნევს, რომ თავისმოსაწონებელი სხვაც ბევრია ამ ლექსებში, თითქოს კმარულობს იმას, რაც შექმნა, არ უნდა, განწყობა გაგიფუჭოს იმით, რომ რაღაცაში მის რიტმს ვერ აჰყევი, ვერ მიადევნე თვალ-ყური, ვერ გაშალე შენში შენის მხრივ ის, რასაც თვითონ ჯერ გიშლის და მერე დამტვრეულ სტრიქონებად ისე გიკინძავს, რომ ვერც კი იგრძნო. როგორც ცეკვისას ვერ გრძნობ, რომ ხანდახან მუსიკის დუნე რიტმს აორმაგებ და ორჯერ უფრო ჩქარა იწყებ მოძრაობის რიტუალის შესრულებას. მთავარი ამ დროს რიტუალია და არა ტემპი. მხოლოდ ბოლოს, როცა ცეკვას ამთავრებ, და გრძნობ, გული ამოვარდნას გაქვს, ხვდები, რაც მოხდა... აქაც, ლექსის ფინალისკენ იგივეს განიცდი, და ხელახლა იწყებ ცეკვას თუ კითხვას.

ალიტერაციებს იშვიათად მიმართავს, ანუ ამაზე არ აგებს განწყობას, არ გიმახვილებს თვალსაჩინო ტექნიკური სპეციალური ეფექტებით ყურადღებას.

ვფიქრობ, რომ „მითოლოგემა“ ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ლექსია. არ შევუდგები იმის განხილვას, თუ რატომ, აღვნიშნავ მხოლოდ რამდენიმე მომენტს — ამ ტექსტში ფილიგრანული ოსტატობით არის შერწყმული მითი, ისტორია, ფსიქოლოგია, რითმა და რიტმი, კეთილხმოვანება, დოზირებული მეტაფორა, სხვადასხვა პოეტური ტრიუკი და საბოლოოდ ეს არის ქალის და კაცის ისტორია. ესაა იმ ყველაფრის მეტაანალიზი, რაც მოაზროვნე კაცობრიობის მიერ უკვე დიდი ხნის წინათ განხილულია.

ანფიმიადი თითქოს პროსკენიონზე დგას და დანაეს, აქტეონს, არიადნეს და სხვა მითოლოგიურ პერსონაჟებს პროტოტიპებად იყენებს, რომელთა თვისებებზეც აგებს თავის ახალ მითს, ხან როგორც ისტორიას, ხან როგორც მხოლოდ სუბიექტურ განწყობას, ხან კი ახალი შტრიხით ახალ მომენტებზე ახდენს პედალირებას. ავტორი ამ პერსონაჟების, როგორც მუზების, მუსაგეტია და ახალ ბალადებს წერს.

მისი პოეტური ხედვები ხან აფორიზმებია, ხან შეგონებებია: მაგალითისთვის გამოდგება ლექსი „ძებნისთვის“ — „თავი დაკარგე, ეს ნიშნავს რომ უჩემო სხვა ხარ“ ან „კითხვა მარტო არ იბადება — ტყუპისცალია“.

და ერთი შეხედვით პესიმისტური ნოტების ფონზე ჩანს ჯიუტი თავდაჯერება. დიანა არ ავითარებს ლექსს მხოლოდ ერთი მიმართულებით, მასთან არაა აქცენტები ან რიტმზე, ან რითმაზე, ან მეტაფორებზე, ან სათქმელზე. ყველაფერი ისეა გაზავებული ერთმანეთში, როგორც მრავალინგრედიენტიან სადილში, რომელსაც სინჯავ და აღარ ფიქრობ, მზარეულმა რა და რა კომპონენტები გამოიყენა.

მეორეს მხრივ, ამ პერსონაჟების ნიღბებს ირგებს და მათ მიღმა თავად ლაპარაკობს, იმალება კიდეც, თითქოს მათზე უნდა ჯოხის გადატეხვა. ეს ალბათ ხერხია, დამალოს, მიჩქმალოს საკუთარი თავი, როგორც ლირიკული გმირი, ამოეფაროს არქეტიპებს. ერთი შეხედვით კი შიფრავს და შემდეგ ავრცობს პერსონაჟებს. ცდილობს, შეინარჩუნოს ექსტრაორდინარული მდგომარეობა. იოკებს ექსპანსიურ ბუნებას და რითმაში, როგორც სამკაულში ათავსებს. ლამობს, იყოს პრეზენტაბელური. უნდა ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში მას ეს ბუნებრივად გამოსდის, თუმცა ხანდახან აშკარად შეამჩნევ „ნათითურებს„, როგორც უსუფთაო მუშაობის ნაკვალევს.

მაგრამ არის ლექსები-ამბები. ასეთების რიცხვშია, მაგალითად, „ითაკა“, სადაც ბოლო სტრიქონამდე ელოდები მთავარ სათქმელს, კვანძის გამოხსნას, ნელ-ნელა აფონებ მას, ბოლოს ერთბაშად იშლება, ძაფი სწორდება და მთელი ლექსი გზასავით მარტივი და ცხადი ხდება.

შეიძლება ვცდები, მაგრამ მგონია, რომ მან ეს „ალქიმიკოსური“ ეტაპი უკვე ამოწურა. კლასიკურის და მოდერნისტულის შეზავების ექსპერიმენტი გაიარა. ლოგიკური იქნება, თუ მომავალში ახალი ინტონაციის ძებნას დაიწყებს. იქნება თუ არა ასევე საინტერესო ის, რასაც შექმნის, ამაზე საუბარი ნაადრევია.

მეც დიანაზე წერილს, როგორც წინა ორს, იმედიანი განწყობით დავასრულებ — ვნახოთ...

ერთი მოთხრობის კონკურსი

„ლიტერატურული გაზეთი“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით აცხადებს ერთი მოთხრობის კონკურსს 18-დან 30 წლამდე პროზაიკოსებისთვის.
ავტორებმა ერთი გამოუქვეყნებელი მოთხრობა, რომლის მოცულობაც არ უნდა აღემატებოდეს 25 000 კომპიუტერულ ასო-ნიშანს, უნდა გამოაგზავნონ ელექტრონულ მისამართზე **konkursi2011@yahoo.com.**
მოთხრობას თან უნდა ერთვოდეს ავტორის პირადობის მოწმობის ასლი და ტელეფონის ნომერი.
მოთხრობის გამოგზავნის ბოლო ვადაა 2011 წლის 15 აპრილი.
ხუთი გამარჯვებული ავტორი დასახელდება მაისში.
გამარჯვებულებს გამოავლენს ხუთი პროზაიკოსისგან შემდგარი ჟიური.
გამარჯვებული ნაწარმოებები
გამოქვეყნდება „ლიტერატურულ გაზეთში“.

I პრემია — 1500 ლარი
II პრემია — 1200 ლარი
III პრემია — 1000 ლარი
IV პრემია — 600 ლარი
V პრემია — 500 ლარი

ლიტერატურული გაზეთი
გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტები **ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ჟურული**

ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com